სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები შეუფერხებლად ახორციელებენ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას	ხელშეწყობილია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	ხელშეწყობილია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	ხელშეწყობილია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	ხელშეწყობილია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	რაოდენობა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ანგარიში
ხელშეწყობილია უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სასწავლო პრაქტიკა	ეფექტურად ხორციელდება უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში წელიწადში არაუმეტეს 150 სტუდენტის სასწავლო პრაქტიკის გავლა	ეფექტურად ხორციელდება უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში წელიწადში საშუალოდ 100 სტუდენტის სასწავლო პრაქტიკის გავლა	ეფექტურად ხორციელდება უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში წელიწადში საშუალოდ 100 სტუდენტის სასწავლო პრაქტიკის გავლა	ეფექტურად ხორციელდება უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში წელიწადში საშუალოდ 100 სტუდენტის სასწავლო პრაქტიკის გავლა	რაოდენობა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ანგარიში
გაუმჯობესებულია სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა საერთო საცხოვრებელი შენობის/შენობების და ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო კორპუსის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა და მშენებლობა	გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა	გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა	გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა	რაოდენობა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ანგარიში

სასწავლო ლაბორატორიების შესყიდვა/განახლება	გაუმჯობესებულია საზღვაო აკადემიის ტექნიკური ბაზა	გაუმჯობესებულია საზღვაო აკადემიის ტექნიკური ბაზა და სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება ეფექტურად	გაუმჯობესებულია საზღვაო აკადემიის ტექნიკური ბაზა და სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება ეფექტურად	გაუმჯობესებულია საზღვაო აკადემიის ტექნიკური ბაზა და სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება ეფექტურად	რაოდენობა	სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	ანგარიში
საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი საზღვაო პრაქტიკა	8 სტუდენტი გაივლის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის 6 თვიან საზღვაო პრაქტიკას	10 სტუდენტი გაივლის სრულფასოვან, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის საზღვაო პრაქტიკას	10 სტუდენტი გაივლის სრულფასოვან, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის საზღვაო პრაქტიკას	10 სტუდენტი გაივლის სრულფასოვან, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის საზღვაო პრაქტიკას	რაოდენობა	სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	ანგარიში
ხელშეწყობილია სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების განხორციელება და პროგრამების აკრედიტაცია	ხელშეწყობილია უმაღლესი განათლება	ხელშეწყობილია უმაღლესი განათლება	ხელშეწყობილია უმაღლესი განათლება	ხელშეწყობილია უმაღლესი განათლება	რაოდენობა	სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ანგარიში
ხელშეწყობილია ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების განხორციელება	ხელშეწყობილია უმაღლესი განათლება; გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა.	ხელშეწყობილია უმაღლესი განათლება; გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა.	ხელშეწყობილია უმაღლესი განათლება; გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა.	ხელშეწყობილია უმაღლესი განათლება; გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა.	რაოდენობა	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	ანგარიში

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 06 01

ქვეპროგრამის დასახელება:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	6 144 480
სულ ბიუჯეტი:	6 144 480

ქვეპროგრამის მიზანი:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ ტექნიკური ბაზის აღჭურვის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის აღწერა:

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 18 მუხლის პირველი პუნქტის "ლ.ბ." ქვეპუნქტის შესაბამისად დააფინანსებს უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტსა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებას. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად გარანტირებულია უნივერსიტეტის აკადემიური თავისუფლება, რაც გულისხმობს - აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა უფლებას, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა, შექმნილი ინტელექტუალური პროდუქტის ხარისხზე პასუხისმგებელია უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება.

კონფერენციის მოწყობისა და სამეცნიერო ნაშრომების გამოცემის და მასთან დაკავშირებული ხარჯები -

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი წლების განმავლობაში სწავლობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარა) ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და სხვა საკითხებს. აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში განხორციელდება საშუალოდ სამი პროექტი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები და სხვა.

ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება - ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მიზნობრივი საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსში გამარჯვებული პროექტების დაფინანსება, შესაბამისი გეგმა-გრაფიკებისა და ხარჯთაღრიცხვების მიხედვით. გამარჯვებული პროექტების ფარგლებში ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე დარგობრივი ან/და ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარება; უნივერსიტეტის ახალგაზრდა მკვლევართა მოზიდვა და მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდა, თანამედროვე კვლევების შედეგების გავრცელება.

განახლება წიგნადი ფონდი.

უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში სტუდენტების სასწავლო პრაქტიკა

უნივერსიტეტის მისიაა, უზრუნველყოს დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რაც გულისხმობს უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და მოწინავე კომპანიებში სტუდენტების სწავლებისა და სტაჟირების უწყვეტ პროცესს. ამ მიზნით უნივერსიტეტი ქვეპროგრამის ფარგლებში დააფინანსებს სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის ხარჯებს (მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯები, სავიზო და სასწავლო პრაქტიკასთან დაკავშირებული გადასახდელები/მოსაკრებლები). უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში სტუდენტების სასწავლო პრაქტიკა

ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობა

"საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის თანახმად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსის სტანდარტი დაკმაყოფილებულია თუ დაწესებულებას საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეპროგრამის ფარგლებში სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი გააუმჯობესებს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას (მაგ. შენობა-ნაგებობების მშენებლობა, ტექნიკური აღჭურვა და სხვ.) და ინფრასტრუქტურას.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა, რომელიც გათვლილია 1 500 სტუდენტზე (ქ. ბათუმში, ლეონიძის N15-ში) და სხვა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები.

კომუნალური ხარჯი - საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების და კომუნალური მომსახურების უწყვეტი მიღების უზრუნველყოფის მიზნით, დაფინანსებულია ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის და წყლის ხარჯი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დაგეგმილია, სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის საერთო საცხოვრებელი შენობის/შენობების და ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო კორპუსის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (მრავალწლიანი (2025-2026) და აღნიშნული შენობების მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა (მრავალწლიანი (2025-2028)), რასაც განახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო.

ქვეპროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებელია სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დასახელება		პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ
სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა	აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი			747 830
	ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი			675 510
	ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი			611 340
კონფერენციის მოწყობა, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება და წიგნადი ფონდის განახლების ხარჯები	კონფერენციის მოწყობის ხარჯი			40 000
	ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება			300 000
	წიგნადი ფონდის განახლება			120 000
უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის დაფინანსება	უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის გავლა			150 000
ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობა	ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა			1 280 000
	მიმდინარე სარემონტო სამუშაოები			800 000
კომუნალური ხარჯი	ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის და წყლის ხარჯი			900 000

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა, მასთან დაკავშირებული ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ჩათვლით	საერთო საცხოვრებელი შენობის/შენობების და ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო კორპუსი			500 000
პროგრამის კოორდინატორი		1	1 650	19 800
ქვეპროგრამის ჯამი				6 144 480
დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა	X	X	X	X
ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება, კონფერენციის მოწყობა და წიგნადი ფონდის განახლების ხარჯები	X	X	X	X
უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის დაფინანსება	X	X	X	X
ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობა	X	X	X	X
კომუნალური ხარჯი	X	X	X	X
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა	X	X	X	X
პროგრამის კოორდინატორი	X	X	X	X

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი - შეუფერხებლად ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას	ხელშეწყობილია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	რაოდენობა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	წლიური	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ანგარიში
კონფერენციის მოწყობისა და სამეცნიერო ნაშრომების გამოცემის და მასთან დაკავშირებული ხარჯები	ჩატარებულია საშუალოდ სამი კონფერენცია	რაოდენობა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	წლიური	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ანგარიში
ხელშეწყობილია უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის/სტაჟირების გავლა	ეფექტურად ხორციელდება უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში წელიწადში საშუალოდ 100-150 სტუდენტის სასწავლო პრაქტიკის/სტაჟირების გავლა	რაოდენობა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	წლიური	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ანგარიში
გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა	ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა, რომელიც გათვლილია 1 500 სტუდენტზე ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. N15-ში	რაოდენობა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	წლიური	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ანგარიში
შესყიდულია საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაცია და დაწყებულია სამუშაოები	საერთო საცხოვრებელი შენობის/შენობების და ბსუს ტექნოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო კორპუსი	რაოდენობა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	წლიური	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ანგარიში

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 06 02

ქვეპროგრამის დასახელება:

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2 500 000
სულ ბიუჯეტი:	2 500 000

ქვეპროგრამის მიზანი:

საერთაშორისო და ნაციონალური საგანმანათლებლო და საზღვაო კანონმდებლობის შესაბამისად უმაღლესი საზღვაო და მომიჯნავე დარგების კვალიფიციური კადრების მომზადება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობა - ავტორიზაციის საგანმანათლებლო სტანდარტების უზრუნველსაყოფად, აკადემიის შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია, სასწავლო სივრცეების ინვენტარით და თანამედროვე, მრავალფუნქციური ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა. აკრედიტაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სასწავლო ლაბორატორიების და ტრენაჟორების შეძენა, არსებული ლაბორატორიების და ტრენაჟორების აღჭურვილობის განახლება, სტუდენტთა სპორტული უნარების განსავითარებლად, აკადემიის ეზოში არსებული ღია სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური გარემოს შესაქმენლად, ელექტრონულ სერვისებზე მაქსიმალური წვდომის უზრუნველსაყოფად, სასწავლებლის აღჭურვა WI-FI სისტემით, კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების მართვის წერტილების დაცულობის უზრუნველსაყოფად კომპიუტერული უსაფრთხოების გაძლიერება, სასერვერო და ქსელური სისტემის მოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება დაცვის მომსახურების შესყიდვა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა - ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აკადემიის უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად კომუნალური და სხვა მსგავის გადასახადების დაფარვა.

საზღვაო პრაქტიკა - მეზღვაურთა სერთიფიცირების,წვრთნისა და ვახტაზე დგომის შესახებ საერთაშორისო კონვენციის (STCW) და „მეზღვაურთა განათლებისა და სერთიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მეზღვაურებს ესაჭიროებათ 12 თვიანი სავალდებულო საზღვაო პრაქტიკა სავახტო თანამშრომლის კომპეტენციის სერთიფიკატის მისაღებად. აღნიშნული 12 თვიანი საზღვაო სავალდებულო პრაქტიკიდან ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საკმარისია 6 თვიანი საზღვაო სავალდებულო პრაქტიკა, რომელიც დაფინანსდება ქვეპროგრამის ფარგლებში. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი მომსახურების შეძენას აკადემია განხორციელებს გარე ორგანიზაციებისგან (ეს მეთოდი აპრობირებულია ზოგიერთ ევროპულ და აზიურ ქვეყნებში, სადაც საზღვაო განათლების საფასური ითვალისწინებს პრაქტიკის ღირებულებას).

ქვეპროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებელია სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობა			2 150 000
უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა			300 000
საზღვაო პრაქტიკა	8		50 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			2 500 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობა	x	x	x	x
უმადლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	x	x	x	x
სტუენტთა სასწავლო პრაქტიკის უზრუნველყოფა		x	x	

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სწავლების ხარისხის განვითარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; კვალიფიციური კადრების მომზადება საზღვაო-სავაჭრო ფლოტსა და მომიჯნავე დარგებში დასასაქმებლად.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მატერიალურ ტექნიკური ბაზის რეაბილიტაცია	გაუმჯობესებულია საზღვაო აკადემიის ტექნიკური ბაზა და სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება ეფექტურად.	რაოდენობა	სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	წლიური	სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	ანგარიში
საშუალოდ 8 სტუდენტი გაივლის სრულფასოვან, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის 6 თვიან საზღვაო პრაქტიკას	8 სტუდენტი გაივლის სრულფასოვან, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის 6 თვიან საზღვაო პრაქტიკას	რაოდენობა	სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	წლიური	სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	ანგარიში

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 06 03

ქვეპროგრამის დასახელება: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:	
დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1 650 000
სულ ბიუჯეტი:	1 650 000

ქვეპროგრამის მიზანი:
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის აღწერა:
"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნებია: ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა და დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია; პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა და სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება. აღნიშნული მიზნების მიღწევის მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების პროფესიულ, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა - ქვეპროგრამის ფარგლებში სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი უმაღლესი განათლების პროფესიულ, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით დააფინანსებს დაწესებულების აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, მკვლევართა, მასწავლებელთა და სხვ. შრომის ანაზღაურებას.

ავტორიზაცია და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია - იმისათვის რომ უნივერსიტეტმა განხორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა, აუცილებელია ინსტიტუციური ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის გავლა. სწორედ ავტორიზაცია და აკრედიტაცია საზომი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხზე და სტანდარტთან შესაბამისობაზე. უნივერსიტეტი ზრუნავს მოქმედი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებულ აკრედიტაციაზე (ხელოვნების მასწავლებლის მომზადების).

მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება - უნივერსიტეტი ასევე გააგრძელებს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფასა და აღჭურვას ახალი, თანამედროვე სასწავლო ტექნიკით, ინვენტარით, სახელმძღვანელოებითა და სახარჯი მასალებით, ინფრასტრუქტურული გაუმჯობესებას.
ქვეპროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებელია სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა			1 550 000
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საფასური			40 000

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია			8 000
მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება			52 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1 650 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა	X	X	X	X
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია და ავტორიზაცია	X	X	X	X
მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი შეუფერხებლად ახორციელებს უმაღლესი განათლების პროფესიულ, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს; უნივერსიტეტს კანმდებლობით დადგენილი წესით გავლილი აქვს ავტორიზაცია; საგანმანათლებლო პროგრამებს გავლილი აქვს კლასტერული აკრედიტაცია; გამართული და განახლებულია ინფრასტრუქტურა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ხელშეწყობილია სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების განხორციელება და პროგრამების აკრედიტაცია	ხელშეწყობილია უმაღლესი განათლება	რაოდენობა	სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	წლიური	სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ანგარიში
უნივერსიტეტს კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი აქვს ავტორიზაცია.	ხელშეწყობილია უმაღლესი განათლება	რაოდენობა	სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	წლიური	სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ანგარიში
საგანმანათლებლო პროგრამებს გავლილი აქვს აკრედიტაცია	ხელშეწყობილია უმაღლესი განათლება	რაოდენობა	სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	წლიური	სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ანგარიში

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 06 04

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	
დასახელება	2025 წელი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი	560 000
სულ ბიუჯეტი:	560 000

ქვეპროგრამის მიზანი:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა, ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგანმანათლებლო, სამეცნიერო დაწესებულებების მხარდაჭერა. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასწავლო უნივერსიტეტი აერთიანებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების, აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების, სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის, სოციალურ მეცნიერებათა და ჯანდაცვის, და ქართველოლოგიური კვლევების განყოფილებას და სხვა საგანმანათლებლო საქმიანობას.

ასევე უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ისტორიის, ფილოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, განათლების, ჟურნალისტიკის, აგრარული მეცნიერებების, საექთნო საქმის, ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობის, სამართალმცოდნეობის, მათემატიკის პროგრამებს. ასევე სამაგისტრო პროგრამებს ისტორიის, ფილოლოგიის, ქართველური ენათმეცნიერების, ხელოვნებათმცოდნეობის, განათლების, აგრარული მეცნიერებების, არქეოლოგიის, ჟურნალისტიკის, მათემატიკის, საჯარო მმართველობის, ბიზნესის ადმინისტრირება -ფინანსების მიმართულებით და სხვა. სასწავლო უნივერსიტეტი ფუნქციონირებს შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურში. უნივერსიტეტში სწავლება და კვება უფასოა. მნიშვნელოვანია მაღალმთიან მუნიციპალიტეტში ხელშეწყობილი და მხარდაჭერილი იქნას უნივერსიტეტის საქმიანობა, უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

ქვეპროგრამის ფარგლებში წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად დაფარავს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საფასურს და მასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს, კომუნალურ და სხვა გადასახადებს, ასევე დაიფარება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მოწყობის ხარჯები.

ქვეპროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებელია ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი.

სასწავლო კორპუსის რეაბილიტაცია;

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა			110 000
აკრედიტაცია/ავტორიზაცია			80 000
ინფრასტრუქტურის განვითარება			370 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			560 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	X	X	X	X
აკრედიტაცია/ინფრასტრუქტურის განვითარება			X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი შეუფერხებლად ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობას.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ხელშეწყობილია ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების განხორციელება	ხელშეწყობილია უმაღლესი განათლება; გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა.	რაოდენობა	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	წლიური	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	ანგარიში

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 07

პროგრამის დასახელება:

საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურება, გაძლიერებული (ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა;
 სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა;
 სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა;
 სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის საჯარო სკოლა;
 სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა;
 სსიპ ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლა;
 სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლა;
 სსიპ ვახტანგ პაპუნაძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა;
 სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლა

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	8 347 500	1 873 560	2 157 980	2 157 980	2 157 980
სულ ბიუჯეტი:	8 347 500	1 873 560	2 157 980	2 157 980	2 157 980

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

ა) სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში გაძლიერებულია მათემატიკის სწავლება; გაძლიერებული სწავლებისათვის უზრუნველყოფილია სსიპ რუსლან მელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ვაშლოვანის საჯარო სკოლის მატერიალურ ტექტიკური ბაზა;

სსიპ ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლასა და სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლაში ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობის გამო სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის სირთულეების დასაძლევად და მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად შესაბამისი პირობების შექმნა;

ბ) სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლაში, სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლაში, სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლასა და სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის საჯარო სკოლაში სააღმზრდელო მომსახურეობის პირობების შექმნა;

გ) ინკლუზიურ განათლებასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვიდან გამომდინარე, ქვეპროგრამის მიზანია სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლასა და სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლაში ექსტრაკურსული, ინკლუზიური განათლების პროგრამების (სერვისების) ამოქმედება სსსმ მოსწავლეებისათვის მათი ჯანმრთელობის, განვითარების და განათლების ხელშეწყობისა და ბავშვთა აკადემიური და სოციალური მზაობისათვის.

პროგრამის აღწერა:

ა) "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 62 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საპანსიონო მომსახურეობის მქონე საჯარო სკოლებში (სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა; სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა; სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა; სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის საჯარო სკოლა) სააღმზრდელო მომსახურეობის და სხვა თანმდევი ხარჯების დაფინანსებას.

ბ) სსიპ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ბაზაზე (ბათუმის განათლების და მეცნიერების ქალაქი) ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლება და გაძლიერებული სწავლებისათვის უზრუნველყოფილია სსიპ რუსლან მელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ვაშლოვანის საჯარო სკოლის მატერიალურ ტექტიკური ბაზა;

გ) სსიპ ვახტანგ პაპუნაძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის, სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის, სსიპ ბათუმის N26 საჯარო სკოლისა და სსიპ ბათუმის N17 საჯარო სკოლებში ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა, სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის სირთულეების დასაძლევად და მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად შესაბამისი პირობების შექმნა.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლების და გაძლიერებული (ფიზიკა-მათემატიკა) სწავლების ხელშეწყობა	5 261 100	1 101 960	1 386 380	1 386 380	1 386 380
ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა	3 086 400	771 600	771 600	771 600	771 600
სულ პროგრამა	8 347 500	1 873 560	2 157 980	2 157 980	2 157 980

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

70 მოსწავლე უზრუნველყოფილია საპანსიონო მომსახურებით. გაძლიერებული ფიზიკა-მათემატიკის სწავლების კურსი გაიარა 150 მოსწავლემ;
120 მოსწავლე უზრუნველყოფილია ინკლუზიური სერვისებით.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

68 მოსწავლე უზრუნველყოფილია საპანსიონო მომსახურებით. გაძლიერებული ფიზიკა-მათემატიკის სწავლების კურსი გაიარა 3000 მოსწავლემ;
104 მოსწავლე უზრუნველყოფილია ინკლუზიური სერვისებით.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

მოსწავლეებისათვის შექმნილია ცხოვრების, აღზრდისა და სწავლისათვის აუცილებელი შესაბამისი პირობები; გაძლიერებული ფიზიკა-მათემატიკის სწავლება; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს აქვთ ხარისხიანი ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო)	მოგროვების მეთოდი
	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი				
სკოლებში გაზრდილია სწავლის და სწავლების მოტივაცია	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა; სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა; სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა; სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის საჯარო სკოლა; არაუმეტეს 70 მოსწავლე სარგებლობს საპანსიონო მომსახურებით	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა; სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა; სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა; სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის საჯარო სკოლა; არაუმეტეს 60 მოსწავლე სარგებლობს საპანსიონო მომსახურებით	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა; სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა; სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა; სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის საჯარო სკოლა; არაუმეტეს 50 მოსწავლე სარგებლობს საპანსიონო მომსახურებით	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა; სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა; სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა; სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის საჯარო სკოლა; არაუმეტეს 40 მოსწავლე სარგებლობს საპანსიონო მომსახურებით	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა; სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა; სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა; სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის საჯარო სკოლა;	ანგარიში
გადიერებული მათემატიკის სწავლების კურსი;	არანაკლებ 300 მოსწავლე გადის გაძლიერებული ფიზიკა/მათემატიკის სწავლების კურსს;	არანაკლებ 400 მოსწავლე გადის გაძლიერებული ფიზიკა/მათემატიკის სწავლების კურსს;	არანაკლებ 500 მოსწავლე გადის გაძლიერებული ფიზიკა/მათემატიკის სწავლების კურსს;	არანაკლებ 500 მოსწავლე გადის გაძლიერებული ფიზიკა/მათემატიკის სწავლების კურსს;	რაოდენობა		სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა; სსიპ რუსლან მელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ვაშლოვანის საჯარო სკოლის გაძლიერებული სწავლება	

<p>ინკლუზიურ განათლებასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა</p>	<p>საშუალოდ 104 სსმ მოსწავლე ჩართულია სერვისებში</p>	<p>საშუალოდ 150 სსმ მოსწავლე ჩართულია სერვისებში</p>	<p>საშუალოდ 150 სსმ მოსწავლე ჩართულია სერვისებში</p>	<p>საშუალოდ 150 სსმ მოსწავლე ჩართულია სერვისებში</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები</p>	<p>სსიპ ვახტანგ პაპუნაძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა, სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლა, სსიპ ბათუმის N26 საჯარო სკოლა და სსიპ ბათუმის N17 საჯარო სკოლა</p>	<p>ანგარიში</p>
--	--	--	--	--	------------------	--	--	-----------------

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურების, გაძლიერებული (ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 07 04

ქვეპროგრამის დასახელება:

საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლების და გაძლიერებული (ფიზიკა-მათემატიკა) სწავლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1 101 960
სულ ბიუჯეტი:	1 101 960

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლების ხელშეწყობა;

სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში გაძლიერებული მათემატიკის სწავლების ხელშეწყობა;

სსიპ რუსლან მელამის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლაში გაძლიერებული მათემატიკის და ინგლისური ენის სწავლების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

საპანსიონო მომსახურება

"ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 6² პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლებში (სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა; სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა; სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა; სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის საჯარო სკოლა) ფუნქციონირების და სხვა თანმდევი ხარჯების დაფინანსებას.

სსიპ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა

სსიპ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ბაზაზე (ბათუმის განათლებისა და მეცნიერების ქალაქი) ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლება.

სსიპ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ბათუმის განათლებისა და მეცნიერების ქალაქში არსებული ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სკოლის ბაზაზე ჩარიცხვა ხორციელდება სკოლის მიერ ორგანიზებული სპეციალური შესარჩევი კონკურსის წარმატებით გავლის შემდეგ.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერა მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, არაფორმალური განათლების და სამეცნიერო, კულტურულ, სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა - სამეცნიერო მუშაობისთვის საჭირო უნარების განვითარების ხელშეწყობი, ასევე ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობი პროექტების განხორციელება.

ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების ხელშეწყობა ითვალისწინებს:

(ა) სასწავლო-საგანმანათლებლო ტექნიკით, ინვენტარით და რესურსებით აღჭურვას;

(ბ) დასაქმებული სპეციალისტების შრომის ანაზღაურებას და ფუნქციონირების თანმდევი ხარჯების დაფინანსებას.

სსიპ რუსლან მელამის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლა

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერა მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მათემატიკისა და ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების ხელშეწყობა ითვალისწინებს:

(ა) სასწავლო-საგანმანათლებლო ტექნიკით, ინვენტარით და რესურსებით აღჭურვას;

(ბ) დასაქმებული სპეციალისტების შრომის ანაზღაურებას და ფუნქციონირების თანმდევი ხარჯების დაფინანსებას.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა	1	100 000	100 000
სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა	1	50 820	50 820
სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა	1	88 730	88 730
სსიპ დაბა შუახევის საჯარო სკოლა	1	55 400	55 400
სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა	1	444 160	444 160
სსიპ რუსლან მელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლა	1	341 250	341 250
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება (12 თვე)	1	1 800	21 600
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1 101 960

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის ფრიდონ თურმანიძის სახელობის სოფელ მერისის საჯარო სკოლა სსიპ დაბა შუახევის საჯარო სკოლა	X	X	X	X
სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა	X	X	X	X
სსიპ რუსლან მელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლა	X	X	X	X
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სკოლებში გაზრდილია სწავლის და სწავლების მოტივაცია;
სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში გაძლიერებულია მათემატიკის სწავლება;
სსიპ რუსლან მელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლის გაძლიერებული სწავლება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სკოლებში გაზრდილია სწავლის და სწავლების მოტივაცია	<p>სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა;</p> <p>სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა;</p> <p>სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა;</p> <p>სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის საჯარო სკოლა;</p> <p>არაუმეტეს 70 მოსწავლე სარგებლობს საპანსიონო მომსახურებით</p>	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები	წელიწადში ერთხელ	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა, სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა, სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა და სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის საჯარო სკოლა	ანგარიში
გამიერებული მათემატიკის და ინგლისური ენის სწავლების კურსი;	არანაკლებ 300 მოსწავლე გადის გამლიერებული მათემატიკის და ინგლისური ენის სწავლების კურსს;	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები	წელიწადში ერთხელ	სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა და სსიპ რუსლან მელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლა	ანგარიში

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურების, გაძლიერებული (ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 07 05

ქვეპროგრამის დასახელება: ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	771 600
სულ ბიუჯეტი:	771 600

ქვეპროგრამის მიზანი:

სსიპ ვახტანგ შაპუნაძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის, სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის, სსიპ ბათუმის N26 საჯარო სკოლისა და სსიპ ბათუმის N17 საჯარო სკოლებში ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა, სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის სირთულეების დასაძლევად და მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად შესაბამისი პირობების შექმნა.

ქვეპროგრამის აღწერა:

პროექტის ფარგლებში, ინკლუზიური განათლების ცენტრები მომსახურებას გაუწევენ თითოეულ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სსსმ მოსწავლეებს სკოლის შემდგომი საგანმანათლებლო და რეკრეაციული აქტივობების შეთავაზების გზით.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ამოცანები:

1. სსიპ ვახტანგ შაპუნაძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის, სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის, სსიპ ბათუმის N26 საჯარო სკოლისა და სსიპ ბათუმის N17 საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების ცენტრების საგანმანათლებლო და რეკრეაციული სექციების რესურსებით აღჭურვას;
2. სსსმ მოსწავლეთა სკოლის შემდგომი საგანმანათლებლო და რეკრეაციული სერვისებით უზრუნველყოფა - სსიპ ვახტანგ შაპუნაძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის, სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის, სსიპ ბათუმის N26 საჯარო სკოლისა და სსიპ ბათუმის N17 საჯარო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინკლუზიის, ზრუნვის და განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გახორციელდება სხვადასხვა სერვისები: საგანმანათლებლო, სახელოვნებო, სპორტული და სხვა, ასევე სხვადასხვა სკოლის სმენადაქვეითებული მოსწავლეები გაივლიან მეტყველების თერაპიის კურსს.

ინკლუზიური განათლების პროგრამები (სერვისების) ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეების ჯანმრთელობას, განვითარებას და განათლებას, რაც წინაპირობაა მათი აკადემიური და სოციალური მზაობისათვის. სსსმ მოსწავლეები სასწავლო პროცესის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნებიან მათთვის საჭირო მომსახურებით,

ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა ითვალისწინებს:

- (ა) სსიპ ვახტანგ შაპუნაძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის, სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის, სსიპ ბათუმის N26 საჯარო სკოლისა და სსიპ ბათუმის N17 საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების ცენტრების საგანმანათლებლო და რეკრეაციული სექციების რესურსებით აღჭურვას;
- (ბ) სსიპ ვახტანგ შაპუნაძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის, სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის, სსიპ ბათუმის N26 საჯარო სკოლისა და სსიპ ბათუმის N17 საჯარო სკოლებში დასაქმებული სპეციალისტების შრომის ანაზღაურებას;
- (გ) სსიპ ვახტანგ შაპუნაძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის, სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის, სსიპ ბათუმის N26 საჯარო სკოლებში ბენეფიციარების კვების, ტრანსპორტირების (სსიპ ბათუმის N26 საჯარო სკოლა) და ოთხივე ცენტრის ფუნქციონირების თანმდევი ხარჯების დაფინანსებას.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სსიპ ვახტანგ პაპუნძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა	1	105 000	105 000
სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლა	1	130 000	130 000
სსიპ ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლა	1	440 000	440 000
სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლა	1	75 000	75 000
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება (12 თვე)	1	1 800	21 600
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			771 600

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სსიპ ვახტანგ პაპუნძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა	X	X	X	X
სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლა	X	X	X	X
სსიპ ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლა	X	X	X	X
სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლა	X	X	X	X
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება (12 თვე)	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სსიპ ვახტანგ პაპუნძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის, სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის, სსიპ ბათუმის N26 საჯარო სკოლისა და სსიპ ბათუმის N17 საჯარო სკოლებში ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა. სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის სირთულეების დასაძლევად და მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად შესაბამისი პირობები შექმნილია

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა. სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის სირთულეების დასაძლევად და მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად შესაბამისი პირობების შექმნა</p>	<p>საშუალოდ 104 სსმ მოსწავლე ჩართულია სერვისებში</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები</p>	<p>წელიწადში ერთხელ</p>	<p>სსიპ ვახტანგ პაპუნძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა, სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლა, სსიპ ბათუმის N26 საჯარო სკოლა და სსიპ ბათუმის N17 საჯარო სკოლა</p>	<p>ანგარიში</p>

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 08

პროგრამის დასახელება:

ზოგადი განათლება

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	8 125 000	2 275 000	1 950 000	1 950 000	1 950 000
სულ ბიუჯეტი:	8 125 000	2 275 000	1 950 000	1 950 000	1 950 000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლის ხარისხის ამაღლება და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა

პროგრამის აღწერა:

- 1.1. პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებისათვის კონკურსის წესით შეირჩევიან და დასაქმდებიან მასწავლებლები;
- 2.1. ჩატარდება საგნობრივი ოლიმპიადები; კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის; ლიტერატურული მარათონი, სახვითი ხელოვნების კონკურსი და სხვ;
- 2.2. დაფინანსდება სასკოლო კლუბების და ბიბლიოთეკების ინიციატივები;
- 2.3. მოეწყობა საგანმანათლებლო/შემეცნებითი ღონისძიებები;

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ქვეპროგრამა 1- ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის	4 725 000	1 425 000	1 100 000	1 100 000	1 100 000
ქვეპროგრამა 2 - კონკურსები და ოლიმპიადები	3 400 000	850 000	850 000	850 000	850 000
სულ პროგრამის ბიუჯეტი	8 125 000	2 275 000	1 950 000	1 950 000	1 950 000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

- პროგრამის ფარგლებში
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში კონკურსის წესით შეირჩა და დასაქმდა საშუალოდ 30 მასწავლებელი;
 - ხელშეწყობილია ახალგაზრდა მასწავლებლების პროფესიული განვითარება, უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და ადაპტაცია სკოლებში;
 - პროგრამის ფარგლებში კონკურსის წესით შეირჩა და დაფინანსდა 20 სასკოლო კლუბი;
 - კონკურსებისა და ოლიმპიადების კატეგორიაში ჩატარდა კონკურსები: სახვითი ხელოვნება, ლიტერატურული მარათონი, კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის, ესეების კონკურსი; საგნობრივი ოლიმპიადები;
 - ჩატარდა საგანმანათლებლო/შემეცნებითი ღონისძიებები/საზაფხულო სკოლა.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში კონკურსის წესით შეირჩევა და დასაქმდება საშუალოდ 30 მასწავლებელი;
- პროგრამის ფარგლებში კონკურსის წესით შერჩეული და დაფინანსებულია არანაკლებ 20 სასკოლო კლუბის ინიციატივა; კონკურსებსა და ოლიმპიადებში ჩაერთვება საშუალოდ 15 000 მოსწავლე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლებიდან;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში გაზრდილია განათლების ხელმისაწვდომობა; გაუმჯობესებულია სასწავლო გარემო; სკოლებში გაზრდილია სწავლის მოტივაცია; სკოლებში გაზრდილია მასწავლებელთა მოტივაცია.

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ზოგადი განათლება	
------------------	--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 08 01
----------------------------------	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1 425 000
სულ ბიუჯეტი:	1 425 000

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრა და ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.
--

ქვეპროგრამის აღწერა:

მასწავლებლები მაღალმთიან აჭარაში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო) ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა და კვალიფიციური კადრების შერჩევა და იმ სკოლებში დასაქმება, სადაც ამის განსაკუთრებული საჭიროებაა. ქვეპროგრამის ამოცანაა კვალიფიციური კადრების შესაბამის ვაკანტურ ადგილებზე მოზიდვა და დასაქმება; სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების სასწავლო პროცესში დანერგვა-გამოყენების ხელშეწყობა, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაზრდა, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველთა შერჩევა ხდება კონკურსის საფუძველზე, გარდა 2024 წელს პროგრამაში ჩართული პედაგოგებისა (მათთვის სკოლების შეთავაზება და ახალი ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდება ვაკანსიების თაობაზე განახლებული ინფორმაციის საფუძველზე) კონკურსის პირველ ეტაპზე მოხდება კონკურსანტთა განაცხადების გადარჩევა, მეორე ეტაპზე გასაუბრება.

ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეული მასწავლებლის მოვალეობაა:

- ა) ასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანი;
- ბ) ხელი შეუწყოს არაფორმალურ განათლებას (საგნობრივი წრის შექმნა, დამატებით გაკვეთილების ჩატარება; შემეცნებითი და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა და ღონისძიებების ორგანიზება);
- გ) პროფესიული განვითარების აქტივობებში ჩართვა;
- დ) პორტფოლიოს წარმოება;
- ე) შუალედური და საბოლოო ანგარიშის მომზადება.

ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეული მასწავლებლები დაიტვირთებიან სკოლებში არსებული ვაკანტური საგაკვეთილო საათებით. აღნიშნული საქმიანობისათვის ისინი მიიღებენ ანაზღაურებას 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ ბრძანების შესაბამისად. ასევე, შერჩეული მასწავლებლები დამატებით მიიღებენ სახელფასო დანამატს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ახალგაზრდა კადრების პროფესიული განვითარება - მიზანია დამწყები მასწავლებლების პროფესიული მხარდაჭერა, სასწავლო პრაქტიკის ხელშეწყობა და სკოლებსა და სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის კავშირის გაძლიერება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცდება ღონისძიების "ახალგაზრდა კადრების პროფესიული განვითარება" განხორციელების დებულება.

პროექტი ჩემს გაკვეთილზე - მიზანია ხელი შეუწყოს მასწავლებლებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში საგანმანათლებლო აქტივობების გამრავალფეროვნების გზით. XXI საუკუნეში მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება, არამედ იმ უნარ-ჩვევების დაუფლება და განვითარება, რომლებიც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში კონკურენტუნარიანსა და წარმატებულს გახდის. სწორედ ამ კონტექსტის გათვალისწინებითაა საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტი სწავლების მეთოდი. პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს ინტეგრირებულ სწავლებას. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი საჯარო სკოლების მასწავლებლებს. პროგრამაში მონაწილეობისთვის დაინტერესებულმა პირმა სამინისტროში უნდა წარმოადგინოს განაცხადი. კონკურსში გამარჯვებული მასწავლებელი მიიღებს სახელფასო დანამატს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცდება: დებულება, საკონკურსო კომისია, რომელიც ღია კონკურსის საფუძველზე გამოავლენს ქვეპროგრამის ბენეფიციარებს; განისაზღვრება ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა დამატებითი პირობები.

მასწავლებელთა წახალისება - ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება აჭარის საჯარო სკოლების წარმატებულ მასწავლებლებთან შეხვედრა და ერთჯერადი ფულადი ჯილდო;
საგნების გამლიერებული სწავლება - ითვალისწინებს სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში, კერძოდ, ქედის, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში ცალკეული საგნების გამლიერებული სწავლების უზრუნველყოფას (სასტუმროს, მგზავრობისა და ტექნიკურ მხარდაჭერის ხარჯები).

ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა - გათვალისწინებულია ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო შეხვედრების ორგანიზება და საგანმანათლებლო ინიციატივების დაფინანსება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცდება დამატებითი პირობები.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მასწავლებლის სახელფასო დანამატი (10 თვე)	30	7 500	225 000
ახალგაზრდა კადრების პროფესიული განვითარება	80	4063	325 000
პროექტი ჩემს გაკვეთილზე	200	3125	725 000
მასწავლებელთა წახალისება			15 000
საგნების გამლიერებული სწავლება			50 000
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა			85 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1 425 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მასწავლებლის სახელფასო დანამატი (10 თვე)	X	X	X	X
მასწავლებელთა წახალისება/პროექტი ჩემს გაკვეთილზე	X	X	X	X
ახალგაზრდა კადრების პროფესიული განვითარება		X	X	X
საგნების გამლიერებული სწავლება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი
 მაღალმთიან აჭარაში დასაქმებულია საშუალოდ 30 მასწავლებელი;
 მაღალმთიან აჭარაში ხელშეწყობილია საგნების გამლიერებული სწავლება;
 200 მასწავლებელი მხარდაჭერილია ინიციატიური პროექტების განხორციელებაში;
 80 ახალგაზრდა კადრის პროფესიული განვითარება;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საჯარო სკოლებში გაზრდილი განათლების ხელმისაწვდომობა	<p>მაღალმთიან აჭარაში დასაქმებულია საშუალოდ 30 მასწავლებელი;</p> <p>მაღალმთიან აჭარაში ხელშეწყობილია საგნების გაძლიერებული სწავლება; 200 მასწავლებელი მხარდაჭერილია ინივაციური პროექტების განხორციელებაში; 80 ახალგაზრდა კადრის პროფესიული განვითარება</p>	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები	წლიური	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ზოგადი განათლება	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 08 02

ქვეპროგრამის დასახელება:

კონკურსები და ოლიმპიადები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	850 000
სულ ბიუჯეტი:	850 000

ქვეპროგრამის მიზანი:

სწავლისა და სწავლების მოტივაციის ამაღლება

ქვეპროგრამის აღწერა:

- 1. საგნობრივი ოლიმპიადა** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო ჩაატარებს საგნობრივ ოლიმპიადას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისათვის. საგნობრივ ოლიმპიადაში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.
- 2. კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო ჩაატარებს კონკურსს მათემატიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (დაწყებითი საფეხური და საბაზო საფეხური) და ისტორიასა და სამოქალაქო განათლებაში (საბაზო საფეხური) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის. კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით;
- 3. ლიტერატურული მართონი** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო ჩაატარებს ლიტერატურულ მართონს, რომლის მიზანია კითხვის პოპულარიზაცია მოსწავლეებში. კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით;
- 4. სახვითი ხელოვნების კონკურსი** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო ჩაატარებს ხატვის კონკურსს, რომლის მიზანია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახვითი ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების აღმოჩენა და წახალისება. კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით;
- 5. ესეების კონკურსი** - კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით;
- 6. სასკოლო კლუბების განვითარება**- სასკოლო კლუბების განვითარების ხელშეწყობის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს სასკოლო კლუბების ინიციატივებს. პროექტების წარმომდგენი იქნება შესაბამისი სკოლა ან მცირეკონტიგენტიანი სკოლების შემთხვევაში სკოლები. გამარჯვებულ პროექტებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს მიერ შექმნილი სპეციალური კომისია;

7. სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარება - სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარებისა და წიგნის კითხვის პოპულარიზაციის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო კონკურსის გზით დააფინანსებს საჯარო სკოლის პროექტებს. გამარჯვებულ პროექტებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს მიერ შექმნილი სპეციალური კომისია.
ქვეპროგრამის ფარგლებში საჯარო სკოლების ბიბლიოთეკები შეივსება ქართული და მსოფლიო კლასიკოსების, საბავშვო, საყმაწვილო, შემეცნებითი ხასიათისა და სხვა სახის ლიტერატურით. მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით,

8. საგანმანათლებლო/შემეცნებითი ღონისძიებები - საგანმანათლებლო/შემეცნებითი ღონისძიებები საქართველოს ფარგლებს გარეთ (ქართველი და უცხოელი მოსწავლეების საპასუხო ვიზიტი), ვიზიტი თურქეთის სამეცნიერო ბანაკში;

9. საზაფხულო სკოლა - ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საზაფხულო სკოლ(ებ)ის ორგანიზებას. საზაფხულო სკოლების მიზანია დამატებითი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი შესაძლებლობების გაჩენა მოსწავლეებისთვის, ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების მოსწავლეებისთვის.

ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერის - ფარგლებში გათვალისწინებულია 2024 წლის ქვეპროგრამის კონკურსებსა და ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოების ხარჯები.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საგნობრივი ოლიმპიადა; კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის; ლიტერატურული მარათონი, სახვითი ხელოვნების კონკურსი; ესეების კონკურსი	5	20 000	100 000
საგანმანათლებლო/შემეცნებითი ღონისძიებები	3	40 000	120 000
საზაფხულო სკოლა	10	40 000	400 000
სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარება	20	3 000	60 000
სასკოლო კლუბების განვითარება	20	2 500	50 000
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	1	120 000	120 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			850 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საგნობრივი ოლიმპიადა; კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის; ლიტერატურული მარათონი, სახვითი ხელოვნების კონკურსი; ესეების კონკურსი;	X	X	X	X
სასკოლო კლუბების ინიციატივების დაფინანსება/სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარება	X	X	X	X
საგანმანათლებლო/შემეცნებითი ღონისძიებები/საზაფხულო სკოლა		X	X	X
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სკოლებში გაზრდილია სწავლის და სწავლების მოტივაცია

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სკოლებში გაზრდილია სწავლის და სწავლების მოტივაცია	საშუალოდ 15 000 მოსწავლე ჩართულია სხვადასხვა კონკურსებში, ოლიმპიადაში, შეჯიბრებებში, საგანმანათლებლო/შემეცნებითი ღონისძიებებში; დაფინანსებულია 20 სასკოლო კლუბის ინიციატივა; დაფინანსებულია 20 სასკოლო ბიბლიოთეკის პროექტი; ორგანიზებულია 10 საზაფხულო სკოლა; დაჯილდოებულია გამარჯვებული მოსწავლეები	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

უწყვეტი განათლება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0509

პროგრამის დასახელება: უწყვეტი განათლება

პროგრამის განმახორციელებელი: ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	3 571 300	871 300	900 000	900 000	900 000
სულ ბიუჯეტი:	3 571 300	871 300	900 000	900 000	900 000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

მოსახელობისთვის ქართული (ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებისთვის), აფხაზური და უცხო ენების, TOEFL-ის გამოცდისათვის მოსამზადებელ კურსებზე სწავლა, კომპიუტერული უნარ ჩვევების შესწავლა, ასევე უსინათლოთათვის და შშმ პირთათვის კომპიუტერული უნარ ჩვევების შესწავლა.
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლება, სკოლის ადმინისტრაციისა და კლასის დამრიგებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ტრენერთა კვალიფიკაციის ამაღლება.

პროგრამის აღწერა:

განათლების პოპულარიზაციისა და საზოგადოების სოციალური მხარდაჭერის მიზნით განათლების ფონდი ახორციელებს მოსახლეობისათვის ქართული (ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის), აფხაზური და უცხო ენების, TOEFL-ის გამოცდისათვის მოსამზადებელი კურსების, კომპიუტერული უნარ ჩვევების შესწავლა, ასევე უსინათლოთათვის და შშმ პირთათვის უცხო ენის და კომპიუტერული უნარ ჩვევების შესწავლა.
 აჭარის არ მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ რეგიონიდან გაუსვლელად აიმაღლონ კვალიფიკაცია, ჩაერთონ მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში, ითანამშრომლონ კოლეგებთან და ერთობლივად დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც მათ პროფესიულ განვითარებაზე დადებითად აისახება.
 პროფესიული განვითარების კურსები ხორციელდება სხვადასხვა მიმართულებით: საგნობრივი, პროფესიული უნარ-ჩვევების და სხვა, რომლებიც თავის მხრივ იშლება მოდულებად. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მასწავლებელი მუდმივად უნდა იყოს ჩართული შემდეგ აქტივობებში:
 მასწავლებელთა საგნობრივი და პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლება, სკოლის ადმინისტრაციისა და პერსონალის წევრებს შესაძლებლობა ექნებათ განიახლონ ცოდნა, გაეცნონ სასკოლო საზოგადოებასთან მუშაობის მეთოდებს და პროექტების ორგანიზების საკითხებს. მონაწილეობა მიიღონ აჭარის პედაგოგთა რეგიონულ კონფერენციაში.
 საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებების მასწავლებლები სტაჟირებას გაივლის შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში არსებულ ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში (CERN) არაუმეტეს 4 ფიზიკის მასწავლებელი და პოლონეთში, სტაჟირებას გაივლის საგანთა 12 მასწავლებელი.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
უწყვეტი განათლება	3 571 300	871 300	900 000	900 000	900 000
სულ პროგრამა	3 571 300	871 300	900 000	900 000	900 000

ქართული (ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის), აფხაზური და უცხო ენების შემსწავლელ და TOEFL-ის გამოცდისათვის მოსამზადებელ კურსებს გაივლის არაუმეტეა 1000 მსმენელი, კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს დაეუფლება არაუმეტეს 180 მსმენელი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის მიმართულებაში პროფესიული განვითარების კუთხით გათვალისწინებულ სხვადასხვა აქტივობები (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები) 2022 წლის აგვისტომდე გაიარა: *სქემის სტატუსის შესაბამისი ტრენინგები: *უფროსი მასწავლებელი - 2 605 მსმენელმა; *წამყვანი მასწავლებელი - 321 მსმენელმა; *ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა - 145 მსმენელმა; * ადრეული სკოლამდელი განათლების - 280 მსმენელმა. 2022 წლის ბოლომდე კიდევ გაივლის - * ადრეული სკოლამდელი განათლების - 128 მსმენელი; *უფროსი და წამყვანი მასწავლებელი - 1868 მსმენელი; *ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა - 200 მსმენელი. ორგანიზება გაეწევა მასწავლებელთა რეგიონალურ კონფერენციას, გაიცემა ერთჯერადი ფასიანი საჩუქრები საუკეთესო ათი პროექტის ავტორისთვის.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

ხელმისაწვდომია ქართული (ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის), აფხაზური და უცხო ენების შესწავლა, TOEFL-ის გამოცდისათვის მოსამზადებელი კურსების გავლა;

ხელმისაწვდომია კომპიუტერული უნარ ჩვევების შესწავლა ;

ხელმისაწვდომია ასევე უსინათლოთათვის კომპიუტერული უნარ ჩვევების შესწავლა;

ხელმისაწვდომია მასწავლებელთა გადამზადება: მ/შ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებების საგანის მასწავლებელთა გადამზადება პოლონეთში; ფიზიკის მასწავლებელთა გადამზადება შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში არსებულ ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში (CERN).

მოქმედ პედაგოგთა საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების გაუმჯობესება. საგაკვეთილო პროგრამის და სწავლების მეთოდოლოგიების ეფექტურად გამოყენების უნარების განვითარება. სკოლის ადმინისტრაციისა და პერსონალის წევრები დაეუფლებიან საჭირო უნარ – ჩვევებს და შეიძენენ ახალ ცოდნას, რასაც შემდგომ დაწერგავენ თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში;

კონფერენცია: აჭარის პედაგოგთა რეგიონულ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს 100 -მდე მონაწილე.

რეგიონულ კონფერენციებში მონაწილეობით მასწავლებლებს მიეცემა შესაძლებლობა გაიზიარონ საუკეთესო გამოცდილება.

კვალიფიცირებული ტრენინგების ქსელის შექმნა, რომლებსაც შეუძლიათ პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა სკოლებში.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ხელმისაწვდომია ქართული (ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის), აფხაზური და უცხო ენების შესწავლა, TOEFL-ის გამოცდისათვის მოსამზადებელი კურსების გავლა;

ხელმისაწვდომია კომპიუტერული უნარ ჩვევების შესწავლა ;

ხელმისაწვდომია ასევე უსინათლოთათვის კომპიუტერული უნარ ჩვევების და უცხო ენების შესწავლა;

ხელმისაწვდომია მასწავლებელთა გადამზადება.

მასწავლებელთა კვალიფიცირებული ტრენინგების ქსელის შექმნა, რომლებსაც შეუძლიათ პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა სკოლებში;

სკოლამდელი აღზრდის მასწავლებელთა გადამზადება; პრაქტიკოს პედაგოგთა საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების გაუმჯობესება. საგაკვეთილო პროგრამის და სწავლების მეთოდოლოგიების ეფექტურად გამოყენების უნარების განვითარება. სკოლის ადმინისტრაციისა და პერსონალის წევრები დაეუფლებიან საჭირო უნარ – ჩვევებს და შეიძენენ ახალ ცოდნას, რასაც შემდგომ დაწერგავენ თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში;

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 10

პროგრამის დასახელება:

პროფესიული და უმაღლესი განათლება

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო
--

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	16 978 550	4 315 550	4 221 000	4 221 000	4 221 000
სულ ბიუჯეტი:	16 978 550	4 315 550	4 221 000	4 221 000	4 221 000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლის ხარისხის ამაღლება და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა

პროგრამის აღწერა:

- სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება გაიცემა სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე;
- უმაღლესი განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამით გათვალისწინებულია კონფერენციების, სეზონური სკოლების დაფინანსება, უცხოეთში სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა;
- ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა;
- სწავლა საზღვარგარეთ ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეიცარიაში და ნორვეგიაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული პირების დაფინანსება;
- უცხოეთში სტაჟირების ქვეპროგრამით გათვალისწინებულია სტაჟირების გაგზავნა/მიღება პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
- პროფესიული განათლების ხელშეწყობა

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ქვეპროგრამა 1- სტუდენტთა დახმარება	7 250 000	1 490 000	1 920 000	1 920 000	1 920 000
ქვეპროგრამა 2 - უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	2 695 000	595 000	700 000	700 000	700 000
ქვეპროგრამა 3 - ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა	825 150	645 150	60 000	60 000	60 000
ქვეპროგრამა 4 - სწავლა საზღვარგარეთ	5 445 000	1 395 000	1 350 000	1 350 000	1 350 000
ქვეპროგრამა 5 - უცხოეთში სტაჟირება	443 400	110 400	111 000	111 000	111 000
ქვეპროგრამა 6 - პროფესიული განათლების ხელშეწყობა	320 000	80 000	80 000	80 000	80 000
სულ პროგრამის ბიუჯეტი	16 978 550	4 315 550	4 221 000	4 221 000	4 221 000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

- პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 1086 სტუდენტი;
- მხარდაჭერილია 12 ახალგაზრდა მეცნიერი; დაფინანსებულია 11 სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზება, 6 წიგნის თარგმნა/ბეჭდვა;
- ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მიმართულებებზე დაფინანსებულია 53 სტუდენტი. ;
- საშუალოდ 40 დაფინანსების გაცემა სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლის მიზნით;
- გაიცა 46 დაფინანსება საბაკალავრო პროგრამაზე;
- უცხოეთში სტაჟირების ქვეპროგრამის ფარგლებში მიღებულია/გაგზავნილია 6-6 სტაჟიორი.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

- პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საშუალოდ 1200 სტუდენტი;
- საშუალოდ 10 სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზება, საშუალოდ 5 წიგნის თარგმნა/ბეჭდვა ;
- დაფინანსებულია STEM და ქართველოლოგიის მიმართულებით ჩარიცხული 60 სტუდენტი; მხარდაჭერილია 150 წარჩინებული სტუდენტი; საშუალოდ 350 50% - 70% - 100% გრანტის მფლობელი პირველი კურსის სტუდენტი.
- საშუალოდ 50 დაფინანსების გაცემა სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლის მიზნით;
- საშუალოდ 50 დაფინანსების გაცემა საბაკალავრო პროგრამაზე;
- უცხოეთში სტაჟირების ქვეპროგრამის ფარგლებში მიღებულია/გაგზავნილია საშუალოდ 8-8 სტაჟიორი;
- მხარდაჭერილია: 10 პროფესიული განათლების სპეციალისტის მონაწილეობა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში და საშუალოდ ერთი საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზება.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

დაფინანსებულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება; გაზრდილია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა საზღვარგარეთ; ხელმისაწვდომია განათლების მიღება ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მიმართულებებზე. პროფესიული განათლების სპეციალისტებისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი					
გაზრდილია უმაღლესი განათლების ხარისხი და ხელმისაწვდომობა; გაზრდილია პროფესიული განათლების ხარისხი	უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომია	დაფინანსდება საშუალოდ 1200 სტუდენტი	დაფინანსდება საშუალოდ 1200 სტუდენტი	დაფინანსდება საშუალოდ 1200 სტუდენტი	დაფინანსდება საშუალოდ 1200 სტუდენტი	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება
	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება ხელმისაწვდომია	დაფინანსებულია 10 სამეცნიერო/საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზება; დაფინანსებულია 5 წიგნის თარგმნა/ბეჭდვა	დაფინანსებულია 10 სამეცნიერო/საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზება; დაფინანსებულია 5 წიგნის თარგმნა/ბეჭდვა	დაფინანსებულია 10 სამეცნიერო/საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზება; დაფინანსებულია 5 წიგნის თარგმნა/ბეჭდვა	დაფინანსებულია 10 სამეცნიერო/საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზება; დაფინანსებულია 5 წიგნის თარგმნა/ბეჭდვა	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება
	უმაღლესი განათლება ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მიმართულებებზე ხელმისაწვდომია.	დაფინანსებულია საშუალოდ 560 სტუდენტი. კურსის სტუდენტი	დაფინანსებულია საშუალოდ 560 სტუდენტი. კურსის სტუდენტი	დაფინანსებულია საშუალოდ 560 სტუდენტი. კურსის სტუდენტი	დაფინანსებულია საშუალოდ 560 სტუდენტი. კურსის სტუდენტი	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება

<p>გაზრდილია უმაღლესი განათლების მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელმისაწვდომობა საზღვარგარეთ</p>	<p>საშუალოდ 50 დაფინანსების გაცემა სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლის მიზნით; საშუალოდ 50 დაფინანსების გაცემა საბაკალავრო პროგრამაზე</p>	<p>საშუალოდ 50 დაფინანსების გაცემა სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლის მიზნით; საშუალოდ 50 დაფინანსების გაცემა საბაკალავრო პროგრამაზე</p>	<p>საშუალოდ 50 დაფინანსების გაცემა სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლის მიზნით; საშუალოდ 50 დაფინანსების გაცემა საბაკალავრო პროგრამაზე</p>	<p>საშუალოდ 50 დაფინანსების გაცემა სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლის მიზნით; საშუალოდ 50 დაფინანსების გაცემა საბაკალავრო პროგრამაზე</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>განათლების დეპარტამენტი</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო</p>	<p>ხელშეკრულება</p>
<p>გაზრდილია კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული სპეციალისტების რაოდენობა</p>	<p>გაგზავნილია საშუალოდ 8 სტაჟიორი, მიღებულია საშუალოდ 8 სტაჟიორი</p>	<p>გაგზავნილია საშუალოდ 8 სტაჟიორი, მიღებულია საშუალოდ 8 სტაჟიორი</p>	<p>გაგზავნილია საშუალოდ 8 სტაჟიორი, მიღებულია საშუალოდ 8 სტაჟიორი</p>	<p>გაგზავნილია საშუალოდ 8 სტაჟიორი, მიღებულია საშუალოდ 8 სტაჟიორი</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>განათლების დეპარტამენტი</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო</p>	<p>ანგარიში</p>
<p>პროფესიული განათლების სპეციალისტებისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა.</p>	<p>ერთი საგანმანათლებლო ღონისძიების დაფინანსება; საშუალოდ 10 ბენეფიციარის მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებაში</p>	<p>ერთი საგანმანათლებლო ღონისძიების დაფინანსება; საშუალოდ 10 ბენეფიციარის მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებაში</p>	<p>ერთი საგანმანათლებლო ღონისძიების დაფინანსება; საშუალოდ 10 ბენეფიციარის მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებაში</p>	<p>ერთი საგანმანათლებლო ღონისძიების დაფინანსება; საშუალოდ 10 ბენეფიციარის მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებაში</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>განათლების დეპარტამენტი</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო</p>	<p>ხელშეკრულება</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პროფესიული და უმაღლესი განათლება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 10 01

ქვეპროგრამის დასახელება:

სტუდენტთა დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1 490 000
სულ ბიუჯეტი:	1 490 000

ქვეპროგრამის მიზანი:

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ქვეპროგრამის აღწერა:

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებას მიიღებენ:

1. 2020, 2021, 2022, 2023 და 2024 წელს "სტუდენტთა დახმარების" ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეული ბენეფიციარები, რომლებიც გადალახავენ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ბარიერს. სემესტრში ერთ სტუდენტზე დასაფინანსებლად მაქსიმალურად გაიცემა 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი.

2. 2025 წელს შერჩეული ბენეფიციარები - სემესტრში ერთ სტუდენტზე დასაფინანსებლად მაქსიმალურად გაიცემა 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი. 2025 წელს ბენეფიციარების შერჩევა მოხდება ორ ეტაპად. ორივე ეტაპზე მიიღება პირველი - მეექვსე კურსის სტუდენტების საბუთები (ის პირველი კურსის სტუდენტები, რომლებიც ჩარიცხულნი არიან 2025 წლამდე). სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაიცემა სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ სემესტრის მიხედვით აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით დადგენილი სტუდენტთა დაფინანსების მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში. იმ შემთხვევაში თუკი სტუდენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოიპოვებს სახელმწიფო გრანტის ნაწილობრივ ოდენობას, სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში მისი სწავლის საფასური შეივსება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, სამინისტროს მიერ დადგენილი სტუდენტთა დაფინანსების მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში.

შერჩევის კრიტერიუმები

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხით დაფინანსდებიან სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანხა გადაეცემა შემდეგი კატეგორიის სტუდენტს:

- რომელიც არის **მალალმთიანი აჭარიდან** - ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მალალმთიან მუნიციპალიტეტში (ქედა, შუახევი, ხულო, ასევე ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების საქართველოს მთავრობის N671 დადგენილებით განსაზღვრულ სოფლებში) არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- რომელიც არის **ობოლი** (დედით ან მამით, უდედმამო), ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- რომელიც არის **მრავალშვილიანი** ოჯახის წევრი (ოთხი ან მეტი შვილი), ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

4. რომლის ოჯახი რეგისტრირებულია **სოციალურად დაუცველი** ოჯახების მონაცემთა ბაზაში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 150 000-ზე, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

5. რომელიც არის მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული **შეზღუდული შესაძლებლობის** მქონე პირი, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

6. რომელსაც ან რომლის მშობელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს **მარტოხელა მშობლის** (მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის) სტატუსი, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

7. რომელიც არის საქართველოს **ტერიტორიული მთლიანობისათვის**, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად ზომიერად/მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანი ან მისი შვილი, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

8. რომელიც არის **აუტიზმის სპექტრის აშლილობის** (ზოგადი აშლილობების ჯგუფიდან ერთ-ერთი: F84.0, F84.1, F84.2, F84.3, F84.4, F84.5, F84.8, F84.9) მქონე პირი, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

იმ სტუდენტის მონაცემები, რომელიც ერთდროულად განეკუთვნება ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ რამდენიმე კატეგორიას, დაფინანსების მოსაპოვებლად განიხილება ჯერ პირველი კატეგორიის მიხედვით, ხოლო შემდგომ ამ ქვეპროგრამით განსაზღვრული კატეგორიების ფარგლებში თანმიმდევრობის მიხედვით.

თუ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ რომელიმე კატეგორიაში შემავალი სტუდენტების რაოდენობა (შემდგომში - დასაფინანსებელი სტუდენტი), რომლებიც მონაწილეობენ ამ ქვეპროგრამაში, აღემატება შესაბამისი კატეგორიისათვის გამოყოფილი ადგილების (შემდგომში ადგილი) რაოდენობას, თანხა გაიცემა სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების საშუალო არითმეტიკული ქულის, ან კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული საგნის, ან საგნების საშუალო არითმეტიკული ქულის საფუძველზე.

თუ, ორ ან მეტ სტუდენტს აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად მიღებული აქვს თანაბარი საშუალო არითმეტიკული ქულა, თანხა გაიცემა ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის სტუდენტის შემთხვევაში - ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული საკონკურსო ქულის საფუძველზე და მაგისტრატურის სტუდენტის შემთხვევაში - საერთო სამაგისტრო გამოცდის ჯამური, ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად ჩაბარებული გამოცდის/გამოცდების ჯამური შედეგების საფუძველზე.

სტუდენტი, რომლის აკადემიური მოსწრება საშუალო არითმეტიკულით იქნება 71% და მეტი ეძლევა ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება. თუკი სტუდენტი აკადემიურ მოსწრებას საშუალო არითმეტიკულით შეინარჩუნებს 71% და მეტს ავტომატურად ხდება პრეტენდენტი შემდეგი სემესტრის დაფინანსების მიღებაზე. აკადემიური მოსწრების გამოთვლა ხდება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით, მთელი სიზუსტის დამრგვალებით.

დაფინანსებული სტუდენტი, რომელსაც ბოლო სემესტრის რომელიმე საგანში იქნება F შეფასება (საგნის თავიდან გავლა) გამოეთიშება ქვეპროგრამას.

სტუდენტებს, რომლებიც ვერ გადალახავენ აკადემიური მოსწრების ბარიერს, უფლება აქვთ თავიდან გაიარონ კონკურსი სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ვადებში. სტუდენტს, რომელიც გაემგზავრება გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაფინანსება გაუგრძელდება საზღვარგარეთ სწავლის პერიოდის მანძილზე საზღვარგარეთ გავლილი კრედიტების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებისა და 71% -იანი ბარიერის გადალახვის დოკუმენტების წარმოდგენამდე.

სტუდენტს, რომელსაც სტუდენტის სტატუსი შეუჩერდება/შეუწყდება არაუმეტეს 1 წლისა, შეუნარჩუნდება დაფინანსება სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტიდან პროგრამის არსებობის შემთხვევაში. დაფინანსების აღდგენის დროს მხედველობაში მიიღება სტატუსის შეჩერებამდე/შეწყვეტამდე ბოლო სემესტრის შეფასება.

ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის (რომელზეც სწავლობს შესაბამისი სტუდენტი) სტატუსის დაკარგვის შემთხვევაში (გარდა კანონმდებლობის შესაბამისად რიგგარეშე მობილობის გამოცხადებისა) სამინისტრო დაფინანსებულ სტუდენტს სწავლის დაფინანსებას გაუგრძელებს, თუ სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს თორმეტი თვის ვადაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ან/და იმ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გავლის (რომელზეც სწავლობს დაფინანსებული სტუდენტი) ან დაფინანსებული სტუდენტის ამავე დაწესებულებაში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობით ჩარიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცდება: ქვეპროგრამის დებულება; კატეგორიებში ადგილების რაოდენობა; საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, რომელიც კონკურსის საფუძველზე გამოავლენს ქვეპროგრამის ბენეფიციარებს; განისაზღვრება ქვეპროგრამაში მონაწილეობისთვის ვადები და სხვა დამატებითი პირობები.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სტუდენტთა დახმარება	1200	1242	1 490 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1 490 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სტუდენტთა დახმარება - ბენეფიციარის გამოვლენა/დაფინანსება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

დაფინანსდება საშუალოდ 1200 სტუდენტი

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
უმადლესი განათლება ხელმისაწვდომია	დაფინანსდება საშუალოდ 1200 სტუდენტი	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი	წელიწადში ორჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პროფესიული და უმაღლესი განათლება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 10 02

ქვეპროგრამის დასახელება:

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	595 000
სულ ბიუჯეტი:	595 000

ქვეპროგრამის მიზანი:

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

კონფერენცია

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონფერენცი(ებ)ის მოწყობას. ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს. დაფინანსება გაიცემა გრანტის სახით.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- კონფერენციის ორგანიზატორთა ჰონორარი - ადმინისტრირების ხარჯი;
- კონფერენციის მონაწილეთა სასტუმროს/ტრანსპორტირების/კვების ხარჯი;
- კონფერენციის მოსაწყობად საჭირო ფართის და აპარატურის დაქირავების ხარჯი;
- კონფერენციის მასალების ბეჭდვა;
- სხვა საქონელი და მომსახურება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცდება: დებულება, საკონკურსო კომისია, რომელიც კონკურსის საფუძველზე გამოავლენს ქვეპროგრამის ბენეფიციარებს; განისაზღვრება ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები და სხვა დამატებითი პირობები.

სეზონური სკოლა

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სეზონური სკოლ(ებ)ის ორგანიზებას. ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს. დაფინანსება გაიცემა გრანტის სახით.

პროექტის ფარგლებში შეიძლება დაფინანსდეს:

- სეზონური სკოლის მომხსენებელთა/ორგანიზატორთა ჰონორარი, სასტუმროს, ტრანსპორტირების და კვების ხარჯი;
- სეზონური სკოლის მონაწილეთა სასტუმროს, ტრანსპორტირების და კვების ხარჯი;
- სეზონური სკოლისათვის საჭირო ფართის და აპარატურის დაქირავების ხარჯი;
- სხვა საქონლისა და მომსახურების ხარჯი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცდება: დებულება, საკონკურსო კომისია, რომელიც კონკურსის საფუძველზე გამოავლენს ქვეპროგრამის ბენეფიციარებს; განისაზღვრება ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები და სხვა დამატებითი პირობები.

საერთაშორისო კონფერენცია - ადრეული განათლება და ზრუნვა (International Conference on Early Childhood Education and Care - ECEC)

კონფერენცია ჩატარდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, გაეროს ბავშვთა ფონდთან საქართველოში (UNICEF Georgia) და სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორობით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კონფერენციის მონაწილეთა სასტუმროს/კვების ხარჯი, კონფერენციის მასალების ბეჭდვა და სხვ. კონფერენციის მიზანია სკოლამდელი და ადრეული განათლების საკითხების წამოწევა, პრობლემების გაანალიზება და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება.

სტუდენტური ფორუმი

სტუდენტური ფორუმის მიზანია უმაღლესი განათლების აქტუალური საკითხების და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება. ფორუმის ფარგლებში ორგანიზება გაეწევა აკადემიურ და პრაქტიკულ სესიებს, მასტერკლასებს, შემეცნებით აქტივობებს და სხვ. დაფინანსდება სტუდენტების მიერ ინიცირებული პროექტ(ებ)ი.

უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს სამეცნიერო სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა/რედაქტირება/ბეჭდვას. ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს. დაფინანსება გაიცემა გრანტის სახით.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ორგანიზატორთა ჰონორარი - ადმინისტრირების ხარჯი; საავტორო უფლების მოპოვების ხარჯი; თარგმნის ხარჯი; რედაქტირების ხარჯი; დაკაბადონება/დიზაინი/ბეჭდვის ხარჯი და სხვ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცდება: დებულება, საკონკურსო კომისია, რომელიც კონკურსის საფუძველზე გამოავლენს ქვეპროგრამის ბენეფიციარებს; განისაზღვრება ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები და სხვა დამატებითი პირობები.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
კონფერენცია	5	30 000	150 000
სეზონური სკოლა	3	15 000	45 000
საერთაშორისო კონფერენცია ადრეული განათლება და ზრუნვა (International Conference on Early Childhood Education and Care - ECEC)	1	50 000	50 000
სტუდენტური ფორუმი	1	300 000	300 000
უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა	5	10 000	50 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			595 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
კონფერენცია/სეზონური სკოლა	X	X	X	X
საერთაშორისო კონფერენცია ადრეული განათლება და ზრუნვა (International Conference on Early Childhood Education and Care - ECEC)/სტუდენტური ფორუმი	X	X	X	X
უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

10 სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზება; დაფინანსებულია 5 წიგნის თარგმნა/ბეჭდვა

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება ხელმისაწვდომია	10 სამეცნიერო/საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება; დაფინანსებულია 5 წიგნის თარგმნა/ბეჭდვა	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი	წლის განმავლობაში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პროფესიული და უმაღლესი განათლება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 10 03

ქვეპროგრამის დასახელება:

ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	645 150
სულ ბიუჯეტი:	645 150

ქვეპროგრამის მიზანი:

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაუგრძელდება 2022, 2023 და 2024 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარებს, რომლებიც სწავლას გააგრძელებენ იგივე მიმართულებით და გადალახავენ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ აკადემიურ ბარიერს (81 % ან მეტი).
სტუდენტებზე ქვეპროგრამით გათვალისწინებული ფინანსური დახმარება სასწავლო წლის განმავლობაში გაიცემა ერთჯერ 1000 ლარის ოდენობით. იმ სტუდენტებზე, რომლებსაც სწავლის დამთავრებამდე დარჩენილი აქვთ ერთი სემესტრი გაიცემა 500 ლარი.
ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის წესით შეირჩევა ახალი ბენეფიციარებიც.

2025 წელს ბენეფიციარების შერჩევის წესი

ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ერთი წლით ადრე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცემა სტუდენტებზე რომლებსაც აქვთ აქტიური სტუდენტის სტატუსი და სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე STEM (სწავლის ფართო სფერო: 05- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა; 06- ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები; 07- ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა; 08- სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია) მიმართულებით.
ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცემა სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების საშუალო არითმეტიკული ქულის, ან კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული საგნის, ან საგნების საშუალო არითმეტიკული ქულის საფუძველზე. აკადემიური მოსწრების გამოთვლა ხდება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკული გამოთვლით, მთელი სიზუსტის დამრგვალებით.
ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის აკადემიური მოსწრება საშუალო არითმეტიკულით იქნება 81% და მეტი.

თუ, სტუდენტების რაოდენობა (შემდგომში - დასაფინანსებელი სტუდენტი), რომლებიც მონაწილეობენ ამ ქვეპროგრამაში, აღემატება დასაფინანსებელი სტუდენტების (შემდგომში ადგილი) რაოდენობას, თანხა გაიცემა სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების საშუალო არითმეტიკული ქულის, ან კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული საგნის, ან საგნების საშუალო არითმეტიკული ქულის საფუძველზე.

თუ, ორ ან მეტ სტუდენტს აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად მიღებული აქვს თანაბარი საშუალო არითმეტიკული ქულა, თანხა გაიცემა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული საკონკურსო ქულის საფუძველზე. მაგისტრატურის სტუდენტის შემთხვევაში - საერთო სამაგისტრო გამოცდის ჯამური, ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად ჩაბარებული გამოცდის/გამოცდების ჯამური შედეგების საფუძველზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცდება: ქვეპროგრამის დებულება; საკონკურსო კომისია, რომელიც კონკურსის საფუძველზე გამოავლენს ქვეპროგრამის ბენეფიციარებს;
განისაზღვრება ქვეპროგრამაში მონაწილეობისთვის ვადები და სხვა დამატებითი პირობები.

ტარიელ ფუტკარამის სახელობის სტიპენდია

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაუგრძელდება 2022, 2023 და 2024 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარებს, რომლებიც სწავლას გააგრძელებენ იგივე მიმართულებით და გადალახავენ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ აკადემიურ ბარიერს (81 % ან მეტი).

სტუდენტებზე ქვეპროგრამით გათვალისწინებული ფინანსური დახმარება სასწავლო წლის განმავლობაში გაიცემა ერთჯერ 1000 ლარის ოდენობით. იმ სტუდენტებზე, რომლებსაც სწავლის დამთავრებამდე დარჩენილი აქვთ ერთი სემესტრი გაიცემა 500 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის წესით შეირჩევა ახალი ბენეფიციარებიც.

2025 წელს ბენეფიციარების შერჩევის წესი

ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ერთი წლით ადრე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს.

ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცემა სტუდენტებზე რომლებსაც აქვთ აქტიური სტუდენტის სტატუსი და სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქართველოლოგიის მიმართულებით.

ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცემა სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების საშუალო არითმეტიკული ქულის, ან კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული საგნის, ან საგნების საშუალო არითმეტიკული ქულის საფუძველზე. აკადემიური მოსწრების გამოთვლა ხდება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკული გამოთვლით, მთელი სიზუსტის დამრგვალებით.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის აკადემიური მოსწრება საშუალო არითმეტიკულით იქნება 81% და მეტი.

თუ, სტუდენტების რაოდენობა (შემდგომში - დასაფინანსებელი სტუდენტი), რომლებიც მონაწილეობენ ამ ქვეპროგრამაში, აღემატება დასაფინანსებელი სტუდენტების (შემდგომში ადგილი) რაოდენობას, თანხა გაიცემა სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების საშუალო არითმეტიკული ქულის, ან კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული საგნის, ან საგნების საშუალო არითმეტიკული ქულის საფუძველზე.

თუ, ორ ან მეტ სტუდენტს აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად მიღებული აქვს თანაბარი საშუალო არითმეტიკული ქულა, თანხა გაიცემა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული საკონკურსო ქულის საფუძველზე. მაგისტრატურის სტუდენტის შემთხვევაში - საერთო სამაგისტრო გამოცდის ჯამური, ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად ჩაბარებული გამოცდის/გამოცდების ჯამური შედეგების საფუძველზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცდება: ქვეპროგრამის დებულება; საკონკურსო კომისია, რომელიც კონკურსის საფუძველზე გამოავლენს ქვეპროგრამის ბენეფიციარებს; განისაზღვრება ქვეპროგრამაში მონაწილეობისთვის ვადები და სხვა დამატებითი პირობები.

წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა

ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ერთი წლით ადრე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც სწავლობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში/ფილიალში/წარმომადგენლობაში - ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს არადაამთავრებელი კურსის სტუდენტს, რომლის 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შეფასების საშუალო არითმეტიკული შეადგენს 91% ქულას ან მეტს და აქვს აქტიური სტუდენტის სტატუსი. სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა სტატუსი 2024-2025 სასწავლო წლისთვის, სტატუსის აღდგენის შემთხვევაში წარმოადგენს წინა სემესტრის შეფასების დოკუმენტი.

სტუდენტებზე ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური დახმარება გაიცემა ერთჯერადად სასწავლო წლის განმავლობაში 1500 ლარის ოდენობით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცდება: ქვეპროგრამის დებულება, საკონკურსო კომისია, რომელიც კონკურსის საფუძველზე გამოავლენს ქვეპროგრამის ბენეფიციარებს; განისაზღვრება ქვეპროგრამაში მონაწილეობისთვის ვადები და სხვა დამატებითი პირობები.

50% - 70% - 100% გრანტის მფლობელი პირველი კურსის სტუდენტების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანხით დაფინანსდებიან სტუდენტები, რომლებიც 2025 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, მოიპოვეს 50% - 70% ან 100% სასწავლო გრანტი და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიღებული აქვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ რესურსცენტრებზე დაქვემდებარებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

სტუდენტებზე ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური დახმარება გაცივმა ერთჯერადად შემდეგი პრინციპით:

- ა) სტუდენტებზე, რომელსაც მოპოვებული აქვს 50% სასწავლო გრანტი 500 ლარი;
- ბ) სტუდენტებზე, რომელსაც მოპოვებული აქვს 70% სასწავლო გრანტი 1000 ლარი;
- გ) სტუდენტებზე, რომელსაც მოპოვებული აქვს 100% სასწავლო გრანტი 2000 ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცდება: ქვეპროგრამის დებულება, საკონკურსო კომისია, რომელიც კონკურსის საფუძველზე გამოავლენს ქვეპროგრამის ბენეფიციარებს;

განისაზღვრება ქვეპროგრამაში მონაწილეობისთვის ვადები და სხვა დამატებითი პირობები.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების	40	1000	40 000
ტარიელ ფუტკარამის სახელობის სტიპენდია	20	1000	20 000
წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა	150	1500	225 000
50%- 70% - 100% გრანტის მფლობელი პირველი კურსის სტუდენტების მხარდაჭერა	350	1029	360 150
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			645 150

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ბენეფიციარის გამოვლენა/დაფინანსება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

დაფინანსებულია საშუალოდ 560 სტუდენტი.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
უმადლესი განათლება ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მიმართულებებზე ხელმისაწვდომია.	დაფინანსებულია საშუალოდ 560 სტუდენტი.	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი	წლის განმავლობაში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პროფესიული და უმაღლესი განათლება	
----------------------------------	--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 10 04
----------------------------------	----------

ქვეპროგრამის დასახელება:	სწავლა საზღვარგარეთ
--------------------------	---------------------

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1 395 000
სულ ბიუჯეტი:	1 395 000

ქვეპროგრამის მიზანი:

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

<p>სწავლა საზღვარგარეთ</p> <p>ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ორი წლით ადრე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ჩარიცხულია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეიცარიაში და ნორვეგიაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეორე /მესამე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე პირს, რომელიც ჩარიცხულია პოსტ საბაკალავრო/პოსტ სამაგისტრო სახელოვნებო პროგრამაზე.</p> <p>ქვეპროგრამის მონაწილე სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების (სწავლის საფასური, ცხოვრების ხარჯები, ტრანსპორტის ხარჯები, სამედიცინო დაზღვევა, ვიზა და ვიზასთან დაკავშირებული ხარჯები, სასწავლო რესურსების შეძენა და ა.შ.) დაფინანსების მიზნით სამინისტროდან მიიღებს ფინანსურ დახმარებას გრანტის სახით.</p> <p>დაფინანსების გაცემის წესი:</p> <ol style="list-style-type: none"> 2025 წელს კონკურსის წესით შერჩეული აპლიკანტები მიიღებენ ფინანსურ დახმარებას გრანტის სახით ერთი სემესტრის ხარჯის გაწევის მიზნით არაუმეტეს 15 000 ლარისა; 2022, 2023 და 2024 წელს კონკურსის წესით შერჩეული აპლიკანტები მიიღებენ ფინანსურ დახმარებას გრანტის სახით წლის განმავლობაში ერთი სემესტრის ხარჯის გაწევის მიზნით არაუმეტეს 15 000 ლარისა; ორი სემესტრის ხარჯის გაწევის მიზნით არაუმეტეს 30 000 ლარისა; სამი სემესტრის ხარჯის გაწევის მიზნით არაუმეტეს 35 000 ლარისა; <p>2022 წელს კონკურსის წესით შერჩეული ქვეპროგრამის მონაწილე ავტომატურად ხდება დაფინანსების გაგრძელების პრეტენდენტი თუკი ის მოიპოვებს სწავლის გაგრძელების უფლებას და სამინისტროში წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს.</p> <p>2023, 2024 და 2025 წელს კონკურსის წესით შერჩეული ქვეპროგრამის მონაწილე ავტომატურად ხდება დაფინანსების გაგრძელების პრეტენდენტი თუკი ის მოიპოვებს შემდეგ სემესტრში/წელს სწავლის გაგრძელების უფლებას და დაფინანსებულ სემესტრში/წელს GPA ექნება არანაკლებ 2,5; 100 - ქულიანი შეფასების სისტემის არსებობის შემთხვევაში 61 და მეტი, ან მინიმუმ (D), ან შესაბამისი შეფასება განსხვავებული სისტემის შემთხვევაში, ან წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლითაც დადასტურდება, რომ დაფინანსებულ სემესტრში გავლილი სასწავლო კურსების ჩაბარება გათვალისწინებულია მომდევნო სემესტრის/წლის დაწყების შემდეგ. აღნიშნულ შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია შეფასების დოკუმენტი წარმოადგინოს შეფასების განხორციელებისთანავე, სადაც შეფასება უნდა იყოს არანაკლებ ზემოთ აღნიშნულისა.</p> <p>ქვეპროგრამის მონაწილე, რომელსაც სასწავლო პროცესი შეუწყდება ჯანმრთელობის მდგომარეობის და სხვა ისეთი ობიექტური გარემოებების არსებობისას, რომელიც მას ხელს შეუშლის სწავლის გაგრძელებაში, შეუნარჩუნდება სამინისტროდან მიღებული დაფინანსება სწავლის გაგრძელების მომენტიდან. სასწავლო პროცესის შეწყვეტის პერიოდი უნდა მოიცავდეს არაუმეტეს ორ სასწავლო სემესტრს.</p> <p>2022, 2023, 2024 და 2025 წელს კონკურსის წესით შერჩეული ქვეპროგრამის მონაწილე იღებს ვალდებულებას სწავლის დასრულებიდან (გარდა სწავლის უცხოეთში გაგრძელებისა) არაუგვიანეს 6 თვისა, ხოლო უცხოეთში დასაქმების/სტაჟირების შემთხვევაში არაუგვიანეს ორი წლისა დაბრუნდეს საქართველოში 2 წლის ვადით.</p> <p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცდება: დებულება, საკონკურსო კომისია, რომელიც ღია კონკურსის საფუძველზე გამოავლენს ქვეპროგრამის ბენეფიციარებს; განისაზღვრება ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა დამატებითი პირობები.</p>

საბაკალავრო პროგრამა

ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არანაკლებ ერთი წლით ადრე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს.

ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც ისწავლის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეიცარიაში და ნორვეგიაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი სემესტრის მანძილზე და აქვს საქართველოში შესაბამისი უნივერსიტეტიდან თანხმობა სტუდენტის ერთი სემესტრით გაცვლის თაობაზე შემდგომში კრედიტების აღიარების და საქართველოში სწავლის გაგრძელების პირობით.

ქვეპროგრამის მონაწილე სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების (სწავლის საფასური, ცხოვრების ხარჯები, ტრანსპორტის ხარჯები, სამედიცინო დაზღვევა, ვიზა და ვიზასთან დაკავშირებული ხარჯები, სასწავლო რესურსების შეძენა და ა.შ.) დაფინანსების მიზნით სამინისტროდან მიიღებს ფინანსურ დახმარებას გრანტის სახით სემესტრის მანძილზე არაუმეტეს 12 500 ლარი).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცდება: დებულება და სხვა დამატებითი პირობები.

ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის ბენეფიციარებთან შემაჯამებელი შეხვედრების ორგანიზება.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სწავლა საზღვარგარეთ (გაცემული დაფინანსება)	50	15 000	750 000
საბაკალავრო პროგრამა (გაცემული დაფინანსება)	50	12 500	625 000
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	1	20 000	20 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1 395 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სწავლა საზღვარგარეთ/საბაკალავრო პროგრამა	X	X	X	X
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

საშუალოდ 50 დაფინანსების გაცემა სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლის მიზნით;
საშუალოდ 50 დაფინანსების გაცემა საბაკალავრო პროგრამაზე

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
გაზრდილია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა საზღვარგარეთ;	საშუალოდ 50 დაფინანსების გაცემა სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლის მიზნით; საშუალოდ 50 დაფინანსების გაცემა საბაკალავრო პროგრამაზე	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი	წლის განმავლობაში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პროფესიული და უმაღლესი განათლება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 10 05

ქვეპროგრამის დასახელება:

უცხოეთში სტაჟირება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	110 400
სულ ბიუჯეტი:	110 400

ქვეპროგრამის მიზანი:

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

სტაჟიორის გაგზავნა - ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არანაკლებ ერთი წლით ადრე რეგისტრირებულ 18-35 წლის მოქალაქეს, რომელსაც აქვს პროფესიული ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი და ფლობს იმ ქვეყნის სახელმწიფო ენას, სადაც სტაჟირებას გაივლის. სტაჟირების პერიოდი, რომლის ხანგრძლივობა 3-დან 7 თვემდეა, მოიცავს ერთთვიან უცხო ენის ინტენსიურ კურსს, პროფესიულ პრაქტიკას პროგრამის მონაწილე ევროპის რომელიმე რეგიონის კერძო ან საჯარო სტრუქტურაში და მიმღები რეგიონის მიერ შემუშავებულ კულტურულ პროგრამას. სტაჟიორი მასპინძელი რეგიონის ბიუჯეტიდან აკომოდაციისა და კვების ხარჯების დაფარვის მიზნით ფინანსდება ყოველთვიურ სტიპენდიით 700-დან 1200 ევრომდე. მიმღები რეგიონის მიერ არ ფინანსდება სტაჟიორის მგზავრობისა და ვიზის ხარჯები.

აპლიკანტთა შერჩევა განხორციელდება 2 ეტაპად: პირველ ეტაპზე, სამინისტროში დარეგისტრირებულ აპლიკანტთა პირად საქმეს შეისწავლის მინისტრის ბრძანებით შექმნილი კომისია. პირველ ეტაპზე შერჩეულ კანდიდატს, უფლება ეძლევა დარეგისტრირდეს პროგრამა ევროოდისეას ვებ-გვერდზე (eurodysey.aer.eu) სააპლიკაციო ანკეტის განთავსების მეშვეობით. ქვეპროგრამის ფარგლებში, იმ პირებს რომლებსაც 2020 - 2024 წლებში გავლილი აქვთ შერჩევის პირველი ეტაპი 2025 წელს არ მოუწევთ აღნიშნული ეტაპის ხელახლა გავლა. მეორე ეტაპზე, მიმღები რეგიონის კოორდინატორი, შეისწავლის კანდიდატის სააპლიკაციო ანკეტას და მასთან ონლაინ გასაუბრების საფუძველზე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სტაჟიორის შერჩევასთან დაკავშირებით. ქვეპროგრამის ფარგლებში სამინისტრო საბოლოოდ შერჩეულ კანდიდატებზე გასცემს ფინანსურ დახმარებას ერთჯერადი გასაცემელის სახით.

სტაჟიორის მიღება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სტაჟირების უფლება აქვს 18-35 წლის უცხოეთის მოქალაქეს, რომელსაც აქვს პროფესიული ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი და რომლის კანდიდატურაც წარმოდგენილია პროგრამის მონაწილე შესაბამისი რეგიონის მიერ სააპლიკაციო ანკეტის პროგრამის ვებგვერდზე - eurodysey.aer.eu განთავსების მეშვეობით. სამინისტრო შეისწავლის მისაღები სტაჟიორის სააპლიკაციო ანკეტას და მასთან ონლაინ გასაუბრების საფუძველზე მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სტაჟიორის შერჩევასთან დაკავშირებით. სტაჟირების პერიოდი 3 დან 6 თვემდეა და მოიცავს პროფესიულ პრაქტიკას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ საჯარო ან კერძო სტრუქტურებში, ქართული ენის შემსწავლელ ერთთვიან ინტენსიურ კურსს და სამინისტროს მიერ შემუშავებულ კულტურულ პროგრამას. აკომოდაციის, კვებისა და შიდა გადაადგილების ხარჯების დაფარვის მიზნით, სტაჟიორის ფინანსური დახმარება ერთჯერადი გასაცემელის სახით დაითვლება სტაჟირების ხანგრძლივობის მიხედვით (თვე გამრავლებული 2000 ლარი).

სტაჟიორის მიღების, მუშაობისა და სტაჟირების მიმდინარეობის მონიტორინგს ახორციელებს პროგრამის კოორდინატორი.

ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა
 სტაჟიორებისთვის ქართული ენის შემსწავლელი კურსების ორგანიზება და სხვ.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
უცხოეთში სტაჟირება (სტაჟიორის გაგზავნა)	8	2 000	16 000
უცხოეთში სტაჟირება (სტაჟიორის მიღება)	8	8 000	64 000
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება (12 თვე)	1	1 700	20 400
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	1	10 000	10 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			110 400

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სტაჟირება	X	X	X	X
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება (12 თვე)	X	X	X	X
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ სპეციალისტთა რაოდენობა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
გაზრდილია კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ სპეციალისტთა რაოდენობა	გაგზავნილია საშუალოდ 8 სტაჟიორი, მიღებულია საშუალოდ 8 სტაჟიორი	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი	წლის განმავლობაში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პროფესიული და უმაღლესი განათლება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 10 06

ქვეპროგრამის დასახელება:

პროფესიული განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	80 000
სულ ბიუჯეტი:	80 000

ქვეპროგრამის მიზანი:

პროფესიული განათლების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

კვალიფიკაციის ამაღლება
 ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელიც ასწავლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედ ავტორიზებულ საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც კვალიფიკაციას აიმაღლებს/სტაჟირებას გაივლის ან მონაწილეობას მიიღებს შემდეგი სახის საერთაშორისო ღონისძიებაში: კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი, სიმპოზიუმი, სემინარი, ტრენინგი. უპირატესობა მიენიჭებათ იმ პირებს, რომლებიც მონაწილეობენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, იაპონიაში, შვეიცარიაში და ნორვეგიაში.
 ქვეპროგრამის მონაწილე მიიღებს ფინანსურ დახმარებას არაუმეტეს 5000 ლარის ოდენობით გრანტის სახით. გრანტი შეიძლება გამოყენებულ იქნას რეგისტრაციის, ტრანსპორტის, ვიზის, ცხოვრების ხარჯების, სამედიცინო დაზღვევის და ა.შ. მიზნით.
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცდება: დებულება და სხვა დამატებითი პირობები.

საგანმანათლებლო ღონისძიება
 ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონფერენციის ორგანიზებას. ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. შესაძლებელია დაფინანსდეს ერთობლივი საგანმანათლებლო ღონისძიება. დაფინანსება გაიცემა გრანტის სახით.
 პროექტის ფარგლებში შეიძლება დაფინანსდეს:
 • ორგანიზატორთა ჰონორარი/ადმინისტრაციული ხარჯი;
 • მონაწილეთა სასტუმროს, ტრანსპორტირების და კვების ხარჯი;
 • საჭირო ფართის და აპარატურის დაქირავების ხარჯი;
 • სხვა საქონლისა და მომსახურების ხარჯი.
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცდება: დებულება, საკონკურსო კომისია, რომელიც კონკურსის საფუძველზე გამოავლენს ქვეპროგრამის ბენეფიციარებს; განისაზღვრება ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები და სხვა დამატებითი პირობები.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)

კვალიფიკაციის ამაღლება - სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა	10	5 000	50 000
საგანმანათლებლო ღონისძიება	1	30 000	30 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			80 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება/საგანმანათლებლო ღონისძიება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

პროფესიული განათლების სპეციალისტებისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
პროფესიული განათლების სპეციალისტებისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა.	ერთი საგანმანათლებლო ღონისძიების დაფინანსება; საშუალოდ 10 ბენეფიციარის მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებაში	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი	წლის განმავლობაში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0511

პროგრამის დასახელება:

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ „მელიტონ ბალანჩივადის ხელოვნების სკოლა“;
 ა(ა)იპ „ქ. ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა“;
 ა(ა)იპ „ქ. ბათუმის რევაზ ლალიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“;
 ა(ა)იპ „ქ. ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლა“;
 ა(ა)იპ „აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა“;
 ა(ა)იპ „ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლა“;
 ა(ა)იპ „ქ. ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1 435 949	1 435 949	0	0	0
სულ ბიუჯეტი:	1 435 949	1 435 949	0	0	0

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025- 2028 წლები

პროგრამის მიზანი:

სკოლისგარეშე სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა;
 სახელოვნებო განათლების ხარისხის ამაღლება და კულტურისა და ხელოვნების სფეროს კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფა;
 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და ამოქმედების ხელშეწყობა;
 სახელოვნებო საგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეების მხარდაჭერა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის გზით.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ემსახურება სახელოვნებო განათლების, როგორც კულტურის პრიორიტეტული სფეროს ხარისხის ამაღლების ხელშეწყობას და კულტურისა და ხელოვნების სფეროს უზრუნველყოფას კვალიფიციური კადრებით, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესება, ქორეოგრაფიით, კლასიკური მუსიკით და ხელოვნების სხვა დარგებით, შემეცნებითი აქტივობებით.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა(ა)იპ „მელიტონ ბალანჩივადის ხელოვნების სკოლა“;	395 810	395 810			
ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა“;	368 524	368 524			
ა(ა)იპ „რევაზ ლალიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“;	253 220	253 220			
ა(ა)იპ „ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლა“;	101 720	101 720			
ა(ა)იპ „აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა“;	111 470	111 470			

ა(ა)იპ „ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლა“;	106 300	106 300			
ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“	98 905	98 905			
სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	1 435 949	1 435 949	0	0	0

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

სახელოვნებო სკოლებში საგანმანათლებლო სწავლების კურსი გაიარა არანაკლებ 2 689 მოსწავლემ;
სასწავლო შემეცნებით პროექტებში მონაწილეობა მიიღო არანაკლებ 5 500 ბავშვმა;
ჩატარდა არანაკლებ 12 ღონისძიება და მონაწილეობა 2 ფესტივალზე.
გაუმჯობესებულია ზ. ფალიაშვილისა და რევაზ ლალიძის სამუსიკო სკოლების ინფრასტრუქტურა.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

სახელოვნებო სკოლებში საგანმანათლებლო სწავლების კურსი გაიარა არანაკლებ 2 792 მოსწავლემ;
სასწავლო შემეცნებით პროექტებში მონაწილეობა მიიღო არანაკლებ 5 500 ბავშვმა;
ჩატარდა არანაკლებ 29 ღონისძიება.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

სახელოვნებო სკოლების მიღწევების აღიარება საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებში მიღებული წარმატებებით;

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
		2025 წელი	2026 წელი	2027 წელი					2028 წელი
პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა ამაღლებს აჭარაში ახალგაზრდობის დაინტერესებას ქორეოგრაფიით, კლასიკური მუსიკით და ხელოვნების სხვა დარგებით.	ა(ა)იპ „მელიტონ ბალანჩივადის ხელოვნების სკოლა“;	წლის განმავლობაში საშუალოდ 12 კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას; 1160 მოსწავლე გადის სწავლების კურს პირველ საფეხურს;				რაოდენობა	სახელოვნებო განათლების მიღების მსურველები	ა(ა)იპ „მელიტონ ბალანჩივადის ხელოვნების სკოლა“;	ხელშეკრულებები
	ა(ა)იპ „ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა“;	მონაწილეობას მიღებს საშუალოდ 3 კონკურსში და ფესტივალში საქართველოს ფარგლებში; არანაკლებ 750 მოსწავლე გადის სწავლების კურსს				რაოდენობა	სახელოვნებო განათლების მიღების მსურველები	ა(ა)იპ „ქ. ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა“;	ხელშეკრულებები
	ა(ა)იპ „ რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“;	საშუალოდ 8 საერთაშორისო და რესპუბლიკურ კონკურს ფესტივალში მონაწილეობის მიღება; არაუმეტეს 588 მოსწავლე გადის სწავლების კურსს				რაოდენობა	სახელოვნებო განათლების მიღების მსურველები	ა(ა)იპ „ქ. ბათუმის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“;	ხელშეკრულებები

	ა(ა)იპ „ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლა“;	არანაკლებ ერთი საანგარიშო კონცერტი; არანაკლებ 125 მოსწავლე დებულობს საბალეტო განათლებას				რაოდენობა	კლასიკური ბალეტის შესწავლის მსურველები	ა(ა)იპ „ქ. ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლა“;	ხელშეკრულებები
პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა ამაღლებს აჭარაში ახალგაზრდობის დაინტერესებას ქორეოგრაფიით, კლასიკური მუსიკით და ხელოვნების სხვა დარგებით.	ა(ა)იპ „აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა“;	ჩატარდება საშუალოდ 7 ღონისძიება; სწავლების კურს გადის 124 მოსწავლე				რაოდენობა	ხელოვნების დარგის შესწავლის (ქორეოგრაფია, ხალხური საკრავები და სიმღერები, ტრადიციული სასცენო ჩაცმულობა, აღკაზმულობა და დიზაინი) მსურველები.	ა(ა)იპ „აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა“;	ხელშეკრულებები
	ა(ა)იპ „ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლა“;	არანაკლებ 45 მოსწავლე გაივლის სამხატვრო ხელოვნების სრულ კურსს; ჩატარდება საშუალოდ 5 ღონისძიება.				რაოდენობა	სამხატვრო ხელოვნების შესწავლის მსურველები	ა(ა)იპ „ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლა“;	ხელშეკრულებები

	<p>საგანმანათლებლო და სასწავლო შემეცნებით პროექტებში ჩართვება არანაკლებ 5500 ახალგაზრდის ჩართულობა; არანაკლებ 3500 ახალგაზრდა ჩართვება სხვადასხვა სოციალურ პროექტებში;</p>					<p>რაოდენობა</p>	<p>საქალაქო და რეგიონალური მასშტაბით საგანმანათლებლო და სასწავლო შემეცნებით პროექტებში მონაწილეთა მსურველები</p>	<p>ა(ა)იპ „ქ. ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“</p>	<p>ხელშეკრულებები</p>
--	--	--	--	--	--	------------------	--	---	-----------------------

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0512

პროგრამის დასახელება:

სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე
 ა(ა)იპ ქალაქ ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი;
 ა(ა)იპ ირაკლი თურმანიძის სახელობის ძალოსნობის კომპლექსი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	45 760 640	10 170 640	11 330 000	11 630 000	12 630 000
სულ ბიუჯეტი:	45 760 640	10 170 640	11 330 000	11 630 000	12 630 000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში, მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდთა შორის, მასობრივი სპორტის განვითარება.

პროგრამის აღწერა:

ბავშვთა და მოზარდთა მეთოდური აღზრდა და დაოსტატება, პერსპექტიული სპორტსმენებისაგან აჭარის ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება.
 სპორტსმენებისათვის მის სარგებლობაში არსებული სპორტული ინვენტარის ხელმისაწვდომობა, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ყველა რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობა, ორგანიზება და ღონისძიების ჩატარება, საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძლობა, საწვრთნელი საქმიანობის განხორციელება.

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა(ა)იპ მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე	39 210 830	8 510 830	9 700 000	10 000 000	11 000 000
ა(ა)იპ „ქ. ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი“	2 077 770	487 770	530 000	530 000	530 000
ა(ა)იპ ირაკლი თურმანიძის სახელობის ძალოსნობის კომპლექსი	4 472 040	1 172 040	1 100 000	1 100 000	1 100 000
სულ პროგრამა	45 760 640	10 170 640	11 330 000	11 630 000	12 630 000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

1 500 მოზარდი ჩართული იყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

- სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა;
- სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება;
- საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძლობა;
- საწვრთნელი საქმიანობის ხარისხის ამაღლება.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

სპორტის სხვადასხვა სახეობაში საქართველოსა და აჭარის ასაკობრივი ნაკრები გუნდები შევსებულია პერსპექტიული სპორტსმენებით. მოწესრიგებულია საჩოგბურთო კომპლექსის ინფრასტრუქტურა

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი					
სპორტულ შეჯიბრებებზე მაქსიმალურად მაღალი შედეგების ჩვენება	<p>ა(ა)იპ მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე</p>	<p>სკოლაში სპორტის 26 სახეობაში საწვრთნო მეცადინეობებს გადის 1800 სპორტსმენი; მაყურებელთა რაოდენობა - 21 000;</p> <p>საქართველოს მასშტაბით - 90 სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მონაწილეობის მიღება; აზღვარგარეთ - 17 სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მონაწილეობის მიღება</p>	<p>სკოლაში სპორტის 26 სახეობაში საწვრთნო მეცადინეობებს გადის 1800 სპორტსმენი; მაყურებელთა რაოდენობა - 21 000;</p> <p>საქართველოს მასშტაბით 90 სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მონაწილეობის მიღება; აზღვარგარეთ - 17 სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მონაწილეობის მიღება</p>	<p>სკოლაში სპორტის 26 სახეობაში საწვრთნო მეცადინეობებს გადის 1800 სპორტსმენი; მაყურებელთა რაოდენობა - 21 000;</p> <p>საქართველოს მასშტაბით - 90 სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მონაწილეობის მიღება; აზღვარგარეთ - 17 სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მონაწილეობის მიღება</p>	<p>სკოლაში სპორტის 26 სახეობაში საწვრთნო მეცადინეობებს გადის 1800 სპორტსმენი; მაყურებელთა რაოდენობა - 21 000;</p> <p>საქართველოს მასშტაბით - 90 სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მონაწილეობის მიღება; აზღვარგარეთ - 17 სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მონაწილეობის მიღება</p>	რაოდენობა	<p>ა(ა)იპ მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე შეჯიბრებებზე მომწვევი მხარე; მაყურებელი;</p>	<p>ა(ა)იპ მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე</p>	ხელშეკრულებები
	<p>ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის საჩოგბურთ კომპლექსი“</p>	<p>არანაკლებ 130 მოზარდი ჩაერთვება ჩოგბურთის სახეობაში. ჩატარდება არანაკლებ 4 ღონისძიება;</p>	<p>არანაკლებ 130 მოზარდი ჩაერთვება ჩოგბურთის სახეობაში. ჩატარდება სამი ღონისძიება. აჭარის მასშტაბით სამ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება და საქართველოს მასშტაბით 5 ღონისძიებაში</p>	<p>არანაკლებ 130 მოზარდი ჩაერთვება ჩოგბურთის სახეობაში. ჩატარდება სამი ღონისძიება. აჭარის მასშტაბით სამ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება და საქართველოს მასშტაბით 5 ღონისძიებაში</p>	<p>არანაკლებ 130 მოზარდი ჩაერთვება ჩოგბურთის სახეობაში. ჩატარდება სამი ღონისძიება. აჭარის მასშტაბით სამ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება და საქართველოს მასშტაბით 5 ღონისძიებაში</p>	რაოდენობა	<p>ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი“; შეჯიბრებებზე მომწვევი მხარე; მაყურებელი</p>	<p>ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი“</p>	ხელშეკრულებები
	<p>ა(ა)იპ ირაკლი თურმანიძის სახელობის ძალოსნობის კომპლექსი</p>	<p>არანაკლებ 100 სპორტსმენი ჩაერთვება ძალოსნობის სახეობაში.</p>	<p>არანაკლებ 160 სპორტსმენი ჩაერთვება ძალოსნობის სახეობაში.</p>	<p>არანაკლებ 160 სპორტსმენი ჩაერთვება ძალოსნობის სახეობაში.</p>	<p>არანაკლებ 160 სპორტსმენი ჩაერთვება ძალოსნობის სახეობაში.</p>	რაოდენობა	<p>ა(ა)იპ ძალოსნობის კომპლექსი. შეჯიბრებებზე მომწვევი მხარე; მაყურებელი</p>	<p>ა(ა)იპ ძალოსნობის კომპლექსი</p>	ხელშეკრულებები

მხარჯავი დაწესებულების პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები

პრიორიტეტის დასახელება

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წელი	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
05 14 01	კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა	3 200	3 200	0	0	0
05 14 02	კულტურის ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა	2 090	2 090	0	0	0
05 14 03	ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა	24 780	24 780	0	0	0
05 14 10	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია	241 320	241 320	0	0	0
05 14 11	მუზეუმებისა და გალერეების განვითარება	483 650	483 650	0	0	0
05 14 12	სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა	2 286 143	2 286 143	0	0	0
05 14 14	ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა	34 490	34 490	0	0	0
05 14 15	კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	1 479 960	1 479 960	0	0	0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		4 555 633	4 555 633	0	0	0

პროგრამის განაცხადის ფორმა

პროიექტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 14 01

პროგრამის დასახელება:

კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	3 200	3 200	0	0	0
სულ ბიუჯეტი:	3 200	3 200	0	0	0

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების, შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობა და კულტურის პოპულარიზაცია.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება აქტივობები შემდეგი მიმართულებებით:
 1. პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება: ითვალისწინებს საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების, კონცერტების, გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენებისა და კულტურის სხვა ღონისძიებების ორგანიზებას/ორგანიზების ხელშეწყობას. ასევე, კულტურის სფეროს წარმომადგენლების მხარდაჭერას;

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება	3 200	3 200			
სულ პროგრამა	3 200	3 200	0	0	0

წინა წლის შედეგი, მ.შ გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა და ხორციელდება აქტივობები შემდეგი მიმართულებებით:
 1. პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება: გაიმართა ფესტივალები, კონცერტები, გამოფენები და სხვა ღონისძიებები; ჩატარდა შეხვედრა კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება პროექტების მხარდაჭერა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უზრუნველყოფილია პროექტების მხარდაჭერა.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი					
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გაუმჯობესებულია კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობა;						რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი; შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერის განყოფილება; მუნიციპალიტეტების კულტურის ორგანიზაციები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი; პროგრამული ანგარიში; განხორციელებული ღონისძიების ამსახველი ვიზუალური მასალა

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 14 01 01

ქვეპროგრამის დასახელება:

პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	3 200
სულ ბიუჯეტი:	3 200

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურის და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის გაზრდა, ეროვნული და საერთაშორისო ფესტივალების, კულტურის ღონისძიებების, სახელოვნებო პროექტებისა და კულტურის სფეროს სხვა აქტივობების, მათ შორის დიგიტალური და ინოვაციური პროექტების განხორციელების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, რეგიონის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა რეგიონში კულტურის ღონისძიებების, სახელოვნებო პროექტების განხორციელებას, შედგება შეხვედრა კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ქვეპროგრამის კოორდინატორი (12 თვე)	1	1 600	3 200
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			3 200

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქვეპროგრამის კოორდინატორი	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობა.
რეგულარულად ხორციელდება ხელოვნებისა და კულტურის პროექტები/ღონისძიებები.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>გაზრდილია კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობა.</p>		<p>რაოდენობა</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი, შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერის განყოფილება; პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განმახორციელებელი იურიდიული და ფიზიკური პირები</p>	<p>წლის განმავლობაში</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო</p>	<p>მიღება-ჩაბარების აქტი; პროგრამული ანგარიში; განხორციელებული ღონისძიების ამსახველი ვიზუალური მასალა</p>

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 14 02

პროგრამის დასახელება:

კულტურის ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2 090	2 090			
სულ ბიუჯეტი:	2 090	2 090	0	0	0

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული პროფესიული თეატრების ხელშეწყობა

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: პროგრამა ითვალისწინებს მაღალმთიან აჭარაში თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობას, რის ფარგლებშიც განხორციელდება სსიპ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის საქმიანობის მხარდაჭერა. თეატრის ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების გამოყოფა მოხდება სამინისტროსა და თეატრს შორის გაფორმებული თანადაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდება თეატრის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები, შრომის ანაზღაურების გარდა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სსიპ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ხელშეწყობა	1		2 090
პროგრამის კოორდინატორი			
სულ პროგრამა			2 090

პროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 ჟანვარი	2 აპრილი	3 აგვისტო	4 დეკემბერი
სსიპ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ხელშეწყობა	X	X	X	X
პროგრამის მხარდაჭერის ხარჯი	X	X	X	X

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ხელშეწყობილია მაღალმთიან აჭარაში თეატრალური ხელოვნების განვითარება

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი				
მაღალმთიან აჭარაში თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა	სსიპ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ხელშეწყობა	1				რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები; სსიპ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	სსიპ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	ანგარიში

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 14 03

პროგრამის დასახელება:

ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	24 780	24 780			
სულ ბიუჯეტი:	24 780	24 780			

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა, მათ შორის შენარჩუნება და პოპულარიზაცია.

პროგრამის აღწერა:

საქართველოს სახელმწიფო კულტურის პოლიტიკის დოკუმენტი "კულტურის სტრატეგია 2025"-ს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N303 დადგენილებით, რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ შესახებ მიიღოს აუცილებელი ზომები, მის ტერიტორიაზე არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უზრუნველსაყოფად. აჭარის რეგიონი გამოირჩევა ფოლკლორის, არტეფაქტების, რეწვის ტრადიციების მრავალფეროვნებით, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა და მუდმივ განახლებას განიცდის გარემო პირობების, ისტორიის შესაბამისად. ამ თვითმყოფადი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება და პოპულარიზაცია ხელს უწყობს კულტურათა მრავალფეროვნებას.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

მასტერკლასები ხალხური ქორეოგრაფიის და სიმღერის მიმართულებით: რაც ითვალისწინებს ტრენინგებს/ვორკშოპებს ქორეოგრაფებისა და ლოტბარებისთვის, სკოლის გარეშე სახელოვნებო დაწესებულებებისთვის, უცხოეთში მოქმედი ქართული ანსამბლებისათვის. მასტერკლასების მიზანია ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის საშემსრულებლო ხელოვნების დახვეწა გამდიდრება, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილების ამაღლება, ავთენტური ტრადიციების დაცვა. პროექტი განხორციელდება სსიპ - ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან თანამშრომლობით.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა:

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მასტერკლასები ხალხური ქორეოგრაფიის და სიმღერის მიმართულებით	1	24 780	24 780
სულ პროგრამა			24 780

პროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მასტერკლასები ხალხური ქორეოგრაფიის და სიმღერის მიმართულებით	X			

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2024 წელს პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- ფოლკლორის სხვადასხვა მიმართულებების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა;
- სასცენო სამოსით და აქსესუარებით და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა;
- მასტერკლასები ხალხური ქორეოგრაფიის და სიმღერის მიმართულებით;
- აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა;
- ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებული ანსამბლების სასცენო სამოსით და აქსესუარებით უზრუნველყოფა.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2025 წელს პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- მასტერკლასები ხალხური ქორეოგრაფიის და სიმღერის მიმართულებით.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გატარებულია ღონისძიებები ფოლკლორის პოპულარიზაციის და ხელშეწყობის მიზნით.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი				
გატარებულია ღონისძიებები ფოლკლორის პოპულარიზაციის და ხელშეწყობის მიზნით	ღონისძიებების რაოდენობა;	1				რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ფოლკლორის ხელშეწყობის განყოფილება; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები, კულტურის ცენტრები;	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

051410

პროგრამის დასახელება:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	241 320			
სულ ბიუჯეტი:	241 320			

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია

პროგრამის აღწერა:

სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების გზით ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში არსებული კულტურული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება, ასევე არსებული მუზეუმების რეაბილიტაცია, პოპულარიზაცია და სამუზეუმო ქსელის გაფართოება.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
კულტურული მემკვიდრეობის მართვა	241 320	241 320			
სულ პროგრამა	241 320	241 320			

3 არაურბანული და 7 ურბანული კულტურული მემკვიდრების ძეგლების რეაბილიტაცია; ბათუმისა და კობულეთის ურბანული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტების შექმნა. გონიოს და პეტრას ციხის ინფრასტრუქტურული მოწყობის სამუშაოების განხორციელება;

ხუთი არქეოლოგიური ექსპედიციის მოწყობა;

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაციის საინფორმაციო მასალების მომზადება და ბეჭდვა;

6 საინფორმაციო-მარკეტინგული ღონისძიების ორგანიზება;

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 14 11

პროგრამის დასახელება:

მუზეუმებისა და გალერეების განვითარება

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ „აჭარის მუზეუმი“
ა(ა)იპ „თანამედროვე ხელოვნების სივრცე“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	483 650	483 650			
სულ ბიუჯეტი:	483 650	483 650	0	0	0

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

სამეცნიერო-კვლევითი, საექსპოზიციო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად და მუზეუმებში ფართო საზოგადოების მოზიდვის ხელშეწყობა.
სსიპ აჭარის მუზეუმის მიზანია კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა, ეროვნული საგანძურის მოძიება, დაცვა, ექსპონირება, სამუზეუმო კოლექციების ოპტიმიზაცია, რესტავრაცია, ინვენტარიზაცია და პოპულარიზაცია;
კულტურულ ფასეულობათა ექსპერტიზის უზრუნველყოფა.
თანამედროვე ხელოვნების განვითარება და მხარდაჭერა, სახელოვნებო რესურსების შეგროვება, არქივირება და კატეგორიზაცია, ვიზუალურ და საშემსრულებლო თანამედროვე ხელოვნების გამოფენების და საგანმანათლებლო ღონისძიებების გამართვა.

პროგრამის აღწერა:

სამუზეუმო ექსპონატების შეგროვება, მეცნიერული შესწავლა, დაცვა;

- სამეცნიერო სესიებისა და კონფერენციების ჩატარება;
- გასვლითი გამოფენების მოწყობა;
- არქეოლოგიური ექსპედიციების წარმოება;
- ექსპოზიციების რეგულარული განახლება;
- მრავალფეროვანი სინთეზური პროექტების (გამოფენები, კამერული კონცერტები, თეატრალიზებული წარმოდგენები, დოკუმენტური ფილმების ჩვენება) განხორციელება;
- დაწყებულია კინო მუზეუმის რეაბილიტაცია.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა(ა)იპ „თანამედროვე ხელოვნების სივრცე“	23 250	23 250			
სსიპ „აჭარის მუზეუმი“	460 400	460 400			
	483 650	483 650	0	0	0

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

მოეწყო არანაკლება 27 გამოფენა/ექსპოზიციები და სხვა შესაბამისი ღონისძიებები.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

- გააქტიურებულია მუზეუმებისა და გალერეების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობა;
- განვითარებულია კულტურული ტურიზმი;
- დაწყებულია კინო მუზეუმის რეაბილიტაცია.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი				
გამოფენების, ექსპოზიციების და სხვა შესაბამისი ღონისძიებების მოწყობა.	ა(ა)იპ თანამედროვე ხელოვნების სივრცე	მოწყობა არანაკლებ 10 გამოფენა/ღონისძიება, გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრები, სემინარები, ლექციები;				რაოდენობა	ა(ა)იპ თანამედროვე ხელოვნების სივრცე; დამთვალეიერებელი; ტურისტული სააგენტო	ხელშეკრულებ ა; მირება ჩაბარების აქტი
	სსიპ აჭარის მუზეუმი	მოეწყობა არანაკლებ 17 გამოფენა; არანაკლებ ერთი ექსპედიცია; საგამომცემლო საქმიანობა, დაიბეჭდება არანაკლებ ერთი კატალოგი, ერთი მონოგრაფია და შრომების კრებული; მუზეუმს დაათვალეიერებს არანაკლებ 22 500 დამთვალეიერებელი. მოეწყობა ერთი კონფერენცია; რეაბილიტირებულია კინო მუზეუმის შენობა;				რაოდენობა	ტურისტული სააგენტოები; დამთვალეიერ ბლები;	სსიპ აჭარის მუზეუმი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია	
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 14 12

პროგრამის დასახელება:

სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:	
------------------------------	--

სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“;
 სსიპ „აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „არსიანი“;
 სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი“;
 სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი“;
 სსიპ „აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი ბათუმი“;
 სსიპ „აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ხორუმი“.

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:	
----------------------------	--

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2 286 143	2 286 143	0	0	0
სულ ბიუჯეტი:	2 286 143	2 286 143	0	0	0

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2025-2028 წლები
-----------------------------------	-----------------

პროგრამის მიზანი:	
-------------------	--

სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობის მიზნით აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს სასცენო, სამუსიკო და თეატრალური ხელოვნების სფეროში პოლიტიკის განხორციელებას, განვითარების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციას. ასევე სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების განვითარებას; აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების გასტროლებს, უცხოური დასების აჭარაში მიღებას და სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

პროგრამის აღწერა:	
-------------------	--

- ახალი და მაღალმხატვრული ღირებულების თეატრალური და საოპერო სპექტაკლების დადგმა;
- თეატრის რეპერტუარის განახლება;
- კლასიკური მუსიკის, საგუნდო და საოპერო კონცერტების გამართვა;
- ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერების საუკეთესო ნიმუშების დადგმა.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“	204 728	204 728			
სსიპ „აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი არსიანი“	374 910	374 910			
სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი“	891 380	891 380			
სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი“	528 385	528 385			

სსიპ „აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი ბათუმი“	135 490	135 490			
სსიპ „აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ხორუმი“	151 250	151 250			
სულ პროგრამა	2 286 143	2 286 143	0	0	0

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დაიდგა არანაკლებ 12 ახალი სპექტაკლი;
 4 ახალი სიმღერის დამუშავება;
 განხორციელდა არანაკლებ 16 გასტროლი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ;
 ჩატარდება არანაკლებ 39 კონცერტი;

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დაიდგა არანაკლებ 12 ახალი სპექტაკლი;
 4 ახალი სიმღერის დამუშავება;
 განხორციელდა არანაკლებ 16 გასტროლი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ;
 ჩატარდება არანაკლებ 39 კონცერტი;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

- შენარჩუნებულია ქართული ხალხური ფოლკლორი;
- შენარჩუნებულია ქორეოგრაფიული ხელოვნება, მუსიკალური კულტურა, თეატრალური ხელოვნება, ეროვნული ტრადიციები.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი		შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი				
სასცენო, სამუსიკო და თეატრალური ხელოვნების სფეროს განვითარება და პოპულარიზაცია. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების გასტროლები საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ, უცხოური დასების აჭარაში მიღება და სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.	დაიდგმება ახალი სპექტაკლები, მოეწყოება კონცერტები და ფესტივალები	დაიდგმება არანაკლებ 12 ახალი სპექტაკლი; აღდგება ერთი სპექტაკლი; დამუშავდება არანაკლებ 4 ახალი სიმღერა; ჩატარდება არანაკლებ 39 კონცერტი; სზღვარგარეთ მოეწყოება ა არანაკლებ 8 გასტროლი; აღნიშნულ ღონისძიებებს დაესწრება არანაკლებ 162 000 მაყურებელი;				რაოდენობა	სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“; გასტროლზე მომწვევი მხარე; მაყურებელი	სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“	ხელშეკრულებები
			სსიპ „აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“; გასტროლზე მომწვევი მხარე; მაყურებელი	სსიპ „აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“	ხელშეკრულებები				
			სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი“; გასტროლზე მომწვევი მხარე; მაყურებელი	სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი“	ხელშეკრულებები				
	მოეწყოება გასტროლები ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ	მოეწყოება არანაკლებ 8 გასტროლი ქვეყნის შიგნით				რაოდენობა	სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“; გასტროლზე მომწვევი მხარე; მაყურებელი	სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“	ხელშეკრულებები
						სსიპ „აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი ბათუმი“; გასტროლზე მომწვევი მხარე; მაყურებელი	სსიპ „აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი ბათუმი“	ხელშეკრულებები	

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 14 14

პროგრამის დასახელება:

ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის შემოსავლები	34 490	34 490			
სულ ბიუჯეტი:	34 490	34 490			

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

ქართული მწერლობისა და სალიტერატურო ცხოვრების განვითარებისათვის ხელშეწყობი პირობების შექმნა

პროგრამის აღწერა:

ჟურნალ „ჭოროხისა“ და აჭარაში მოღვაწე მწერლების წიგნების გამოცემა, სხვადასხვა ღონისძიებების გამართვა; ლიტერატურული სადამოების მოწყობა, ახლად გამოცემული წიგნების პრეზენტაციები, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების პროფესიონალურ დაოსტატებაში ხელის შეწყობა.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
სულ პროგრამა	34 490	34 490			

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

გამოიცა ჟურნალი „ჭოროხი“, მხატვრული ლიტერატურა და ჩატარდა ღონისძიებები.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

გამოიცა ჟურნალი „ჭოროხი“, მხატვრული ლიტერატურა და ჩატარდა ღონისძიებები; მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ქართული სამწერლო მემკვიდრეობისა და ტრადიციების შენარჩუნება; ქართული მხატვრული სიტყვის განვითარებისათვის ზრუნვა;

აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა სტიპენდია	x	x	x	x
სპორტსმენთა პირადი მწვრთნელების სტიპენდია	x	x	x	x
მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი				
სპორტსმენების და მათი მწვრთნელების ყოველთვიური სტიპენდია, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზობებში.				

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>იმ სპორტსმენებს და მათ პირად მწვრთნელებს, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, მსოფლიო ქვიშის თამაშებში (ასაკობრივ კატეგორიებში) და საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატებში დაენიშნებათ ყოველთვიური სტიპენდია</p>	<p>ქვეპროგრამით სტიპენდია გადაეცემა დაახლოებით 200-მდე სპორტსმენს და მათ პირად მწვრთნელს</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>აჭარის სპორტის დეპარტამენტის მაღალი მიღწევების სპორტის განყოფილება, მასობრივი სპორტისა და მუნიციპალატეტებთან ურთიერთობის განყოფილება, სპორტული ფედერაციები</p>	<p>წლის განმავლობაში</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სპორტის დეპარტამენტი</p>	<p>კორესპოდენციის თანდართული შეჯიბრების ტექნიკური ანგარიში</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:		
სპორტის ხელშეწყობა		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		
05 15 02 08		
ქვეპროგრამის დასახელება:		
მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სპორტის დეპარტამენტი		
ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:		
დასახელება	2025 წელი	
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1 045 400	
სულ ბიუჯეტი:	1 045 400	
ქვეპროგრამის მიზანი:		
ქვეპროგრამით გათვალისწინებულია იმ მასობრივი ღონისძიებების დაფინანსება, რომლებიც ჩატარდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, ასევე აჭარის სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა რანგის გასვლით ღონისძიებებში.		
ქვეპროგრამის აღწერა:		
აღნიშნული ქვეპროგრამით დაფინანსდება აჭარაში მოქმედი 8 სპორტული ფედერაცია. ქვეპროგრამით სპორტის სფეროში დაფინანსდება მასობრივი ღონისძიებები, კერძოდ: ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის ტურნირები, ფესტივალები, ჩემპიონატები, პირველობები სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის სპორტსმენთა და მოყვარულთა შორის, ასევე ხელშეწყობა ექნება ბავშვთა, სასკოლო და საუნივერსიტეტო სპორტის განვითარებას, ჩატარდება სხვადასხვა სპორტული თამაშობები. გადამზადდება აჭარაში მოღვაწე მწვრთნელები, მსაჯეები და ფედერაციის წარმომადგენლები, რომლის ფინანსური რესურსი გათვალისწინებულია აჭარის რეგიონალური მასობრივი სპორტის ფედერაციისთვის დამტკიცებულ ასიგნებაში. ქვეპროგრამის ასიგნების ფარგლებში ფედერაციისთვის გამოყოფილი თანხის საბუღალტრო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და ელექტრონული საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი ფედერაცია, რისთვისაც უფლებამოსილია გაწიოს ხარჯი საბუღალტრო და გენ.მდივნის		
დასახელება		სულ თანხა (ლარი)
1	აჭარის ა/რ პარალიმპიური სპორტული ფედერაცია	70 000
2	აჭარის მთამსვლელთა და მეკლდეურთა კავშირი	60 000
3	აჭარის ა/რ რეგიონალური მინი-ფეხბურთის ფედერაცია	65 000
4	აჭარის რეგიონალური მასობრივი სპორტის ფედერაცია	296 000
5	აჭარის ფუტზალისა და საპლაჟო ფეხბურთის ფედერაცია	180 000
6	აჭარის ა.რ ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია დიჩინი	60 000
7	აჭარის ჩერლიდინგის რეგიონალური ფედერაცია	30 000
8	აჭარის ა/რ ბავშვთა და სასკოლო სპორტის ფედერაცია	70 000
		831 000
1	სხვადასხვა ხარჯები (გათვალისწინებული ღონისძიებები არაუმეტეს წლის განმავლობაში გათვალისწინებული ბიუჯეტის 10%-ისა)	214 400
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		1 045 400

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა	x	x	x	x
მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი				
აჭარაში მოქმედი 8 სპორტული ფედერაცია მხარდაჭერილია.				

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
აჭარაში მოქმედი 8 სპორტული ფედერაცია მხარდაჭერილია.	მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობასღებულობს არანაკლებ 4000 სპორტსმენი	რაოდენობა	აჭარის სპორტის დეპარტამენტის მასობრივი სპორტისა და მუნიციპალტეტებთან ურთიერთობის განყოფილება, სპორტული ფედერაციები	წლის განმავლობაში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სპორტის დეპარტამენტი	ხელშეკრულება, მიღება ჩაბარების აქტი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0517

პროგრამის დასახელება:

საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	16 109 760	4 009 760	3 900 000	4 100 000	4 100 000
სულ ბიუჯეტი:	16 109 760	4 009 760	3 900 000	4 100 000	4 100 000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028წლები

პროგრამის მიზანი:

საარქივო მასალების სტანდარტების შესაბამისი დაცვა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საარქივო ფონდის განვითარება, აღწერა, ცენტრალიზებული წესით აღრიცხვა, სტანდარტების შესაბამისი დაცვა და გამოყენება. დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტებზე სადაზღვევო და ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა, არქივში დაცული დოკუმენტების საფუძველზე იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე მომსახურება. ისტორიულად ღირებული საარქივო დოკუმენტების გამოფენის მოწყობა. ურთიერთთანამშრომლობა საზღვარგარეთის არქივებთან და საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების შემოტანა. ისტორიის ამსახველი მასალების გამოვლენა ჟურნალისა და ბუკლეტების გამოსაცემად. სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
საარქივო სამმართველოს მართვა და მომსახურების მიწოდება	10 300 000	3 449 960	3 300 000	3 500 000	3 500 000
საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა	2 359 800	559 800	600 000	600 000	600 000
სულ პროგრამა	12 659 800	4 009 760	3 900 000	4 100 000	4 100 000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

საარქივო სამმართველომ მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა საარქივო დოკუმენტების დაცვის და შენახვის უზრუნველყოფის, საქმისწარმოების ორგანიზაციის, დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის, სამეცნიერო მეთოდური მუშაობისა და მატერიალურ -ტექნიკური ბაზის განვითარება განმტკიცებისათვის.

მიმიდნარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

გარკვეული სამუშაოები იქნება შესრულებული საარქივო დოკუმენტების დაცვის, აღრიცხვისა და შენახვის პირობების გაუმჯობესების, საინფორმაციო-საძიებო სისტემის შექმნის და განვითარების, საქმისწარმოების სრულყოფის, დოკუმენტების ფორმირებისა და მატერიალურ -ტექნიკური ბაზის განვითარება განმტკიცების მიზნით.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

საარქივო ფონდის დიგიტალიზაცია, ელექტრონული არქივის შექმნა. საარქივე მასალების სტანდარტების შესაბამისი დაცვა, ხელმისაწვდომობა, გაუმჯობესებული მომსახურება.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
		2025წელი	2026წელი	2027წელი					2028წელი
ელექტრონული არქივის შექმნა, გაუმჯობესებული მომსახურება	გაციფრული დოკუმენტების რაოდენობა	2500000 გვერდი.	2500000 გვერდი.	2500000 გვერდი.	2500000 გვერდი.	რაოდენობა	საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და დიგიტალიზაციის განყოფილება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველო	მონაცემთა ბაზა

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 051702

ქვეპროგრამის დასახელება:

საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	559 800
სულ ბიუჯეტი:	559 800

ქვეპროგრამის მიზანი:

საარქივო დოკუმენტების დაცულობის და ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის აღწერა:

საარქივო დოკუმენტების (ქაღალდის ფუძიანი) ციფრული ვერსიის შექმნა, დასკანერებული ფაილების ტექნიკური დამუშავება, ტექნიკური რევიზია, ანოტირება, ელექტრონული ფაილების თავმოყრა სპეციალურ პროგრამაში.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა	8	3125	25 000
უწყვეტი კვების წყაროს შესყიდვა	15	133	2 000
პერსონალის დაქირავება (1 წლით)	28	1200	403 200
პერსონალის დაქირავება (პროგრამისტი, ქსელის ადმინისტრატორი 1 წლით)	2	2200	52 800
პერსონალის დაქირავება ტერიტორიულ ორგანოებში (1 წლით)	8	800	76 800
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			559 800

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ტექნიკის შესყიდვა	X	X	X	
პერსონალის დაქირავება	X	X	X	X
დოკუმენტების დასკანერება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საარქივო დოკუმენტების ელ. ფორმატში გადაყვანა. დასკანერებული გვერდების რაოდენობა	2500000 გვერდი.	რაოდენობა	საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და დიგიტალიზაციის განყოფილება	წლიური	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველო	მონაცემთა ბაზა

მხარჯავი დაწესებულების პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები

პრიორიტეტის დასახელება

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წელი	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
05 18 01	სსიპ - ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი	1 529 500	1 529 500	1 529 500	1 529 500	1 529 500
05 18 06	ახალგაზრდობის ინტელექტუალური, კულტურული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა	2 129 040	2 129 040	2 129 040	2 129 040	2 129 040
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		3 658 540	3 658 540	3 658 540	3 658 540	3 658 540

პროგრამის განაცხადის ფორმა

პროიექტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 18 06

პროგრამის დასახელება:

ახალგაზრდობის ინტელექტუალური, კულტურული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2 129 040	2 129 040	2 129 040	2 129 040	2 129 040
სულ ბიუჯეტი:	2 129 040	2 129 040	2 129 040	2 129 040	2 129 040

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

პროგრამა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდობის ჩართულობის გაზრდას და მათ შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას, ქვეყნის რეკრეაციული ლოკაციების გაცნობა/პოპულარიზაციას, არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, ახალგაზრდობისთვის თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობას, გართობისა და დასვენებისთვის არაფორმალური გარემოს შექმნას, აქტიური ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობების ორგანიზება არაფორმალურ გარემოში. ახალგაზრდები ფორმალურ, საბაზისო განათლებასთან ერთად, რასაც იღებენ სკოლებში, უმაღლეს თუ პროფესიულ სასწავლებლებში, აგრეთვე გამოიმუშავენ საჭირო უნარ-ჩვევებსაც. პროგრამა მოიცავს: შემეცნებით ღონისძიებებსა და კომპლექსურ აქტივობებს, რომლებიც ახალგაზრდებს დაეხმარება გამოავლინონ და განავითარონ თავიანთი ინტელექტუალური, შემოქმედებითი და ფიზიკური შესაძლებლობები. აგრეთვე პროგრამა გულისხმობს გასართობ-შემეცნებითი აქტივობების ორგანიზებას, რაც ახალგაზრდებს მისცემს საშუალებას შეუთავსონ ერთმანეთს სამუშაოს, სწავლის, დასვენებისა და გართობის კომპონენტები. პროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა ასაკისა და ინტერესის მქონე ახალგაზრდობის თავშეყრა თავისუფალი დროის სწორად მართვისთვის ალტერნატიული საშუალებების შეთავაზება.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
არაფორმალური განათლება, გართობა და შემეცნება	1 013 280	1 013 280	1 013 280	1 013 280	1 013 280
ინტელექტუალური, კულტურული და საერთაშორისო ღონისძიებები	637 480	637 480	637 480	637 480	637 480
კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	478 280	478 280	478 280	478 280	478 280
სულ პროგრამა	2 129 040	2 129 040	2 129 040	2 129 040	2 129 040

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

ახალგაზრდების გააქტიურება, თავისუფალი დროის სწორი მართვის ხელშეწყობა, ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, ტურისტული ლოკაციების პოპულარიზაცია, გართობისა და დასვენებისთვის არაფორმალური გარემოს შექმნა, აქტიური ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. პროგრამაში ჩართული იქნება 6500-მდე ახალგაზრდა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გააქტიურებული ახალგაზრდობა, ეფექტურად გამოყენებული თავისუფალი დრო, ამაღლებული ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები, გართობისა და დასვენებისთვის შექმნილი ალტერნატიული პირობები.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი					
გააქტიურებული ახალგაზრდობა, ეფექტურად გამოყენებული თავისუფალი დრო, ამაღლებული ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები, ორგანიზებული ბანაკები, ლაშქრობები და შემეცნებითი ტურები. ახალგაზრდებს შორის დამყარებულია კომუნიკაცია	ქვეპროგრამებში ჩართული იქნება 5000 -მდე ახალგაზრდა	ქვეპროგრამებში ჩართული იქნება 6000 -მდე ახალგაზრდა	ქვეპროგრამებში ჩართული იქნება 6000 -მდე ახალგაზრდა	ქვეპროგრამებში ჩართული იქნება 6000 -მდე ახალგაზრდა		რაოდენობა	სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი	სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი	ხელშეკრულება მიღება-ჩაბარების აქტი
	გააქტიურებული ახალგაზრდობა, ეფექტურად გამოყენებული თავისუფალი დრო, ამაღლებული ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები, გართობისა და დასვენებისთვის შექმნილი პირობები, გამოვლენილი აქტიური ახალგაზრდები და ამაღლებული ცნობიერება	ჩართული იქნება არანაკლებ 10200 ახალგაზრდა	ჩართული იქნება არანაკლებ 11500 ახალგაზრდა	ჩართული იქნება არანაკლებ 11500 ახალგაზრდა	ჩართული იქნება არანაკლებ 11500 ახალგაზრდა		რაოდენობა	სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი	სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ახალგაზრდების ინტელექტუალური, კულტურული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 18 06 01

ქვეპროგრამის დასახელება:

არაფორმალური განათლება, გართობა და შემეცნება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1 013 280
სულ ბიუჯეტი:	1 013 280

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას და მათ შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას, პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას, ქვეყნის რეკრეაციული ლოკაციების გაცნობა/პოპულარიზაციას, არაფორმალური განათლების ხელშეწყობას.

ღონისძიებების ფარგლებში ტრენინგების შერჩევა და მათი შრომის ანაზღაურება განხორციელდება სსიპ - ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ბრძანების საფუძველზე

ქვეპროგრამის აღწერა:

გახდი ლიდერი - ღონისძიება განხორციელდება ორ ნაკადად. ღონისძიების მიზანია ტრენინგ-სემინარების გზით ახალგაზრდებში ლიდერული უნარ-ჩვევების დანერგვა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაძლიერება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა.

ასტრონომიული ბანაკი - ღონისძიების მიზნად ისახავს 25-მდე 14-დან 29 წლის ჩათვლით აჭარის ა.რ. ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების, ასევე უმაღლესი, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისა და მოსწავლეების მიკრო და მაკრო სამყაროთ დაინტერესებას და მისი საფუძვლების გაცნობას, სამეცნიერო კვლევებისადმი ინტერესის გაღვივებას. ახალგაზრდებს საშუალება მიეცემათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საინტერესო და სახალისო აქტივობაში, რაც ხელს შეუწყობს მათ დაინტერესებას ციური სხეულებისადმი და გააცნობს სამყაროს მუშაობის პრინციპებს. ბანაკი მოიაზრებს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს, რაც ციურ სხეულებსა და ეკოსისტემაზე დაკვირვებას გულისხმობს.

შემეცნებითი ბანაკი - ღონისძიების მთავარი პრინციპია "ჯერ შენი ნახე", რომელიც გულისხმობს ქვეყნის ისტორიულ-კულტურული, ეროვნული ღირსშესანიშნაობებისადმი და საქართველოს ისტორიისადმი ინტერესის გაღვივებას. ბანაკი განხორციელდება ოთხ ეტაპად. ბანაკის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს ისტორიულ-კულტურული ძეგლების მონახულება, გონებრივი და ფიზიკური დატვირთვის გასართობ-შემეცნებითი, თიმბილდინგის ტიპის აქტივობები, სალონური საღამოები.

ეკო ბანაკი - ღონისძიება გულისხმობს ახალგაზრდების (14-29 წლის ჩათვლით აჭარის ა.რ. ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, ასევე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ავტორიზებული უმაღლესი, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები და მოსწავლეები) ჩართვას საბანაკე ტიპის აქტივობებში, რომლის ფარგლებში ახალგაზრდები მიიღებენ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას ეკოლოგიის აქტუალური საკითხების შესახებ, გაეცნობიან ეკოლოგიის მიმართულებით თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავების სხვადასხვა გზებსა და მეთოდებს. სასწავლო მოდული დატვირთული იქნება როგორც თეორიული ლექციებით, ასევე საველე დაკვირვებებით.

საერთაშორისო ტექნოლოგიური სკოლა - ღონისძიება გულისხმობს თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიებით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის ბანაკის ორგანიზება, რომელშიც ჩართული იქნებიან აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები, ასევე აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ 16-დან 24 წლამდე ჩათვლით აჭარის ა.რ. ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, ასევე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული აკრედიტირებული უმაღლესი, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები, მოსწავლეები და უცხოელი ახალგაზრდები.

მთის ფესტივალი-ღონისძიების მიზანს წარმოადგენს აჭარის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების პოპულარიზაციას, მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდების დაახლოებას და თავისუფალი დროის სწორად დაგეგმვას. ღონისძიებას ექნება ფესტივალის სახე, სადაც ახალგაზრდებისთვის დაიგეგმება მრავალფეროვანი ინტელექტუალურ-კულტურული პროგრამა.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე - ღონისძიება გულისხმობს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქტივობების ორგანიზებას. ღონისძიების ფარგლებში გაიმართება გასართობ-შემეცნებითი ხასიათის ფესტივალი და გაეროს მიერ შერჩეული ყოველწლიური თემატიკის შესაბამისი აქტივობები, რომელსაც დაესწრება აჭარაში მცხოვრები ახალგაზრდები ექვსივე მუნიციპალიტეტიდან. აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით დაგეგმილია ახალგაზრდული კონგრესის ჩატარება - კონგრესი მიზნად ისახავს ახალგაზრდობის თემატიკაზე მომუშავე ქვეყანაში არსებული ფორმალური და არაფორმალური წყაროების თავმოყრას ერთ სივრცეში, ინფორმაციის გენერირებას და დაინტერესებული პირებისათვის გაცნობას.

აჭარის რეგიონალური ლიგა - ღონისძიება გულისხმობს სასკოლო-საუნივერსიტეტო გასართობ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობას ახალგაზრდების ჩართულობით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში არსებული სასკოლო-საუნივერსიტეტო გუნდები .

ART ბანაკი - წარმოადგენს საბანაკე ტიპის ღონისძიებას, სადაც ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ ნახატის ყველა კომპონენტს: კომპოზიცია, ფორმა, ხაზი, პლასტიკა, სივრცობრივ-მოცულობითი აზროვნება, პერსპექტივა, ტონალური გადაწყვეტა, შესრულების მანერა და ა.შ. თეორიულ - პრაქტიკული სწავლების შემდეგ ბანაკის მონაწილეებისთვის მოეწყობა გამოფენა-გაყიდვა.

პეინტბოლ ჩემპიონატი - ღონისძიება გულისხმობს (14-დან 29 წლის ჩათვლით აჭარის ა/რ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები) როგორც მუნიციპალური, აგრეთვე რეგიონული შეჯიბრებების მოწყობას. ღონისძიება ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში გუნდური მუშაობის, სტრატეგიული აზროვნების და ლიდერული უნარ-ჩვევების გამომჟღავნებას. ჩემპიონატის დაწყებამდე მონაწილეებს ჩაუტარდებათ ინსტრუქტაჟი და ისინი აღიჭურვებიან შეჯიბრისთვის აუცილებელი ეკიპირებით.

ქვეპროგრამას მონიტორინგს გაუწევს კოორდინატორი.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
გახდი ლიდერი	2	40 000	80 000
ასტრონომიული ბანაკი	1	75 000	75 000
შემეცნებითი ბანაკი	5	40 000	200 000
ეკო ბანაკი	1	40 000	40 000
საერთაშორისო ტექნოლოგიური სკოლა	1	60 000	60 000
ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე	1	190 000	190 000
აჭარის რეგიონალური ლიგა	1	60 000	60 000
პეინტბოლ ჩემპიონატი	1	35 000	35 000
ART ბანაკი	1	45 000	45 000
მთის ფესტივალი	4	40 000	160 000
ქვეპროგრამის კოორდინატორი (12 თვე)	1	1 100	13 200
ქვეპროგრამის კოორდინატორი (12 თვე)	2	1 000	24 000
ქვეპროგრამის კოორდინატორი (12 თვე)	1	750	9 000
ქვეპროგრამის კოორდინატორი (12 თვე)	2	920	22 080
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1 013 280

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
გახდი ლიდერი	x	x		
ასტრონომიული ბანაკი		x	x	
შემეცნებითი ბანაკი	x	x	x	
ეკო ბანაკი		x		
საერთაშორისო ტექნოლოგიური სკოლა				x
ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე			x	
აჭარის რეგიონალური ლიგა	x	x	x	
პეინტბოლ ჩემპიონატი		x	x	
ART ბანაკი		x	x	
მთის ფესტივალი		x	x	

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>გააქტიურებულია ახალგაზრდობა, ეფექტურად გამოყენებულია თავისუფალი დრო, ორგანიზებულია ლაშქრობები, შემეცნებითი ტურები, ეკო ბანაკი. ახალგაზრდებს შორის დამყარებულია კომუნიკაცია</p>	<p>ქვეპროგრამაში ჩართული იქნება 8000-მდე ახალგაზრდა</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი</p>	<p>წლიური</p>	<p>სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი</p>	<p>მიღება-ჩაბარების აქტი, ხელშეკრულებ ა</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა: პროგრამა

ახალგაზრდების ინტელექტუალური, კულტურული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 18 06 02

ქვეპროგრამის დასახელება:
ინტელექტუალური, კულტურული და საერთაშორისო ღონისძიებები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	637 480
სულ ბიუჯეტი:	637 480

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია ინტერნაციონალზიაციის ხელშეწყობა, ახალგაზრდებში მოტივაციის ამაღლება, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და კავშირების დამყარება. მოტივირებული და ინფორმირებული ახალგაზრდები, მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა.

ღონისძიებების ფარგლებში ტრენინგების შერჩევა და მათი შრომის ანაზღაურება განხორციელდება სსიპ - ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანების საფუძველზე

ქვეპროგრამის აღწერა:

საერთაშორისო ახალგაზრდული ფორუმი - აღნიშნულ ფორუმში მონაწილეობას მიიღებენ 18-29 წლის ჩათვლით აჭარის ა.რ. ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, ასევე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული აკრედიტირებული უმაღლესი, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები, მოსწავლეები და უცხოელი ახალგაზრდები, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის კულტურულ-შემეცნებითი და ინტელექტუალური ღირებულებების გაცვლას. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდება კონფერენცია, რომელსაც წარუძღვებიან სერთიფიცირებული ტრენინგები და სპიკერები.

საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა - ღონისძიება გულისხმობს ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობას საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში. მონაწილეთა შერჩევა მოხდება ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის მიერ კონკურსის წესით. მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 14-დან 29 წლის ჩათვლით აჭარის ა.რ. ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს, ასევე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული აკრედიტირებული უმაღლესი, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებსა და მოსწავლეებს. ღონისძიების ფარგლებში ახალგაზრდობისთვის ავია ბილეთის, საწევროს და სხვა ვიზიტთან დაკავშირებული თანხის ანაზღაურება მოხდება ერთჯერადი გასაცემის სახით. ავიაბილეთების შემთხვევაში დაფინანსება მოხდება არაუმეტეს 1500 ლარისა, ხოლო საწევროს შემთხვევაში არაუმეტეს 1700 ლარისა, სხვა ვიზიტთან დაკავშირებული თანხის ანაზღაურება მოხდება არაუმეტეს 1000 ლარისა.

რეგიონული ახალგაზრდული ფორუმი - აღნიშნულ ფორუმში მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის კულტურულ - შემეცნებითი და ინტელექტუალური ღირებულებების გაცვლას. ღონისძიების პირველ ეტაპზე ჩატარდება ლექცია, რომელსაც წარუძღვებიან სერთიფიცირებული ტრენერები და სპიკერები. კონფერენციის მეორე და მესამე ეტაპი დაეთმობა პრაქტიკულ სამუშაოებს, როგორცაა ჯგუფში მუშაობა, საერთო პროექტების, იდეების შემუშავება და პრეზენტაცია. ჩაერთვება 60-მდე ახალგაზრდა.

YRC კლუბი - ღონისძიების ფარგლებში შეიქმნა მოხალისეთა კლუბი, რომელშიც გაწევრიანება შეუძლიათ 16-დან 29 წლის ჩათვლით აჭარის ა.რ. ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს, მოხალისეები შეირჩვიან სპეციალურად შექმნილი სააპლიკაციო ფორმის მეშვეობით. ახალგაზრდები ჩაერთვებიან სხვადასხვა მოხალისეობრივი აქტივობების დაგეგმვის, ორგანიზებისა და განხორციელების პროცესში. აღნიშნული პროექტი უზრუნველყოფს ახალგაზრდების გააქტიურებას და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდას. ღონისძიების ფარგლებში მოხდება მოხალისეების გადამზადება და საჭიროების შემთხვევაში მათი ეკიპირება.

რა?სად?როდის? - ღონისძიება გულისხმობს ინტელექტუალური თამაშის ორგანიზებას, რომელიც გაიმართება აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტიდან წარმოდგენილ გუნდებს შორის. ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 14-დან 29 წლის ჩათვლით აჭარის ა.რ. ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს. ღონისძიება ფარგლებში განხორციელდება ბათუმის მუნიციპალური და რეგიონული ჩემპიონატები აგრეთვე ზაფხულის ღია ჩემპიონატი. ღონისძიებაში ჩართვის მსურველი გუნდების შერჩევა მოხდება ცენტრის მიერ რესურსცენტრებთან თანამშრომლობით.

დებატ ბანაკი - ღონისძიების ფარგლებში ახალგაზრდები არაფორმალურ გარემოში შეისწავლიან დებატების ტექნიკასა და სპეციფიკას. დებატებს წარუძღვებიან სერთიფიცირებული ტრენერები. ღონისძიება რამდენიმე ეტაპად ჩატარდება: მასტერკლასები დებატებსა და საჯარო გამოსვლის ხელოვნებაში, ტურნირები და ფინალური შეჯიბრები. ღონისძიებაში ჩართული იქნება აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტი. მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 14-დან 29 წლის ჩათვლით აჭარის ა.რ. ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს, ასევე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული აკრედიტირებული უმაღლესი, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებსა და მოსწავლეებს.

ციფრული ფოტოგრაფია - ღონისძიება გულისხმობს საბანაკე ტიპის აქტივობის ორგანიზებას, რომლის ფარგლებში დაგეგმილია ტრენინგების ჩატარება შემდეგი მიმართულებებით: მობილური ფოტოგრაფია და მობილური ჟურნალისტიკა, სხვადასხვა სოციალური პლატფორმის სპეციფიკა კონტენტის შექმნისას; ჩაერთვება 25 ახალგაზრდა.

YRC ელჩი - პროექტის მიზანია აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული სფეროს განვითარება, ცენტრის სერვისებზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების გაძლიერება. ღონისძიების ფარგლებში ახალგაზრდები მიიღებენ პრაქტიკულ ცოდნას და გამოცდილებას როგორ მოახდინონ მუნიციპალიტეტის დონეზე ახალგაზრდული პროექტების იმპლემენტაცია, კონკურსის გზით მოხდება YRC ელჩების შერჩევა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება.

ინტელექტუალური სივრცე - პროექტი მიზნად ისახავს ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძვლების შესწავლას. კურსის მიზანია ახალგაზრდამ მიიღოს ზოგადი ცოდნა ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინფორმაციული სისტემების, ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით. კურსის ფარგლებში მიღებული საბაზისო ცოდნა და უნარები ახალგაზრდებს დაეხმარება დაგეგმოს კარიერა ტექნოლოგიების სფეროში.

ქვეპროგრამას მონიტორინგს გაუწევს კოორდინატორი.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საერთაშორისო ახალგაზრდული ფორუმი	1	80 000	80 000
საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა	30	5 000	150 000
რეგიონული ახალგაზრდული ფორუმი	1	70 000	70 000
YRC კლუბი	1	50 000	50 000
რა?სად?როდის?	1	60 000	60 000
ციფრული ფოტოგრაფია	1	40 000	40 000
დებატ ბანაკი	1	40 000	40 000
YRC ელჩი	1	50 000	50 000
ინტელექტუალური სივრცე	1	40 000	40 000
ქვეპროგრამის კოორდინატორი (12 თვე)	1	1 600	19 200
ქვეპროგრამის კოორდინატორი (12 თვე)	2	920	22 080
ქვეპროგრამის კოორდინატორი (12 თვე)	1	1 350	16 200
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			637 480

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საერთაშორისო ახალგაზრდული ფორუმი				x
საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა	x	x	x	x
რეგიონული ახალგაზრდული ფორუმი		x	x	
YRC კლუბი	x	x	x	x
რა?სად?როდის?	x	x	x	x
YRC ელჩი		x		
ციფრული ფოტოგრაფია	x	x		
დებატ ბანაკი		x	x	
ინტელექტუალური სივრცე		x	x	

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ახალგაზრდებში ინტელექტუალური, კულტურული და საერთაშორისო ღონისძიებების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მიღებული საერთაშორისო გამოცდილება, დამყარებული კავშირები, მოტივირებული და ინფორმირებული ახალგაზრდები.	ქვეპროგრამაში ჩართული იქნება არანაკლებ 1700 ახალგაზრდა	რაოდენობა	სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი	წლიური	სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი	მიღება-ჩაბარების აქტი, ხელშეკრულება

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ახალგაზრდების ინტელექტუალური, კულტურული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 18 06 03

ქვეპროგრამის დასახელება:

კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	478 280
სულ ბიუჯეტი:	478 280

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდების გადამზადება, სხვადასხვა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, სამუშაო გამოცდილების მიღება.

ლონისძიებების ფარგლებში ტრენინგების შერჩევა და მათი შრომის ანაზღაურება განხორციელდება სსიპ - ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანების საფუძველზე

ქვეპროგრამის აღწერა:

კარიერული განვითარების მხარდაჭერა - გულისხმობს პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენის და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ახალგაზრდების ანაზღაურებად სტაჟირებას 6 თვემდე ვადით კერძო კომპანიებში ადაპტირებული გრაფიკის მეშვეობით. ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ ანაზღაურებად სტაჟირებასთან ერთად მიიღონ მიიღონ ცოდნა და დააგროვონ სამუშაო გამოცდილება. ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 18-დან 29 წლის ჩათვლით აჭარის ა.რ. ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლის სტუდენტის ან კურსდამთავრებულის სტატუსი. ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, კერძო კომპანიები უზრუნველყოფენ ახალგაზრდების სტაჟირების თანადაფინანსებას.

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა - ღონისძიება გულისხმობს ახალგაზრდების მხარდაჭერას საგანმანათლებლო სასერტიფიკაციო კურსებში მონაწილეობის მისაღებად. ახალგაზრდებს ერთჯერადი გასაცემის სახით დაუფინანსდებათ სასურველ საგანმანათლებლო კურსებში მონაწილეობა მოთხოვნის შესაბამისად. მონაწილეთა შერჩევა მოხდება ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის მიერ კონკურსის წესით. მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 14-დან 29 წლის ჩათვლით აჭარის ა.რ. ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს, ასევე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული აკრედიტირებული უმაღლესი, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებსა და მოსწავლეებს.

ახალგაზრდული კონფერენცია - ღონისძიება გულისხმობს აჭარის ა.რ. მასშტაბით მცხოვრები ახალგაზრდების, მათ შორის ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის სხვადასხვა პროექტებში დაფინანსებული ახალგაზრდების თავმოყრას ერთ სივრცეში, მათთვის საჯარო და სამოტივაციო ხასიათის ლექციების ორგანიზებას, აგრეთვე კონფერენციის ფარგლებში, მოეწყობა პანელური შეხვედრა, სადაც ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ შეხვედნენ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს და მათგან მიიღონ დეტალური ინფორმაცია, კონფერენციის მიმდინარე საკითხებზე. ღონისძიებაში ჩართული იქნება 500-მდე ახალგაზრდა.

თემატური ფორუმები - ღონისძიების ფარგლებში სამ ნაკადად განხორციელდება ტრენინგების ციკლი ისეთ თემატურ მიმართულებებში როგორცაა: სპორტი ტურიზმი და კულტურა. ფორუმის ფარგლებში დაგეგმილია აღნიშნული სფეროთი დაინტერესებული 90 მდე ახალგაზრდისთვის გამოცდილების გაზიარება და ცნობიერების ამაღლება, სალონური საღამოები და წარმატებული შედეგების განხილვა სფეროში მოღვაწე ცნობილ ადამიანებთან.

პროფორიენტაციის ბანაკი - ღონისძიება გულისხმობს საბაზო და საშუალო საფეხურის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის ბანაკის ორგანიზებას. ღონისძიების მიზანია, პროფკონსულტანტების დახმარებით, მოზარდებს საკუთარი შესაძლებლობების ადეკვატურად შეფასებასა და განვითარებაში, რაც საბოლოოდ მათ პროფესიის არჩევაში დაეხმარება. ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა სალექციო კურსები პროფესიის არჩევის და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით. ჩაერთვება 30 ახალგაზრდა.

თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა - ღონისძიების ფარგლებში, გრანტის სახით დაფინანსებას მოიპოვებს ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტები სხვადასხვა მიმართულებით. ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია 18-დან 29 წლის ჩათვლით (აჭარის ა.რ. ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, ასევე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ავტორიზებული უმაღლესი, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები და მოსწავლეები) ახალგაზრდებს.

სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა - ღონისძიება გულისხმობს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის საინიციატივო იდეების მხარდაჭერას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

YRC აკადემია - ღონისძიება გულისხმობს მოთხოვნად პროფესიულ მიმართულებებში - პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ხელოვნური ინტელექტი, ადამიანური რესურსების მართვა და რეკრუტინგი, როგორც თეორიული ცოდნის ისე პრაქტიკული გამოცდილების მიღებას. ჩაერთვება 60 მდე ახალგაზრდა;

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	(ლარი)
კარიერული განვითარების მხარდაჭერა	1	35 000	35 000
პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	1	60 000	60 000
ახალგაზრდული კონფერენცია	1	30 000	30 000
თემატური ფორუმები	3	40 000	120 000
პროფორიენტაციის ბანაკი	1	45 000	45 000
თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა	10	3 000	30 000
სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა	5	10 000	50 000
YRC აკადემია	1	64 840	64 840
კოორდინატორი (12 თვე)	1	920	11 040
კოორდინატორი (12 თვე)	2	1 350	32 400
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			478 280

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
კარიერული განვითარების მხარდაჭერა	x	x	x	x
პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	x	x	x	x
ახალგაზრდული კონფერენცია		x	x	
თემატური ფორუმები	x	x		
თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა	x	x	x	x
YRC აკადემია		x	x	
სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა		x	x	

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ახალგაზრდების კარიერული განვითარება და ინიციატივების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>ქვეპროგრამაში ჩართული იქნება არანაკლებ 450 ახალგაზრდა.მხარდაჭერილია სამეწარმეო საქმიანობა, ამადლებულია მოტივაცია,</p>	<p>ქვეპროგრამაში ჩართული იქნება არანაკლებ 1000 ახალგაზრდა.მხარდაჭერილია ახალგაზრდა სტარტ-აპერების საშუალოდ 4 პროექტი და საშუალოდ 20 თავისუფალი ინიციატივა.</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი</p>	<p>წლიური</p>	<p>სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი</p>	<p>მიღება-ჩაბარების აქტი, ხელშეკრულება</p>

მხარჯავი დაწესებულების პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები

პრიორიტეტის დასახელება

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წელი	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
0601	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა	4 931 318	4 931 318	4 881 826	4 881 826	4 881 826
0602	სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	43 104 000	43 104 000	38 975 000	42 275 000	42 275 000
0603	პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა	1 151 460	1 151 460	1 151 460	1 151 460	1 151 460
0604	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	3 797 564	3 797 564	3 755 536	3 755 536	3 755 536
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		52 984 342	52 984 342	48 763 822	52 063 822	52 063 822

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0602
-------------------------------	------

პროგრამის დასახელება:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება
--

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	166 629 000	43 104 000	38 975 000	42 275 000	42 275 000
სულ ბიუჯეტი:	166 629 000	43 104 000	38 975 000	42 275 000	42 275 000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025–2028 წლები

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, მათ შორის სოციალურად დაუცველი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით.

პროგრამის აღწერა:

მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება – მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება მირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ოჯახის მცირე შემოსავლების გამო არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები დაფაროს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ იფარება სახელმწიფოს მიერ და მას ამის საჭიროება დაუდგა. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მიეწოდება სოციალურად დაუცველ და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობას.

გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება – მოქალაქეთა კარდიოქირურგიული სამედიცინო მომსახურება მირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით, მაგრამ მიუხედავად ამისა შესაძლებელია დადგეს ისეთი კარდიოქირურგიული სამედიცინო მომსახურების აუცილებლობა, რომელიც საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული არ არის და მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ფინანსურ მხარდაჭერას საჭიროებს. კარდიოქირურგიული ოპერაციები ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება, ამიტომ თანადაფინანსება (პაციენტის მიერ გადასახდელი თანხა) პაციენტთა დიდი ნაწილისათვის ფინანსურ მხარდაჭერას საჭიროებს.

სახსრების ენდოპროთეზირება – უკანასკნელ წლებში საგრძნობლად მოიმატა სახსრების ართროზით დაავადებულ მოქალაქეთა მომართვიანობამ. პაციენტები საჭიროებენ რესურსტევად ოპერაციულ ჩარევას ენდოპროთეზირების სახით. მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები, რომ უზრუნველყოს აღნიშნული პათოლოგიის ქირურგიული სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მიეწოდება მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთა დაფინანსება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული არ არის.

ამბულატორიულ მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკური კვლევა – მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური გამოკვლევები ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება და მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მიუწვდომელი რჩება, მაშინ როდესაც მთელი რიგი დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მიიწოდება სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობას.

ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება - ათვისებისანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა სამედიცინო მომსახურება მირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით, მაგრამ მიუხედავად ამისა პაციენტთა მნიშვნელოვანი ნაწილის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ან ესაჭიროებათ ისეთი სამედიცინო მომსახურება, რომელიც საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული არ არის, ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება და პაციენტთა დიდი ნაწილისათვის ხელმიუწვდომელი რჩება.

ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება - მოსახლეობის ნაწილს, მცირე შემოსავლების გამო არა აქვს საშუალება დაფაროს სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც სრულად არ იფარება მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით. განსაკუთრებით დახმარებას საჭიროებენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული შემდეგი სოციალური კატეგორიის მოსახლეობა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ასაკით პენსიონერები, 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები და მოქალაქეები რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით; უსახლკართა თავშესაფარის კონტინგენტი;

მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია - მოზრდილი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის აღდგენა/რეაბილიტაცია, რომელთაც გადატანილი დაავადებით ან ტრავმით შეზღუდული აქვთ ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები. შესაბამისად ცხოვრების ხარისხის ამაღლება. პაციენტისათვის ფუნქციონალური დამოუკიდებლობის მოპოვება.

მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება - უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად მოიმატა საზღვარგარეთ მკურნალობის მსურველთა მომართვიანობამ. რაც გამოწვეულია უფრო მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების სურვილით, ან/და ისეთი მომსახურებით, რაც ამ ეტაპზე საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში არ ხორციელდება. პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ პაციენტისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. რაც დასტურდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შეაბამისი ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე.

უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა - უნაყოფო ქორწინების პრობლემა დღემდე რჩება ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ სამედიცინო-სოციალურ და დემოგრაფიულ პრობლემად. უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა ძვირადღირებულია, პაციენტების დაგვიანებით მიმართვა ექიმებთან კი ამცირებს უნაყოფობის მკურნალობის შედეგიანობას. ქვეპროგრამით განიხილება უშვილო წყვილებისთვის თანამედროვე რეპროდუქციული სამედიცინო სერვისების დაფინანსება.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	46 500 000	11 500 000	11 000 000	12 000 000	12 000 000
გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება	19 000 000	4 500 000	4 500 000	5 000 000	5 000 000
სახსრების ენდოპროთეზირება	4 600 000	1 200 000	1 000 000	1 200 000	1 200 000
ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა	13 400 000	4 000 000	3 000 000	3 200 000	3 200 000
ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება	42 710 000	10 710 000	10 000 000	11 000 000	11 000 000
ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება	12 749 000	3 349 000	3 000 000	3 200 000	3 200 000
მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია	8 100 000	1 900 000	2 000 000	2 100 000	2 100 000
მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება	13 370 000	4 445 000	2 975 000	2 975 000	2 975 000
უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა	6 200 000	1 500 000	1 500 000	1 600 000	1 600 000
სულ პროგრამა	160 429 000	43 104 000	38 975 000	42 275 000	42 275 000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დაცული იქნა ბენეფიციარები მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან. შეუნარჩუნდათ ჯანმრთელობა, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით 2024 წლის განმავლობაში დაფინანსდა 12 000-ზე მეტი ბენეფიციარი.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
		2025 წელი	2026 წელი	2027 წელი					2028 წელი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანმრთელობის გაუმჯობესება.	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	38 121	34 000	36 000	36 000	ბენეფიციართა რაოდენობა	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060201

ქვეპროგრამის დასახელება:

მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	11 500 000
სულ ბიუჯეტი:	11 500 000

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც არ ფინანსირდება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.

ქვეპროგრამის აღწერა:

მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამით განხორციელდება განსაზღვრული სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში მისი ერთ-ერთი მშობელიც რეგისტრირებული უნდა იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ასევე ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს სტატუსის მქონე მოქალაქეობის არ მქონე პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები. ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ:

პაციენტები სტიქიური მოვლენების და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; (0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა ერთ-ერთი მშობელი მაინც რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით). შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი ან/და ნაშვილები) ოჯახის წევრები; ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები; უსახლკართო თავშესაფარის კონტინგენტი; უსახლკაროები; მარტოხელა მშობელი და მისი არასრულწლოვანი შვილები, ტრეპინგისა და ძალადობის მსხვერპლი პირები, საოჯახო ტიპის საცხოვრებელ სახლში მცხოვრები, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი 0 დან-18 წლამდე ასაკის ბავშვები.

იმ პაციენტების დაფინანსება, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ზემოთ ჩამოთვლილ სოციალურ კატეგორიას, განიხილება ინდივიდუალურად შესაბამისი კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

ვაუჭერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია; (18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის დაბადების მოწმობის ასლი და მისი კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ქსეროასლი);

- ქვეპროგრამის ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთი;

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);

- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა.

-საქართველოს სტატუსის მქონე მოქალაქეობის არ მქონე პირებისა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისათვის ბინადრობის მოწმობა.

ყველა სხვა დოკუმენტი ქვეპროგრამის განმახორციელებლის მოთხოვნის შესაბამისად.

ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარების მკურნალობა ფინანსდება ფაქტიური ხარჯით არაუმეტეს შიდა სტანდარტის ტარიფისა შემდეგი პროპორციების დაცვით:

მკურნალობის ღირებულება - 5000 ლარის ჩათვლით - 100%-ით;

მკურნალობის ღირებულება - 5000 ლარზე მეტი - 90%-ით, მაგრამ არაუმეტეს 15 000 ლარისა.

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული 70 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დაფინანსდება სრულად, არაუმეტეს 15000 ლარისა, პაციენტები სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დაფინანსდება სრულად (თანაგადახდის გარეშე) არაუმეტეს 15 000 ლარისა;

აჭარის რეგიონში არსებული უმწეოთა თავშესაფარის კონტიგენტის და უსახლკაროების მკურნალობა დაფინანსდება თანაგადახდის გარეშე არაუმეტეს 5000 ლარისა. საოჯახო ტიპის საცხოვრებელ

სახლში მცხოვრები, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი 0 დან-18 წლამდე ასაკის ბავშვები დაფინანსდებიან სრულად თანაგადახდის გარეშე.

ა) ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურების დაფინანსება:

საჭიროების შემთხვევაში ქვეპროგრამის ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურების ღირებულება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად.

ბ) ბადურის მიმე დაავადებების (დიაბეტური რეთინოპათია, მაკულარული შეშუპება ბადურის ვენის ოკლუზიის გამო, მიოპიური ქოროიდეული ნეოვასკულარიზაცია, ნეოვასკულარული ასაკთან დაკავშირებული მაკულარული დეგენერაცია და სხვა) მკურნალობის დაფინანსება ახალი თაობის ანტიანგიოგენური პრეპარატების ინტრავიტრეალური შეყვანის გზით. ქვეპროგრამის მოსარგებლებები არიან ბადურის მიმე დაავადების მქონე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჭერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მომსახურება დაუფინანსდება სრულად, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით.

გ) ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის დაფინანსება:

დაუფინანსდებათ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჭერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და საჭიროებენ ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ჩატარებას.

- ღვიძლის ტრანსპლანტაცია საჭიროების შემთხვევაში პაციენტებს დაუფინანსდება 125 000 ლარით.

- სისხლისა და სხვა ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეების, ზოგიერთი იმუნური სისტემის და მემკვიდრეობითი დაავადების დროს პაციენტებს ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების შემთხვევაში დაუფინანსდებათ:

- ძვლის ტვინის აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია პაციენტებს დაუფინანსდებათ - 125 000 ლარით.

- ძვლის ტვინის ალოგენური ტრანსპლანტაცია პაციენტებს დაუფინანსდებათ - 200 000 ლარით;

- ძვლის ტვინის აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია პაციენტებს დაუფინანსდებათ - 235 000 ლარით;

ტრანსპლანტაციის დაფინანსება ქვეპროგრამით გათვალისწინებული პირობების დაცვით განხორციელდება როგორც საქართველოს, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტის მოთხოვნის შესაბამისად.

იმ პაციენტებს, რომელთა წლიური შემოსავალი არის 40 000 ლარი და მეტი ძვლის ტვინისა და ღვიძლის ტრანსპლანტაციის ძვირადღირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები დაუფინანსდებიან ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხის 80%-ით.

დ) გაფანტული სკლეროზით, რემატოიდული ართრიტის მიმე ფორმით, იდიოპათიური მანკილოზიზებული სპონდილიტით, სხვა აუტოიმუნური რემატოიდი დაავადებებით, ფსორიოზით და ფსორიოზული ართრიტით დაავადებული პაციენტების მკურნალობის დაფინანსება ძვირადღირებული მედიკამენტებით. გაფანტული სკლეროზის, რემატოიდული ართრიტის მიმე ფორმით, იდიოპათიური მანკილოზიზებული სპონდილიტით, სხვა აუტოიმუნური რემატოიდი დაავადებების, ფსორიოზით და ფსორიოზული ართრიტით დადავადებულ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ვაუჭერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, არანაკლებ 1 წლის განმავლობაში, დაუფინანსდებათ მკურნალობისათვის საჭირო ძვირადღირებული, მედიკამენტების კურსის ღირებულება სრულად, თანაგადახდის გარეშე.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება:

- ა) სამედიცინო ჩვენებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობა, თვითმკურნალობა; ამბულატორიული მკურნალობისათვის მედიკამენტების ხარჯები;
- ბ) საზღვარგარეთ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები (გარდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციისა);
- გ) სანატორიულ-კურორტული მკურნალობა;
- დ) ესთეტიკური ქირურგია, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობა;
- ე) ნებისმიერი სახის ამბულატორიულად ჩატარებული სისხლის, შარდის, განავლის კლინიკო-დიაგნოსტიკური და ბაქტერიოლოგიური კვლევები.
- ვ) აივ-ინფექციის/შიდსის, ქრონიკული ჰეპატიტის სპეციფიკურ ანტივირუსულ მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ზ) თუ სამედიცინო მომსახურების საჭიროება დადგა თვითდაშავების, კრიმინალურ აქტებში მონაწილეობის ან ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებული ნარკოტიკული და ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად.
- თ) ეგზოპროტეზირების ხარჯები;
- ი) სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.
- კ) ის სამედიცინო მომსახურება, რომელიც ფინანსირდება სამინისტროში მოქმედი მიზნობრივი პროგრამებით.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	11500	1000	11 500 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			11 500 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	x	x	x	x
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	x	x	x	x
დაფინანსება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციარების სიცოცხლისა შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	1 000	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	11 500	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060207

ქვეპროგრამის დასახელება:

გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	4 500 000
სულ ბიუჯეტი:	4 500 000

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობის კარდიოქირურგიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის პირობების შესაბამისად განხორციელდება მოსახლეობის დამატებითი კარდიოქირურგიული მომსახურების (სამედიცინო მომსახურება, რომელიც არ ფინანსირდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით) დაფინანსება. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული კარდიოქირურგიული ოპერაციების თანაგადახდისა და გეგმიური გულის დაავადებების ძვირადღირებული სადიაგნოსტიკო კვლევების დაფინანსება.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- მოქალაქის განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ _ ფორმა NIV-100/ა (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- ყველა სხვა დოკუმენტი ქვეპროგრამის განმახორციელებლის მოთხოვნის შესაბამისად.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამის მოსარგებლედ განსაზღვრება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე. (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

ა) ქვეპროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება, რომლის ღირებულება არ არის განსაზღვრული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით, დაფინანსდება ფაქტიური ხარჯით, არაუმეტეს დაწესებულების მიერ გაცემული წინასწარ ანგარიშ-ფაქტურაში (შიდა სტანდარტის ტარიფი) მითითებული თანხისა, შემდეგი პროპორციების დაცვით:

მკურნალობის ღირებულება - 5000 ლარის ჩათვლით დაფინანსდება -100%-ით;

მკურნალობის ღირებულება - 5000 ლარზე მეტი დაფინანსდება - 90%-ით;

ბ) ქვეპროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება, რომლის ღირებულება განსაზღვრულია და შესაბამისად ფინანსდება DRG მეთოდით განსაზღვრული საბაზისო ღირებულების ფარგლებში, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო ბენეფიციარი ვერ ხვდება ზემოთ აღნიშნულ პროგრამაში (არის მინიმალური პაკეტის მფლობელი, ამოწურული აქვს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული წლიური ლიმიტი და სხვა) სამინისტროს მიერ დაფინანსდება DRG მეთოდით განსაზღვრული საბაზისო ღირებულების ფარგლებში სრულად.

გ) თანადაფინანსება:

ბენეფიციარებს სოციალური სტატუსის მიუხედავად დაუფინანსდებათ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული გეგმიური და ურგენტული კარდიოქირურგიული სამედიცინო მომსახურების თანაგადახდა DRG მეთოდით განსაზღვრული საბაზისო ღირებულების ფარგლებში სრულად.

დ) გულის დაავადებების მვირადღირებული სადიანოსტიკო კვლევების დაფინანსება (გეგმიური გულის ან/და კორონარული არტერიების ანგიოგრაფია, ენდოკარდიული ელექტროფიზიოლოგიური კვლევა, კარდიოვერსია და სხვა)

200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტებს, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს; ომის ვეტერანებს; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეებს, დაღუპულთა ოჯახის წევრებს (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი ან/და ნაშვილები) ოჯახის წევრებს; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირებს; მარტოხელა მშობელს, უსახლკაროთა თავშესაფარის კონტინგენტს, უსახლკაროებს, ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლ პირებს, ასაკით პენსიონერებს, სტუდენტებს, პედაგოგებს, დაუფინანსდებათ სრულად სამკურნალო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის (შიდა სტანდარტის ტარიფი) მიხედვით.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება: საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის DRG მეთოდით განსაზღვრული საბაზისო ღირებულებაზე მეტად მოთხოვნილი თანხა, საზღვარგარეთ ჩატარებული სამედიცინო მომსახურება.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	4 500	1 000	4 500 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			4 500 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	X	X	X	X
დაფინანსება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	1 000	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	4 500	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060203

ქვეპროგრამის დასახელება:

სახსრების ენდოპროთეზირება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1 200 000
სულ ბიუჯეტი:	1 200 000

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობისათვის სახსრების ენდოპროთეზირების ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის პირობების შესაბამისად განხორციელდება მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური კატეგორიისათვის სახსრების ენდოპროთეზირების (გადაგვარებული ან დაზიანებული სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით) დაფინანსება.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ვაუჩერით დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით. ზღვრული თანხა შეადგენს 8000 ლარს.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:
 ქვეპროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში მისი ერთ-ერთი მშობელიც რეგისტრირებული უნდა იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ქვეპროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება: - ბენეფიციარებისათვის (რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 70 000 დან 200 000-მდე სარეინტეგო ქულა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, ომის ვეტერანები, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში მონაწილეები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები), მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი ან/და ნაშვილები) ოჯახის წევრები, მარტოხელა მშობელი და მისი არასრულწლოვანი შვილები, ფაქტური ხარჯის 100%-ით (არაუმეტეს 8000 ლარისა)
 - სხვა დანარჩენი მოქალაქეებისათვის 90%-ით,

ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისებით ვერ ისარგებლებენ სახელწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული სამედიცინო პროგრამის მოსარგებლები, ასევე ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევით მოსარგებლები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი არ ითვალისწინებს აღნიშნულ ქირურგიულ მკურნალობას.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება: პირები, რომელთა წლიური შემოსავალი არის 40 000 ლარი და მეტი, ასევე არ დაფინანსდება საზღვარგარეთ მკურნალობა და სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:
 - განცხადება;
 - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
 - ქვეპროგრამის ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
 - სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა.
 - ყველა სხვა დოკუმენტი ქვეპროგრამის განმახორციელებლის მოთხოვნის შესაბამისად.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	150	8000	1 200 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1 200 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	x	x	x	x
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	x	x	x	x
დაფინანსება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება სახსრების ენდოპროთეზირებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის ბენეფიციარების ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	150	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	8000	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060204

ქვეპროგრამის დასახელება:

ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	4 000 000
სულ ბიუჯეტი:	4 000 000

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის პირობების დაცვით მოსახლეობას დაუფინანსდება ძვირადღირებული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური გამოკვლევები, რომლებიც მთელი რიგი დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ქვეპროგრამით განხორციელებული მომსახურება დაფინანსდება მიმწოდებლის მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ქვეპროგრამაში გათვალისწინებული ღირებულებისა და პროპორციების დაცვით:

- 1) 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები, უსახლკაროთა თავშესაფარის კონტინგენტი; უსახლკაროები; ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლი პირები, საოჯახო ტიპის საცხოვრებელ სახლში მცხოვრები, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი 0 დან-18 წლამდე ასაკის ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი ან/და ნაშვილები) ოჯახის წევრები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები; მარტოხელა მშობელი და მისი არასრულწლოვანი შვილები - 100%-ით;
- 2) ასაკით პენსიონერები, 0 დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები, (გარდა ზემოთ აღნიშნული ბენეფიციარებისა) - 90%-ით;
- 3) პოზიტრონ-ემისიური კომპიუტრული ტომოგრაფიული კვლევა (PET/CT), ყველა პაციენტს ზემოთ აღნიშნული ბენეფიციარების გარდა, საჭიროების შემთხვევაში (მიუხედავად ჩატარებული სხვა მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევისა) დაუფინანსდება ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღირებულების 90% ით. წლის განმავლობაში ერთჯერ.
- 4) ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება დაუფინანსდება სრულად (100% ით) გათვალისწინებული ტარიფის ფარგლებში.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

- ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ:
- საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში მისი ერთ-ერთი მშობელიც რეგისტრირებული უნდა იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- მოქალაქის განცხადება;
 - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა IV-N100/ა (პაციენტის დიაგნოზი და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
 - სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა.
 - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია.
 - ქვეპროგრამის მოსარგებლის დამადასტურებელი საბუთი.
- ყველა სხვა დოკუმენტი ქვეპროგრამის განმახორციელებლის მოთხოვნის შესაბამისად.

ა) ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

№	დასახელება	პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
1	კომპიუტერული ტომოგრაფია	2790		1 916 500
1.1	გულმკერდის კომპიუტერული ტომოგრაფია	200	250	50 000
1.3	მუცლის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია	220	250	55 000
1.5	თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია	210	250	52 500
1.7	სინუსების-პარანაზალური წიაღების, ყურისა და დრვილისებრი მორჩების კომპიუტერული ტომოგრაფია	200	230	46 000
1.8	კიდურების კომპიუტერული ტომოგრაფია	230	250	57 500
1.9	ხერხემლის 1 სეგმენტის კომპიუტერული ტომოგრაფია	180	250	45 000
1.10	მცირე მენჯის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია	160	250	40 000
1.12	სხვა ორგანოების კომპიუტერული ტომოგრაფია	150	350	52 500
1.14	სამარდე გზების კტ	150	350	52 500
1.15	სამარდე გზების კტ (მულტიფაზური კვლევა)	130	400	52 000
1.16	მსხვილი ნაწლავის კტ (ვირტუალური კოლონოსკოპია)	130	400	52 000
1.17	კტ კონონაროგრაფია	100	650	65 000
1.18	პოზიტრონ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია (PET/CT)	350	3500	1 225 000
1.19	ერთი თვალისა და მხედველობის წერვის ტომოგრაფია	120	100	12 000
1.20	ორი თვალისა და მხედველობის წერვის ტომოგრაფია	110	200	22 000
1.21	თვალის ფსკერის ფლუორანტიოგრაფია	150	250	37 500
2	ანგიოგრაფიები:	940		483 000
2.1	თავის ტვინის ანგიოგრაფია კონტრასტით	120	500	60 000
2.2	კისრის სისხლძარღვების ანგიოგრაფია	150	500	75 000
2.3	გულმკერდის ანგიოგრაფია	160	500	80 000
2.4	მუცლის ღრუს ანგიოგრაფია	130	500	65 000
2.5	ქვემო კიდურების ანგიოგრაფია	120	500	60 000
2.7	ღვიძლის ანგიოგრაფია	130	500	65 000
2.8	სხვა სისხლძარღვების ანგიოგრაფია	130	600	78 000
3	მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	2410		1 110 500
3.1	თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	200	400	80 000
3.3	თავის ტვინის სისხლძარღვების უკონტრასტო ანგიოგრაფია	180	400	72 000
3.4	ექსტრაკრანიალური სისხლძარღვების კისრის უკონტრასტო ანგიოგრაფია	230	400	92 000
3.5	გულმკერდის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	150	400	60 000

3.7	მუცლის ღრუს მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	200	400	80 000
3.9	ცხვირის დანამატების ღრუების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	250	300	75 000
3.10	კისრის მალეზის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	130	400	52 000
3.11	მცირე მენჯის ღრუს მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	150	400	60 000
3.13	ხერხემლის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	150	600	90 000
3.14	წელის მალეზის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	120	350	42 000
3.16	კიდურების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	130	350	45 500
3.18	სხვა ორგანოების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	120	600	72 000
3.21	მილიოანი სხეულის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	200	850	170 000
3.23	გულის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	200	600	120 000
4	ანესთეზია	200	300	60000
5	სისხლძარღვების ინვაზიურ რენტგენო-კონტრასტული ანგიოგრაფია	280	1300	364 000
6	კონტრასტი კტ კვლევის დროს	200	150	30 000
7	კონტრასტი მრტ კვლევის დროს	200	180	36 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				4 000 000

ბ) ქვეპროგრამის ფარგლებში - 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პირებს, ვეტერანებს და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს დაუფინანსებთ: ენდოსკოპიური, გასტროსკოპიული, კოლონოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, პოლისომნოგრაფიული, ჩონჩხის სცინტიგრაფიული კვლევები, თვალის სხვადასხვა ნაწილის ოპტიკურ კოჰერენტული ტომოგრაფია, თვალის ელექტროფიზიოლოგიური კვლევები და სხვა - სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით სრულად.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება: პაციენტები, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარი და მეტია, საზღვარგარეთ ჩასატარებელი დიაგნოსტიკური კვლევა და უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურება, ასევე არ დაფინანსდება სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.

საკმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	x	x	x	x
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	x	x	x	x
დაფინანსება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

მოსახლეობის ჰოსპიტალიზაციამდე პერიოდში დაავადებათა დაგვიანებული დიაგნოსტიკით გამოწვეული გართულების პრევენცია მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მოსახლეობის ჰოსპიტალიზაციამდე პერიოდში დაავადებათა დაგვიანებული დიაგნოსტიკით გამოწვეული გართულების პრევენცია მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	5 260	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	760	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060206

ქვეპროგრამის დასახელება:

ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	10 710 000
სულ ბიუჯეტი:	10 710 000

ქვეპროგრამის მიზანი:

ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთათვის დამატებით სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის პირობების შესაბამისად განხორციელდება ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსება.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ვაუჩერით დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. ქვეპროგრამით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში მისი ერთ - ერთი მშობელიც რეგისტრირებული უნდა იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ასევე ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს სტატუსის მქონე მოქალაქეობის არ მქონე პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები. ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენს ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პაციენტები დადასტურებული დიაგნოზით. ვაუჩერის გაცემის საფუძველია:

- განცხადება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
- სამედიცინო დაწესებულების ან სააფთიაქო კომპანიების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა.
- საქართველოს სტატუსის მქონე მოქალაქეობის არ მქონე პირებისა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისათვის ბინადრობის მოწმობა.
- ყველა სხვა დოკუმენტი ქვეპროგრამის განმახორციელებლის მოთხოვნის შესაბამისად.

ა) სამედიცინო მომსახურება, რომელიც საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით არ ფინანსირდება ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად არაუმეტეს 20 000 ლარისა. სრულად დაფინანსდება ის სამედიცინო მომსახურება, რომელიც ფინანსდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო ბენეფიციარი ვერ ხვდება ზემოთ აღნიშნულ პროგრამაში.

ბ) ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტოზური სამედიცინო მომსახურება, თარგენტული, იმუნოთერაპიული (მონოკლონური ანტისხეულები, პროტეინ კინაზა ინჰიბიტორები), ბისფოსფონატების ჯგუფის მედიკამენტები, რომლებიც არ ფინანსირდებიან მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით დაფინანსდება სამკურნალო დაწესებულებიდან ან სააფთიაქო კომპანიებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, სრულად.

გ) ძუძუს კიბოს მკურნალობა;

- ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორდადებითი დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტ ტრასტუზუმაბით (ჰერცეპტინით) მკურნალობა დაფინანსდება სამკურნალო დაწესებულებიდან ან სააფთიაქო კომპანიების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით სრულად თანაგადახდის გარეშე.

- პაციენტებს საჭიროებიდან გამომდინარე ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორდადებითი მეტასტაზური და მაღალი რისკის ადრეული ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში დაუფინანსდებთ მედიკამენტ პერტუზუმაბის ან ლაპატინიბის მკურნალობის კურსის ღირებულება ტრასტუზუმაბთან (ჰერცეპტინი) ერთად და ასევე ფესგოს ღირებულება, სამკურნალო დაწესებულებიდან ან სააფთიაქო კომპანიების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით სრულად თანაგადახდის გარეშე.

დ) თანადაფინანსება;

ქვეპროგრამის ფარგლებში ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს (დადასტურებული დიაგნოზით) დაუფინანსდებთ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული გეგმიური და ურგენტული ქირურგიული სამედიცინო მომსახურების თანაგადახდა სრულად, DRG მეთოდით განსაზღვრული საბაზისო ღირებულების ფარგლებში.

ე) ავთვისებიანი სიმსივნის კომპლექსური გენური პროფილირება.

ქვეპროგრამის ფარგლებში ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ რთულად სადიაგნოსტიკო პაციენტებს დაუფინანსდებთ სიმსივნური ქსოვილის გენურ პროფილირებასთან (მოლეკულურ-გენეტიკური კვლევა) დაკავშირებული ხარჯები.

ვ) პოზიტრონ-ემისიური კომპიუტრული ტომოგრაფიული კვლევის (PET/CT) დაფინანსება:

ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტებს დაუფინანსდებთ პოზიტრონ-ემისიური კომპიუტრული ტომოგრაფიული (PET/CT) კვლევა სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით სრულად, თანაგადახდის გარეშე.

ქვეპროგრამით დაფინანსდება, აგრეთვე საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის, ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევის მოსარგებლები, იმ შემთხვევაში თუ კი მათ რაიმე მიზეზის გამო, უარი ეთქვათ სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაზე. აღნიშნული შემთხვევები ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქვეპროგრამით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება: საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის DRG მეთოდით განსაზღვრული საბაზისო ღირებულებაზე მეტად მოთხოვნილი თანხა, საზღვარგარეთ ჩატარებული სამედიცინო მომსახურება,

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	10710	1 000	10 710 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			10 710 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	X	X	X	X
დაფინანსება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პაციენტების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პაციენტების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	10 710	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	1 000	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060209

ქვეპროგრამის დასახელება:

ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	3 349 000
სულ ბიუჯეტი:	3 349 000

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობისათვის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმიური და გადაუდებელი ქირურგიული სამედიცინო მომსახურების, თანაგადახდის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმიური და გადაუდებელი ქირურგიული სამედიცინო მომსახურების და ინტენსიური თერაპიის თანაგადახდის დაფარვა DRG მეთოდით განსაზღვრული საბაზისო ღირებულებების ფარგლებში.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:
 ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში მისი ერთ-ერთი მშობელიც რეგისტრირებული უნდა იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ა) საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმიური და გადაუდებელი ოპერაციული სამედიცინო მომსახურების თანაგადახდა DRG მეთოდით განსაზღვრული საბაზისო ღირებულებების ფარგლებში ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ სრულად.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ:
 - შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირები;
 - მოქალაქეები რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
 - ასაკით პენსიონერები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
 - 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
 - უსახლკაროთა თავშესაფარის კონტინგენტი;
 - უსახლკაროები;
 - საოჯახო ტიპის საცხოვრებელ სახლში მცხოვრები, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი 0 დან-18 წლამდე ასაკის ბავშვები

ბ) ინტენსიური თერაპიის (პირველი დონის ინტენსიური მკურნალობა/მოვლა, საჭიროების შემთხვევაში მეორე დონის ინტენსიური მკურნალობა/მოვლა) მომსახურების თანაგადახდა DRG მეთოდით განსაზღვრული საბაზისო ღირებულების ფარგლებში სრულად დაუფინანსდებათ ბენეფიციარებს (სტაციონარში არანაკლებ 24 საათიანი დაყოვნებით).

ბენეფიციარებს წარმოადგენენ:

- მოქალაქეები რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები;
- ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები);
- მრავალშვილიანი მშობლები და (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი ან/და ნაშვილები) ოჯახის წევრები;
- უსახლკაროთა თავშესაფარის კონტინგენტი;
- უსახლკაროები;
- მარტოხელა მშობელი და მისი არასრულწლოვანი შვილები (18 წლამდე);
- ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლი პირები;
 - საოჯახო ტიპის საცხოვრებელ სახლში მცხოვრები, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი 0 დან-18 წლამდე ასაკის ბავშვები; გქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ასევე:
- ძვირადღირებული (რომელთა ღირებულება DRG მეთოდით განსაზღვრული საბაზისო ღირებულების ფარგლებში აღემატება 15 000 ლარს) ქირურგიული ოპერაციული (გეგმიური, გადაუდებელი) მკურნალობის თანაგადახდა არაუმეტეს 20 000 ლარისა.

დინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული-პალიატიური მზრუნველობისა და სიმპტომური მკურნალობის თანაგადახდა სრულად ღირებულების ფარგლებში.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- მოქალაქის განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა IV-N100/ა (პაციენტის დიაგნოზი და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- ქვეპროგრამის ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთი.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის DRG მეთოდით განსაზღვრული საბაზისო ღირებულებაზე მეტად მოთხოვნილი თანხა. საზღვარგარეთ ჩატარებული მკურნალობა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	3349	1000	3 349 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			3 349 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	x	x	x	x
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	x	x	x	x
დაფინანსება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	3 349	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციარებისათვის ს ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	1 000	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060210

ქვეპროგრამის დასახელება:

მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1 900 000
სულ ბიუჯეტი:	1 900 000

ქვეპროგრამის მიზანი:

მოზრდილი მოსახლეობის (18 წლის ზემოთ) ნებისმიერი ორგანული სისტემის დაავადებით ან დაზიანებით განპირობებული უუნარობის ფუნქციის აღდგენა და შესაბამისად ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

ქვეპროგრამის აღწერა:

მოზრდილი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის აღდგენა/რეაბილიტაცია, რომელთაც გადატანილი სხვადასხვა დაავადებით ან ტრავმით შეზღუდული აქვთ ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები. ქვეპროგრამის ფარგლებში თითოეულ პაციენტს მულტიდისციპლინალური გუნდის მიერ სამედიცინო მომსახურებისათვის ინდივიდუალურად შემუშავებული გეგმის მიხედვით მიეწოდება კომპლექსური სერვისი - ფიზიკური თერაპევტის, რეაბილიტოლოგის, ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, ლოგოპედის, შრომითი თერაპევტის, ოკუპაციური თერაპევტის და სხვა საჭირო სპეციალისტების მომსახურება.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემის და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ:

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა;

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები;

ომის ვეტერანები;

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

– მოქალაქის განცხადება;

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა IV-N100/ა (პაციენტის დიაგნოზი და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);

- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა;

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;

- ქვეპროგრამის ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთი.

ვაუჩერით დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით. პაციენტის სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება ფაქტიური ხარჯით, არაუმეტეს ვაუჩერში მითითებული თანხისა.

ღირებულების დანარჩენ ნაწილს დაფარავს პაციენტი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისებით ვერ ისარგებლებენ ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევით მოსარგებლები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი არ ითვალისწინებს აღნიშნულ სამედიცინო მომსახურებას.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება პირები, რომელთა წლიური შემოსავალი არის 40 000 ლარი და მეტი, ასევე არ

დაფინანსდება უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურება. საზღვარგარეთ ჩატარებული სამედიცინო მომსახურება და სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	2375	800	1 900 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1 900 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	x	x	x	x
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	x	x	x	x
დაფინანსება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

დაავადებული პაციენტის ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის აღდგენა/გაუმჯობესება, ფუნქციონალური დამოუკიდებლობის მოპოვება და ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის სამედიცინო რეაბილიტაციაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	2 375	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციარებისათვის ს ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	800	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060211

ქვეპროგრამის დასახელება:

უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1 500 000
სულ ბიუჯეტი:	1 500 000

ქვეპროგრამის მიზანი:

დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გზით უშვილო წყვილებისათვის სამედიცინო სერვისების (მათ შორის საშვილოსნოს შიდა ინსერმინაცია და ინ ვიტრო განაყოფიერება საკუთარი ბიოლოგიური მასალით) დაფინანსება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით განიხილება უშვილო წყვილებისთვის დამხმარე რეპროდუქციული სამედიცინო სერვისების დაფინანსება. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ ის წყვილები (ცოლი/ქმარი), რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის ერთ-ერთი უწყვეტად არის რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არანაკლებ 1 წლის ვადით. ხოლო მეორე კი ვაუჩერის გაცემის მომენტისათვის.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებულ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ - 300 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი და შშმ სტატუსის მქონე პირები, საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დასაქმებული პირები, რომლებიც არანაკლებ 6 თვის განმავლობაში იმყოფებიან კანონიერ ქორწინებაში და რომელთაც შვილის ყოლის მიზნით ესაჭიროებათ შესაბამისი რეპროდუქციული სამედიცინო დახმარების გაწევა.

ქვეპროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული წინასწარი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით (ფაქტური ხარჯით) სრულად, არაუმეტეს -10 000 ლარისა;

დაფინანსების საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა
- უნაყოფო წყვილების ქორწინების დამადასტურებელი მოწმობა;
- ყველა სხვა დოკუმენტი ქვეპროგრამის განმახორციელებლის მოთხოვნის შესაბამისად.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება: უშვილო წყვილისათვის დონორის სამედიცინო მომსახურებისა და ბიოლოგიური მასალის გამოყენების ხარჯები (დონორი კვერცხუჯრედი, დონორი სპერმა და დონორი ემბრიონი) ასევე არ დაფინანსდება უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურება. საზღვარგარეთ ჩატარებული სამედიცინო მომსახურება, სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	150	10 000	1 500 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1 500 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	x	x	x	x
დაფინანსება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

უშვილო წყვილებისათვის სამედიცინო სერვისების (მათ შორის საშვილოსნოს შიდა ინსემინაცია და ინ ვიტრო განაყოფიერება) დაფინანსება. უშვილო ოჯახების რიცხვის შემცირება. საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
უშვილო წყვილებისათვის სამედიცინო სერვისების (მათ შორის საშვილოსნოს შიდა ინსემინაცია და ინ ვიტრო განაყოფიერება) დაფინანსება.	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	150	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
უშვილო ოჯახების რიცხვის შემცირება. საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლის გაუმჯობესება.	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	10 000	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060205

ქვეპროგრამის დასახელება:

მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	4 445 000
სულ ბიუჯეტი:	4 445 000

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის დაცვა საზღვარგარეთ ჩატარებული სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან.

ქვეპროგრამის აღწერა:

უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად მოიმატა საზღვარგარეთ მკურნალობის მსურველთა მომართვიანობამ. რაც გამოწვეულია უფრო მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების სურვილით, ან/და ისეთი მომსახურებით, რომელიც ამ ეტაპზე საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში არ ხორციელდება. პაციენტების საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების დაფინანსება განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ პაციენტისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. რაც დასტურდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შეაბამისი ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში, მისი ერთ-ერთი მშობელიც რეგისტრირებული უნდა იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ სხვადასხვა დაავადებების მქონე პირები, რომელთა სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, რაც დასტურდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე ან/და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით „მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში“ დაფინანსებული პაციენტები.

გადაწყვეტილებას ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფისა და დაფინანსების მეთოდის შესახებ ღებულობს შესაბამისი კომისია (შემდეგ - კომისია), რომლის შემადგენლობა და მუშაობის წესი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

დაფინანსების საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის დაბადების მოწმობის ასლი);
- ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა NIV-100/ა ან შესაბამისი ინფორმაცია პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ქართულად ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული);
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა (თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული);
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ექსპერტის დასკვნა პაციენტის საზღვარგარეთ მკურნალობის აუცილებლობის შესახებ. თანადაფინანსების შემთხვევაში - გადაწყვეტილება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით „მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში“ მიღებული დაფინანსების შესახებ;
- ყველა სხვა დოკუმენტი ქვეპროგრამის განმახორციელების მოთხოვნის შესაბამისად.

ბენეფიციარებს ქვეპროგრამის ფარგლებში დაუფინანსდებათ სამედიცინო მომსახურების ღირებულების თანხა (წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით) სრულად, მაგრამ არაუმეტეს 35000 ლარისა (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით "მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში" თანადაფინანსების შემთხვევაში ღირებულებიდან დარჩენილი თანხა სრულად, მაგრამ არაუმეტეს 35000 ლარისა), ეროვნულ ვალუტაში დახმარების დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს ქვეპროგრამის ფარგლებში დაუფინანსდებათ:

1. 18 წლამდე ასაკის ონკოპათოლოგიური დაავადების მქონე პაციენტების ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვა:

- ძვლის ტვინის აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია - არაუმეტეს 125 000 ლარისა;
- ძვლის ტვინის ალოგენური ტრანსპლანტაცია - არაუმეტეს 200 000 ლარისა;
- ძვლის ტვინის ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია - არაუმეტეს 235 000 ლარისა.

2. საჭიროების შემთხვევაში დაფინანსდება პაციენტების გულის ან ფილტვის გადანერგვის ხარჯები - თითოეულ პაციენტზე არაუმეტეს 250 000 ლარისა.

სამედიცინო მომსახურების დაფინანსების შესახებ პაციენტმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა მიმართოს პაციენტის სამედიცინო მომსახურების დაწყებამდე ან სამედიცინო მომსახურების პროცესში (სამედიცინო მომსახურების დასრულებამდე).

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	127	35 000	4 445 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			4 445 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	x	x	x	x
დაფინანსება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.</p>	<p>ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)</p>	127	<p>ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია</p>	წელიწადში ერთხელ	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს</p>
	<p>ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)</p>	35 000	<p>ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია</p>	წელიწადში ერთხელ	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს</p>

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0603

პროგრამის დასახელება:

პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	4 605 840	1 151 460	1 151 460	1 151 460	1 151 460
სულ ბიუჯეტი:	4 605 840	1 151 460	1 151 460	1 151 460	1 151 460

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025–2028 წლები

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლებში, სამედიცინო პერსონალისათვის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) სოციალური დახმარების დანიშვნა, მათი სოფლებში დამაგრების მიზნით . სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა;

პროგრამის აღწერა:

სოფლის სამედიცინო პერსონალის სოციალური უზრუნველყოფა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლებში, განსაკუთრებით მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) მაღალი დენადობის გამო სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სრულად არ მიეწოდება პირველადი ჯანდაცვით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) სოფლებში დამაგრების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი მატერიალური სტიმულირება სოციალური დახმარების სახით.

ქანგბადის კონცენტრატორებით უზრუნველყოფა - ქანგბადდამოკიდებული პირებისათვის ამბულატორიულ პირობებში ოქსიგენოთერაპიის დროული და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და ოჯახის/სოფლის ექიმების ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით ქანგბადის კონცენტრატორების გადაცემა.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
სოფლის სამედიცინო პერსონალის სოციალური უზრუნველყოფა	3 711 840	927 960	927 960	927 960	927 960
ქანგბადის კონცენტრატორებით უზრუნველყოფა	894 000	223 500	223 500	223 500	223 500
სულ პროგრამა	4 605 840	1 151 460	1 151 460	1 151 460	1 151 460

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

სოფლის სამედიცინო პერსონალის ადგილზე დამაგრებით სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნა უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურებით

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

აჭარის მუნიციპალიტეტების სოფლის სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) სოციალური უზრუნველყოფა. სოფლის მოსახლეობას მიეწოდება უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურება.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის, უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდება; ქანგბადდამოკიდებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დროული და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი					
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის, უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდება; ჟანგბადდამოკიდებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დროული და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა.	სოფლის სამედიცინო პერსონალის სოციალური უზრუნველყოფა	100%	100%	100%	100%	რაოდენობა	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი
	სოფლის სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) ადგილზე დამატება სოციალური უზრუნველყოფის გზით	217	217	217	217	რაოდენობა	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი
	ჟანგბადის კონცენტრატორის რაოდენობა	149	149	149	149	რაოდენობა	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060306

ქვეპროგრამის დასახელება:

სოფლის სამედიცინო პერსონალის სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	927 960
სულ ბიუჯეტი:	927 960

ქვეპროგრამის მიზანი:

სამედიცინო პერსონალის სოფლებში დამაგრება და მათი სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის ბაზისური, უწყვეტი სამედიცინო მომსახურების მიწოდებისათვის სოფლის ექიმებისა და ექთნების სოციალური დახმარების დანიშვნა - მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულოს), ხელვაჩაურის და ქობულეთის სოფლის ექიმებისათვის - 400 ლარი, სოფლის ექთნებისათვის 250 ლარი;

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებში, განსაკუთრებით მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) მაღალი დენადობის გამო სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სრულად არ მიეწოდება პირველადი ჯანდაცვით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო პერსონალის სოფლებში დამაგრების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი სოციალური უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სამედიცინო პერსონალი (სოფლის ექიმი და სოფლის ექთანი). დაფინანსება განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მომსახურების მომწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ქვეპროგრამაში სამედიცინო პერსონალის ჩართვა განხორციელდება მუნიციპალიტეტების გამგებლების მომართვის საფუძველზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექიმების სოციალური დახმარება	43	440	227 040
ქობულეთისა და ხელვაჩაურის სოფლის ექიმების სოციალური დახმარება	64	440	337 920
მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექთნების სოციალური დახმარება	46	275	151 800
ქობულეთისა და ხელვაჩაურის სოფლის ექთნების სოციალური დახმარება	64	275	211 200
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			927 960

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სოციალური დახმარება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სოფლის სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი) ადგილზე დამაგრებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>სოფლის სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი)ადგილზე დამაგრებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.</p>	<p>სოფლის სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი)ადგილზე დამაგრება</p>	<p>მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებში სოფლის ექიმის რაოდენობა – 43 სოფლის ექთანი -46 ქობულეთის და ხელვაჩაურის სოფლის ექიმები– 64 სოფლის ექთანი-64</p>	<p>მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაცია დასაქმებული სოფლის ექიმების, სოფლის ექთნის რაოდენობისა და მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ</p>	<p>ყოველთვიურად</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>მუნიციპალიტეტის გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაცია</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060307

ქვეპროგრამის დასახელება:

ჟანგბადის კონცენტრატორებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	223 500
სულ ბიუჯეტი:	223 500

ქვეპროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, სოციალური და მორალური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აჭარის ა.რ. ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედი პირველადი ჯანდაცვისა და ა(ა)იპ ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრებისათვის ჟანგბადის კონცენტრატორების გადაცემას შემდგომში მათ მიერ ოჯახის/სოფლის ექიმების ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით მოწყვლადი ჯგუფებისათვის სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად.

ქვეპროგრამის ფარგლებში შექმნილი ჟანგბადის კონცენტრატორების უსასყიდლო გადაცემა განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მომსახურების მომწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხოლო ქვეპროგრამით გათვალისწინებული დონისძიებები განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნება განსაზღვრული სოციალური კატეგორიის მოსახლეობა, რომელთათვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენს ოქსიგენითერაპია ამბულატორიულ პირობებში:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის ბავშვები;
- მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები;
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი პირები;
- თავშესაფარის კონტიგენტი

რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ხოლო 18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერთი მშობელი მაინც უწყვეტადაა რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ.

მოქალაქისათვის ჟანგბადის კონცენტრატორის დროებით სარგებლობაში გადაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს ოქსიგენოთერაპიის (ჟანგბადის კონცენტრატორის) საჭიროება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;

18 წლამდე ასაკის შემთხვევაში ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია; ამასთანავე მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი);

- სოციალური კატეგორიის დამადასტურებელი საბუთი.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ჟანგბადის კონცენტრატორები	149	1 500	223 500
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			223 500

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
ელექტრონული ტენდერის გამოცხადება	X	X	X	X
მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებებზე ჟანგბადის კონცენტრატორების გადაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

მოსახლეობის მომსახურების დროული და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, ასევე ოჯახის/სოფლის ექიმების ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია, ბენეფიციართა და მათი ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერა გაწეულია, ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესებულია.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>მოსახლეობის მომსახურების დროული და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, ასევე ოჯახის/სოფლის ექიმების ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია, ბენეფიციართა და მათი ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერა გაწეულია, ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესებულია.</p>	<p>ჟანგბადის კონცენტრატორის რაოდენობა</p>	<p>149</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი</p>	<p>წელიწადში ერთხელ</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული კორესპოდენციის ანალიზი</p>

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0604

პროგრამის დასახელება:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	15 064 172	3 797 564	3 755 536	3 755 536	3 755 536
სულ ბიუჯეტი:	15 064 172	3 797 564	3 755 536	3 755 536	3 755 536

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025–2028 წლები

პროგრამის მიზანი:

რეგიონში ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებისადმი მზადყოფნისა და დროული რეაგირების გზით; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, მოსახლეობის ცნობიერების დონის გაზრდა და ჩართულობა; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა, არაგადამდებ დაავადებებთან დაკავშირებული ავადობითა და უნარშეზღუდულობით გამოწვეული მართვადი ტვირთის შემცირება, სამედიცინო დიაგნოსტიკურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მუნიციპალურ დონეზე.

პროგრამის აღწერა:

გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური და კონტროლი, ეპიდსაწინააღმდეგო და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება. პრიორიტეტული საკითხის ირგვლივ სამიზნე ჯგუფებისა და მოსახლეობის ინფორმაციულობის ზრდა, ჩართულობა.

შერჩეულ სამიზნე ჯგუფში სამედიცინო სკრინინგული გამოკვლევების განხორციელება დაავადების ადრეული გამოვლენის მიზნით; შეზღუდული შესაძლებლობების თავიდან აცილება, დაავადებათა ქრონიზაციის შემცირება, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ორსულებში გართულებათა თავიდან აცილება და ჯანმრთელი მომავალი თაობის ფორმირების ხელშეწყობა იმუნოპროფილაქტიკის ხელშეწყობა, მისი ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და განხორციელების ზედამხედველობა.

სახელმწიფო სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა შეკრება და გადაცემა;

ტუბერკულოზის, აივ ინფექცია/შიდსის და C ჰეპატიტის ინტეგრირებული სკრინინგი და ტუბერკულოზის გამოსავლების გაუმჯობესება აჭარის რეგიონში.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მართვა და მომსახურების მიწოდება	7 221 592	1 863 919	1 785 891	1 785 891	1 785 891
დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა	7 842 580	1 933 645	1 969 645	1 969 645	1 969 645
სულ პროგრამა	15 064 172	3 797 564	3 755 536	3 755 536	3 755 536

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2024 წელს სულ პირველადი სკრინინგული კვლევა ჩატარდა 31740 ბენეფიციარს.(რეგიონის მოსახლეობის დაახლოებით 8.7%).
"მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა": სკრინინგი გაიარა 1800 ბენეფიციარმა, რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა ჩატარდა 300 ბენეფიციარს.
"ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში": საანგარიშო პერიოდში გამოკვლეულია 3500 ორსული.
"სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა": მეორეული დიაგნოსტიკით ისარგებლა 30 ბენეფიციარმა, მათ შორის : ტვინის ღეროს სმენის მარტივი ტესტი ჩატარდა -3, ტიმპანომეტრია-30, კომპიუტერულ აუდიომეტრიული გამოკვლევა ტვინის ღეროს სმენის პასუხის რეგისტრაციის მეთოდით -2.
"ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში": სულ ბენეფიციარი- 350, პირველადი ჯანდაცვის მომართვის საფუძველზე
"აუტიზმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში-აჭარის რეგიონში-მომსახურება გაეწია 400 ბენეფიციარს, მათ შორის პირველადი სკრინინგული კვლევა 400, ADOS ტესტი-330
C ჰეპატიტის,ტუბერკულოზის, აივ ინფექციის აქტიური ხელშეწყობა -სკრინინგი ჩატარდა 20 000 ბენეფიციარს.
შობელთა სკოლა ორსულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის - 1100 ორსულს სასწავლო/საინფორმაციო კურსის სახით ჩატარდა ინტერაქტიული გაკვეთილები
ახალშობილთა მეტაბოლური სკრინინგი - 2000 ახალშობილს ჩატარდა კვლევა მეტაბოლურ-გენეტიკურ დაავადებებზე
სპორტსმენ ზავშვთა კარდიული სკრინინგი-კარდიოლოგიური კვლევა ჩატარდა 1000 სპორტსმენ ზავშვს.
აჭარის მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობისა და მემთეურთა ავადობის კვლევა - სამედიცინო ბრიგადის მიერ ჩატარდა 18 ვიზიტი მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2025 წლის განმავლობაში ეპიდემიოლოგიის სისტემაში მოექცევა ინფექციური და პარაზიტული დაავადების საპროგნოზოდ 40 000-ზე მეტი შემთხვევა, სასწრაფო შეტყობინებასა და ადექატურ რეაგირებას დაექვემდებარება 20%, რომელთა 40% -ში განხორციელდება ეპიდკვლევა.
2025 წლის განმავლობაში:
– ზავშვთა განვითარების ადრეულ ასაკში მვალ-სახსართა თანდაყოლილი დეფორმაციების, მ.შ. მენჯ-ბარძაყის სახსრის თანდაყოლილი ამოვარდნილობისა და დისპლაზიის დროული გამოვლენისა და დიაგნოსტიკის მიზნით, მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მიერ რეგულირებულ 0-6 თვის ასაკის, საპროგნოზოდ 1800 ზავშვს, ჩატარდება მენჯ-ბარძაყის სახსრის ულტრასონოგრაფიული კვლევა, ორთოპედის კონსულტაცია, პირველადი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, რენტგენოლოგიური გამოკვლევა და ორთოპედის განმეორებითი კონსულტაცია.
– ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების ადრეული გამოვლენის მიზნით, რეგიონში უფასო სამედიცინო მომსახურება გაეწევა რეგიონის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტში ჩართულ ყველა ორსულს-საპროგნოზოდ 3500 ორსული.
– სმენის პირველადი სკრინინგით გამოვლენილ, სმენის დარღვევების მქონე ახალშობილებს, რომლებიც რეგისტრირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში, ჩატარდება მეორეული სკრინინგი და საჭიროების შემთხვევაში მათი ჩადრმავებული კვლევები (ტვინის ღეროს სმენის პასუხი, ტიმპანომეტრული კვლევა და კომპიუტერული აუდიომეტრია);
_ალერგიულ დაავადებათა, მ.შ. ბრონქული ასთმის დროული დიაგნოსტიკის მიზნით მუნიციპალიტეტების პჯდ ქსელიდან რეგულირებულ რეგიონის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (6-12 წლის ჩათვლით) საპროგნოზოდ 350 ზავშვს ჩატარდება დიაგნოსტიკური კვლევები.

– აუტიზმის ადრეული დიაგნოსტიკისა და დროული მართვის ხელშეწყობის მიზნით, დაგეგმილია რეგიონის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 2-დან -7 წლის ასაკის ჩათვლით ზავშვთა სკრინინგი და საჭიროების შემთხვევაში დიაგნოსტიკა აუტიზმის სადიაგნოსტიკო დაკვირვების სქემით.
– რეგიონის მოსახლეობის ზოგად პოპულაციაში C ჰეპატიტის, აივ ინფექციისა და ტუბერკულოზის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობის მიზნით, დაგეგმილია სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა მიერ ინტეგრირებული სკრინინგის განხორციელების ხელშეწყობა. საპროგნოზოდ 20 000 ბენეფიციარი
შობელთა სკოლა ორსულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის -ითვალისწინებს ორსულობისას სასწავლო/საინფორმაციო კურსის სახით 6 ინტერაქტიული გაკვეთილის ჩატარებას ორსულობის პერიოდის სწორ მართვასა და მშობიარობა/ზავშვის მოვლისთვის მზადების შესახებ, ბენეფიციარები - აჭარის ა.რ. რეგისტრირებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების „დედათა და ზავშვთა ჯანმრთელობის“ პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტით მოსარგებლე საპროგნოზოდ 1100 ორსული.
ახალშობილთა მეტაბოლური სკრინინგი -თანდაყოლილი მეტაბოლური დარღვევების დროული აღმოჩენისა და განვითარების დარღვევების შეუქცევადი პროცესების თავიდან აცილების მიზნით ახალშობილთა სკრინინგი მეტაბოლურ-გენეტიკურ დაავადებებზე, სკრინინგით დადებით შემთხვევისას კი კონკრეტული დაავადების დამადასტურებელი კვლევის უზრუნველყოფას. ბენეფიციარები - აჭარის ა.რ. რეგისტრირებული 0-1 თვის ახალშობილები, საპროგნოზოდ 2000 ზავშვი.
სპორტსმენ ზავშვთა კარდიული სკრინინგი" - სპორტული აქტივობის უსაფრთხოებისა და არაკეთილსაიმედო გამოსავლების თავიდან აცილების მიზნით სპორტის სხვადასხვა სახეობაში მისაღებ/ჩართულ საპროგნოზოდ 1000 ზავშვს საჭიროებისამებრ ჩატარდება ჩადრმავებული კარდიოლოგიური კვლევა.
აჭარის მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობისა და მემთეურთა ავადობის კვლევა - მემთეურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება/მართვის მიზნით სამედიცინო ბრიგადის ვიზიტი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებში. საპროგნოზოდ 18 ვიზიტი.

ორსულეზში მოსალოდნელი გართულებების და ახალშობილებში განვითარების პრობლემების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია, სისხლში ტყვიის შემცველობაზე კვლევა ჩატარდეს საპროგნოზოდ 3500 ორსულსა და ლაქტაციის პერიოდში მყოფ ქალს, რომლებიც რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ბენეფიციარებს კვლევის შედეგების მიხედვით ჩატარდება განმეორებითი კვლევები, სულ ღონისძიების ფარგლებში კვლევათა საპროგნოზო რაოდენობა -4400.

NIPS არაინვაზიური პრენეტალური სკრინინგი - ორსულობის ადრეულ ეტაპზე უსაფრთხო არაინვაზიური მეთოდით გენეტიკური ინფორმაციის დადგენის მიზნით რისკ-ჯგუფს მიკუთვნებულ ორსულთათვის გაფართოებული NIPS სკრინინგული კვლევის ჩატარება, საპროგნოზოდ 200 ორსული

ოსტეოპოროზის პრევენციული სკრინინგი -ოსტეოპენიის ადრეულ ეტაპზე გამოვლენისა და ოსტეოპოროზის განვითარების თავიდან აცილების მიზნით რისკ-ჯგუფს მიკუთვნებული პირებისათვის დენსიტომეტრიული კვლევის ჩატარება, საპროგნოზოდ 600 ბენეფიციარი.

ცელიაკის სკრინინგი ბავშვებში - ცელიაკის ადრეულ ეტაპზე გამოვლენისა და გართულებების თავიდან აცილების მიზნით ცელიაკის სკრინინგი 2-18 წლის ასაკის ბავშვებში, რომელთა შერჩევა მოხდება შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით, საპროგნოზოდ 500 ბავშვი.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა/შენარჩუნება,
მოსახლეობის დამოკიდებულების ჩამოყალიბება ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად,
დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკა, მოსახლეობის ჯანმრთელობის აცილებადი რისკების მართვა.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი				
<p>ეპიდემიოლოგიურად კეთილსამედო გარემოს უზრუნველყოფა/შენარჩუნება, მოსახლეობის დამოკიდებულების ჩამოყალიბება ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად, დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკა, მოსახლეობის ჯანმრთელობის აცილებადი რისკების მართვა.</p>	<p>სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებულ გადამდებ დაავადებათა საშუალოდ 40% კვლევა</p>	<p>სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებულ გადამდებ დაავადებათა საშუალოდ 40% კვლევა</p>	<p>სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებულ გადამდებ დაავადებათა საშუალოდ 40% კვლევა</p>	<p>სასწრაფო შეტყობინებასა და ეპიდკვლევას დავემდებარებულ შემთხვევათა საპროგნოზოდ 40%</p>	რაოდენობა	<p>სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რეგიონში რეგისტრირებული ყველა ტიპის სამედიცინო (ფიზიკური/იურიდიული) პირი</p>	<p>სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი</p>	<p>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის №01-26/ნ ბრძანების „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ შესაბამისად</p>
	<p>მოსახლეობის ინფორმატიულობის დონის გაზრდის მიზნით ჩატარებული შეხვედრები–80</p>	<p>მოსახლეობის ინფორმატიულობის დონის გაზრდის მიზნით ჩატარებული შეხვედრები–80</p>	<p>მოსახლეობის ინფორმატიულობის დონის გაზრდის მიზნით ჩატარებული შეხვედრები–80</p>	<p>მოსახლეობის ინფორმატიულობის დონის გაზრდის მიზნით ჩატარებული შეხვედრები–80</p>	რაოდენობა	<p>სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი</p>	<p>სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი</p>	<p>ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად</p>
	<p>პრაქტიკულად ჯანმრთელ მოსახლეობაში სკრინინგული გამოკვლევების რაოდენობა–რეგიონის მოსახლეობის საპროგნოზოდ 9.5 % ში</p>	<p>პრაქტიკულად ჯანმრთელ მოსახლეობაში სკრინინგული გამოკვლევების რაოდენობა–რეგიონის მოსახლეობის საპროგნოზოდ 9.5%-ში</p>	<p>პრაქტიკულად ჯანმრთელ მოსახლეობაში სკრინინგული გამოკვლევების რაოდენობა–რეგიონის მოსახლეობის საპროგნოზოდ 9.5%-ში</p>	<p>პრაქტიკულად ჯანმრთელ მოსახლეობაში სკრინინგული გამოკვლევების რაოდენობა–რეგიონის მოსახლეობის საპროგნოზოდ 9.5%-ში</p>	რაოდენობა	<p>სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია</p>	<p>სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი</p>	<p>დონისძიების შესრულების, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის შესაბამისად</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060402

ქვეპროგრამის დასახელება:

დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1 933 645
სულ ბიუჯეტი:	1 933 645

ქვეპროგრამის მიზანი:

რეგიონში დაავადებათა ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა, შემთხვევის დროული მართვა; არაგადამდებ დაავადებებთან დაკავშირებული უნარშეზღუდულობის თავიდან აცილება, სამედიცინო დიაგნოსტიკურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მუნიციპალურ დონეზე.

ქვეპროგრამის აღწერა

ბავშვთა განვითარების ადრეულ ასაკში ძვალ-სახსართა თანდაყოლილი დეფორმაციების, მ.შ. მენჯ-ბარძაყის სახსრის თანდაყოლილი ამოვარდნილობისა და დისპლაზიის დროული გამოვლენისა და დიაგნოსტიკის მიზნით, მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მიერ რეფერირებულ 0-6 თვის ასაკის, საპროგნოზოდ 1800 ბავშვს, ჩაუტარდება მენჯბარძაყის სახსრის ულტრასონოგრაფიული კვლევა, ორთოპედის კონსულტაცია, პირველადი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, რენტგენოლოგიური გამოკვლევა და ორთოპედის განმეორებითი კონსულტაცია.

ორსულეობაში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების ადრეული გამოვლენის მიზნით ჩატარდება: ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული გამოკვლევა – ულტრასონოგრაფია, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონალური (თავისუფალი თიროქსინი) გამოკვლევა, ენდოკრინოლოგის კონსულტაცია, ღონისძიებით მოსარგებლე ორსულეობა, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ღონისძიებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით, რომელსაც გასცემს სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ანტენატალურ კომპონენტში ჩართულ სამედიცინო დაწესებულებებში მომსახურების მისაღებად. სამედიცინო ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს და ამტკიცებს სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. საანგარიშო წელს ბენეფიციარებს აღნიშნული მომსახურება მიეწოდება ერთჯერადად.

სმენის პირველადი სკრინინგით გამოვლენილ, სმენის დარღვევების მქონე ახალშობილებს ჩაუტარდება: მეორეული სკრინინგი და საჭიროების შემთხვევაში მათი ჩადრმავებული კვლევები (ტვინის ღეროს სმენის პასუხი, ტიმპანომეტრული კვლევა და კომპიუტერული აუდიომეტრია); ღონისძიებით მოსარგებლეებს წარმოადგენენ აჭარის მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებული ბავშვები, საპროგნოზო რაოდენობა -30.

ალერგიულ დაავადებათა მ.შ. ბრონქული ასთმის ადრეული გამოვლენის მიზნით, ღონისძიება ითვალისწინებს დიაგნოსტიკას, რომელიც მოიცავს: ალერგოლოგის კონსულტაციას, გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევას, კანის პრიკ ტესტს არაინფექციური ალერგენებით, სისხლის შრატში საერთო IgE -ს განსაზღვრას. ღონისძიებით განსაზღვრული დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარება შეეძლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ, ალერგოლოგთან კონსულტაციაზე პირველადი ჯანდაცვის ქსელიდან რეფერირებულ 6-დან 12 წლის ჩათვლით ასაკის 350 ბენეფიციარს.

ბავშვთა გონებრივი განვითარების სრულყოფის ხელშეწყობისა და სოციალური სისუსტეების დროული აღმოფხვრის მიზნით, პჯდ ქსელის მიერ რეფერირებულ 2-დან -7 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვს ჩაუტარდება ბავშვთა ფსიქიატრის კონსულტაცია აუტიზმის სკრინინგული შეფასებით და საჭიროების შემთხვევაში დიაგნოსტიკა აუტიზმის სადიაგნოსტიკო დაკვირვების სქემით (ADOS). ღონისძიებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით, რომელსაც გასცემს სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი შესაბამისი მომსახურების გამწევ სამედიცინო დაწესებულებაში წარსადგენად.

ქალაქ ბათუმში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში (ქალაქი), დაბა ხელვაჩაურისა ტერიტორიაზე მოსახლეობის ზოგად პოპულაციაში C ჰეპატიტის, აივ ინფექციისა და ტუბერკულოზის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობის მიზნით, დაგეგმილია აღნიშნულ ტერიტორიებზე სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ იურიდიულ პირთა მიერ ინტეგრირებული სკრინინგის განხორციელების ხელშეწყობა. ღონისძიებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით, რომელსაც გასცემს სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი შესაბამისი მომსახურების გამწვევ სამედიცინო დაწესებულებაზე.

მშობელთა სკოლა ორსულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის - ითვალისწინებს ორსულობისას სასწავლო/საინფორმაციო კურსის სახით 6 ინტერაქტიური გაკვეთილის ჩატარებას ორსულობის პერიოდის სწორ მართვასა და მშობიარობა/ზავშვის მოვლისთვის მზადების შესახებ, ბენეფიციარები - აჭარის ა.რ. რეგისტრირებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ პროგრამის ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტით მოსარგებლე საპროგნოზოდ 1100 ორსული.

ახალშობილთა მეტაბოლური სკრინინგი - თანდაყოლილი მეტაბოლური დარღვევების დროული აღმოჩენისა და განვითარების დარღვევების შეუქცევადი პროცესების თავიდან აცილების მიზნით ახალშობილთა სკრინინგი მეტაბოლურ-გენეტიკურ დაავადებებზე, სკრინინგით დადებითი შემთხვევისას კი კონკრეტული დაავადების დამადასტურებელი კვლევის უზრუნველყოფას. ბენეფიციარები - აჭარის ა.რ. რეგისტრირებული 0-1 თვის ახალშობილები, საპროგნოზოდ 2000 ბავშვი.

„სპორტსმენ ბავშვთა კარდიული სკრინინგი“ - სპორტული აქტივობის უსაფრთხოებისა და არაკეთილსამედო გამოსავლების თავიდან აცილების მიზნით სპორტის სხვადასხვა სახეობაში მისაღებ/ჩართულ საპროგნოზოდ 1000 ბავშვს საჭიროებისამებრ ჩაუტარდება ჩადრმავებული კარდიოლოგიური კვლევა.

აჭარის მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობისა და მემთეურთა ავადობის კვლევა - მემთეურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება/მართვის მიზნით სამედიცინო ბრიგადის ვიზიტი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებში. საპროგნოზოდ 18 ვიზიტი.

ორსულებში მოსალოდნელი გართულებების და ახალშობილებში განვითარების პრობლემების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია, სისხლში ტყვიის შემცველობაზე კვლევა ჩაუტარდეს საპროგნოზოდ 3500 ორსულსა და ლაქტაციის პერიოდში მყოფ ქალს, რომლებიც რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ბენეფიციარებს კვლევის შედეგების მიხედვით ჩაუტარდება განმეორებითი კვლევები, სულ ღონისძიების ფარგლებში კვლევათა საპროგნოზოდ რაოდენობა - 4400.

NIPS არაინვაზიური პრენატალური სკრინინგი - ორსულობის ადრეულ ეტაპზე უსაფრთხო არაინვაზიური მეთოდით გენეტიკური ინფორმაციის დადგენის მიზნით რისკ-ჯგუფს მიკუთვნებულ ორსულთათვის გაფართოებული NIPS სკრინინგული კვლევის ჩატარება, საპროგნოზოდ 200 ორსული

ოსტეოპოროზის პრევენციული სკრინინგი - ოსტეოპენიის ადრეულ ეტაპზე გამოვლენისა და ოსტეოპოროზის განვითარების თავიდან აცილების მიზნით რისკ-ჯგუფს მიკუთვნებული პირებისათვის დენსიტომეტრიული კვლევის ჩატარება, საპროგნოზოდ 600 ბენეფიციარი.

ცელიაკის სკრინინგი ბავშვებში - ცელიაკის ადრეულ ეტაპზე გამოვლენისა და გართულებების თავიდან აცილების მიზნით ცელიაკის სკრინინგი 2-18 წლის ასაკის ბავშვებში, რომელთა შერჩევა მოხდება შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით, საპროგნოზოდ 500 ბავშვი

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მენჯ-ბარძაყის სახსრის დიპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა	1800 (ბენეფიციარი)	67.20	120 960
ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში	3500 (ბენეფიციარი)	60.00	210 000
სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა	30 (ბენეფიციარი)	98.67	2 960
ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში	350 (ბენეფიციარი)	96.50	33 775
აუტიზმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში	400 (ბენეფიციარი)	202.9	81 150
C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, აივ ინფექციის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობა	20000 (ბენეფიციარი)	1.75	35 000
მშობელთა სკოლა ორსულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის	1100 (ბენეფიციარი)	180.00	198 000
ახალშობილთა მეტაბოლური სკრინინგი	2000 (ბენეფიციარი)	175.00	350 000

სპორტსმენ ბავშვთა კარდიული სკრინინგი	1000 (ბენეფიციარი)	55.0	55 000
აჭარის მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობისა და მემთეურთა ავადობის კვლევა	18 (ვიზიტი)	3100.00	55 800
ორსულ და ლაქტაციის პერიოდში მყოფ ქალებში ტყვიის შემცველობის განსაზღვრა	3500 (ბენეფიციარი)	113.14	396 000
NIPS არაინვაზიური პრენატალური სკრინინგი	200 (ბენეფიციარი)	950.00	190 000
ოსტეოპოროზის პრევენციული სკრინინგი	600 (ბენეფიციარი)	150.0	90 000
ცელიაკის სკრინინგი ბავშვებში	500 (ბენეფიციარი)	230.0	115 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1 933 645

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 ვარტალი	4 კვარტალი
მენჯ-ბარძაყის სახსრის დიპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა	X	X	X	X
ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში	X	X	X	X
სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა	X	X	X	X
ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში	X	X	X	X
აუტიზმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში	X	X	X	X
C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, აივ ინფექციის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობა	X	X	X	X
მშობელთა სკოლა ორსულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის	X	X	X	X
ახალშობილთა მეტაბოლური სკრინინგი	X	X	X	X
სპორტსმენ ბავშვთა კარდიული სკრინინგი	X	X	X	X
აჭარის მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობისა და მემთეურთა ავადობის კვლევა		X	X	
ორსულ და ლაქტაციის პერიოდში მყოფ ქალებში ტყვიის შემცველობის განსაზღვრა	X	X	X	X
NIPS არაინვაზიური პრენატალური სკრინინგი	X	X	X	X
ოსტეოპოროზის პრევენციული სკრინინგი	X	X	X	X
ცელიაკის სკრინინგი ბავშვებში	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

დაავადებათა ქრონიზაციის შემცირება, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

C ჰეპატიტით, აივ ინფექცია/შიდსით, ტუბერკულოზით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების შემცირება სამიზნე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინფიცირების სტატუსის დადგენა/მიდევნება/მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.

ორსულებში გართულებათა თავიდან აცილება და ჯანმრთელი მომავალი თაობის ფორმირების ხელშეწყობა ახალშობილებში სმენის თანდაყოლილი პათოლოგიების მეორეული დიაგნოსტიკა და დროული მართვის ხელშეწყობა. ალერგიულ დაავადებათა დროული დიაგნოსტიკა ბავშვთა გონებრივი და ფსიქიური განვითარების ადრეული შეფასება, სოციალური სისუსტეების თავიდან აცილების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
შედეგი 1 -პრაქტიკულად ჯანმრთელ მოსახლეობაში პირველადი სკრინინგი დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით	რეგიონის მოსახლეობის საპროგნოზოდ 9.5%-ში (ბენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა 34540)	რაოდენობა	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, ღონისძიების განმახორციელებელი ორგანიზაცია	1 წელი	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	ღონისძიების შესრულების, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის შესაბამისად
შედეგი 2 - პირველადი სკრინინგით იდენტიფიცირებულ რისკ-ჯგუფში დიაგნოსტიკური კვლევების განხორციელება დიაგნოზის დადასტურების მიზნით	სკრინინგის შედეგად იდენტიფიცირებული რისკ-ჯგუფი- პირველად დასკრინულ ბენეფიციართა საპროგნოზოდ 7.4 % (2544 ბენეფიციარი)	რაოდენობა	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, ღონისძიების განმახორციელებელი ორგანიზაცია	1 წელი	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	ღონისძიების შესრულების, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის შესაბამისად

მხარჯავი დაწესებულების პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები

პრიორიტეტის დასახელება

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წელი	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
0605	სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია	6 684 800	6 684 800	7 146 240	7 146 240	7 146 240
0606	მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება	5 011 400	5 011 400	9 108 200	9 108 200	9 108 200
0607	შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით	1 318 200	1 318 200	1 444 300	1 444 300	1 444 300
0612	მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა	4 795 370	4 795 370	4 734 050	4 734 050	4 734 050
0609	ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა	7 740 000	7 740 000	8 240 000	8 240 000	8 240 000
040104	სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა	30 000 000	30 000 000	36 000 000	36 000 000	35 000 000
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		55 549 770	55 549 770	30 672 790	30 672 790	30 672 790

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0605

პროგრამის დასახელება:

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	28 123 520	6 684 800	7 146 240	7 146 240	7 146 240
სულ ბიუჯეტი:	28 123 520	6 684 800	7 146 240	7 146 240	7 146 240

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

18 წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებების განხორციელება.

პროგრამის აღწერა:

ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაცია - ბავშვთა ცერებრალური დამბლის, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, კუნთების სხვადასხვა დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.
მვალ-სახსროვანი სისტემის დეფორმაციის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - მვალ-სახსროვანის სისტემის სხვადასხვა დეფორმაციის მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.
ბავშვთა ადრეული განვითარება - განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.
აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე 2-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაცია	12 805 760	3 209 600	3 198 720	3 198 720	3 198 720
მვალ-სახსროვანი სისტემის დეფორმაციის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	1 689 600	422 400	422 400	422 400	422 400
ბავშვთა ადრეული განვითარება	6 188 160	1 372 800	1 605 120	1 605 120	1 605 120
აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	7 440 000	1 680 000	1 920 000	1 920 000	1 920 000
სულ პროგრამა	28 123 520	6 684 800	7 146 240	7 146 240	7 146 240

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში 2024 წელს სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის კურსები ჩაუტარდა 2 365 ბენეფიციარს.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის კურსები ჩაუტარდება არანაკლებ 2 980 ბენეფიციარს.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

სამიზნე ჯგუფის ბავშვები უზრუნველყოფილი არიან სარეაბილიტაციო მომსახურებით.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი				
სამედიცინო და სოციალურ რეაბილიტაციაზე ბენეფიციართა მოთხოვნის დაკმაყოფილება	მოსახლეობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი	92%	92%	92%	95%	%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
	რეაბილიტაციის კურსის რაოდენობა	25 720	27 600	27 600	27 600	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
სამედიცინო და სოციალურ რეაბილიტაციაზე ბენეფიციართა რაოდენობა	რაოდენობა (არანაკლებ)	2980	3100	3100	3100	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060506

ქვეპროგრამის დასახელება:

ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	3 209 600
სულ ბიუჯეტი:	3 209 600

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამით განსაზღვრული დიაგნოზის მქონე ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება, ბავშვის ინკლუზიური განვითარების მხარდაჭერა, სპეციფიკური რეაბილიტაცია, აბილიტაცია, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება და ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით განსაზღვრული დიაგნოზის მქონე მიზნობრივი ჯგუფებისათვის გათვალისწინებულ ღონისძიებებს შეადგენს:

1) ბავშვთა თერაპიული ინტერვენცია, რომელიც მოიცავს ფიზიკური თერაპიის, ოკუპაციური თერაპიის, მეტყველებისა და ენის თერაპიის, ფსიქოლოგიური დახმარების, ქვევითი თერაპიის სეანსებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – ფიზიოთერაპიის და სპეციალური პედაგოგის მომსახურებას; 2) ექიმის მეთვალყურეობა (სეანსი), რაც მოიცავს შეფასებას, თერაპიული პროცესის დაგეგმვას, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებას, ინტერდისციპლინური გუნდის მუშაობის კოორდინაციას; 3) საჭიროების შემთხვევაში – ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ფსიქოლოგიური დახმარებას (სეანსი). ამასთან, მიმწოდებელს ბენეფიციარის საჭიროებიდან გამომდინარე, უნდა შეეძლოს შესაბამისი სპეციალისტების მიერ თერაპიულ ინტერვენციაში შემავალი ყველა ტიპის თერაპიისა და სეანსის ჩატარება.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნება ბავშვთა ცერებრალური დამბლის, კუნთების პირველადი დაზიანების, ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებითი და სისხლძარღვოვანი დაავადებების ნარჩენი მოვლენების, ეპილეფსიის, სპინური კუნთოვანი ატროფიისა და მასთან დაკავშირებული სინდრომების, კუნთოვანი დისტროფიის, თანდაყოლილი მიოპათიების, კუნთების სხვა (მათ შორის დაუზუსტებელი) დაზიანების, ჰემიპლეგიის, პარაპლეგიის და ტეტრაპლეგიის 3 წლისა და მეტი (18 წლამდე) ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, აგრეთვე, ამ მდგომარეობებისა და ასევე, განვითარების ეტაპების დაყოვნების მქონე 3 წლამდე ასაკის ბავშვები.

პაციენტებს რეაბილიტაციის კურსით გათვალისწინებული მომსახურება ჩაუტარდებათ ინდივიდუალური აბილიტაცია/რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად, რომელიც უნდა მოიცავდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს ბენეფიციარის საჭიროებების გათვალისწინებით (1 კურსი - არანაკლებ 7 დღისა და 16 ღონისძიებისა) და რომლის ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული სრული კურსის ტარიფს. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი მოითხოვს რეაბილიტაციის დაფინანსებას დაწესებულებაში, სადაც მომსახურება მიეწოდება განსხვავებული პირობებით და მისი ღირებულება აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ტარიფს, სამინისტრო უზრუნველყოფს მის დაფინანსებას ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე ქვეპროგრამით გათვალისწინებული ტარიფის შესაბამისად, ხოლო დარჩენილ ნაწილს დაფარავს ბენეფიციარი.

ამ ქვეპროგრამის მოსარგებლე არ შეიძლება იყოს სამიზნე ჯგუფში განსაზღვრული R62.0-ის დიაგნოზის მქონე ბავშვი, რომელიც ჩართულია სამინისტროში მოქმედი "ბავშვთა ადრეული განვითარების" ქვეპროგრამაში.

ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით.

რეაბილიტაციის კურსით გათვალისწინებული მომსახურება ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების ლიმიტის 100%-ით (არაუმეტეს ქვეპროგრამით განსაზღვრული ტარიფისა - ერთი კურსის ღირებულება 272 ლარის ოდენობით) აუნაზღაურდებათ ქვეპროგრამით განსაზღვრული ნოზოლოგიების მქონე ბავშვებს (გამონაკლისი R 62.0 კოდი - განვითარების ეტაპების დაყოვნება).

R 62.0 კოდის შემთხვევაში დაფინანსება, ასევე ლიმიტის 100%-ით, განხორციელდება შემდეგი მოსარგებლეებისათვის:

1. შშმ სტატუსი მქონე ბავშვები;
 2. ბავშვები, რომელთა ოჯახები დარეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად არიან რეგისტრირებულნი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1 წელზე მეტი ვადით; ასევე, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე მოქალაქეები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორია (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შშმ სტატუსის მქონე მშობელთა და ორსულზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	40	2 000	80 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			80 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X

წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
თანხის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა სოციალური დახმარება და მორალური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციართა მატერიალური და მორალური დახმარება	ბენეფიციართა რაოდენობა	40	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060609

ქვეპროგრამის დასახელება:

სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	3 900 000
სულ ბიუჯეტი:	3 900 000

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევას, რაც ხელს შეუწყობს მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მატერიალური დახმარება 200 ლარის ოდენობით ოჯახს ჩაერიცხება საბანკო ანგარიშზე ყოველთვიურად. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ოჯახი, რომლის შემადგენლობაში არის 16 წლამდე ასაკის ერთი წევრი მაინც და სარეიტინგო ქულაა 120 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 150 001 ქულაზე.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში“ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართად განსაზღვრული აქვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორია და 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ასევე, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე მოქალაქეები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორია

(წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ)

ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით მოქალაქეს შეუძლია მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე მუნიციპალიტეტებს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით და წარადგინოს:

1. დაინტერესებული პირის განცხადება;
2. დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობის (ან სხვა დოკუმენტის, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია) ასლი;
3. ბენეფიციარობის დამადასტურებელი საბუთის ქსეროასლი;
4. ბავშვის/ბავშვების დაბადების მოწმობა;
5. დახმარების მიმღები პირის საბანკო რეკვიზიტი;
6. ბენეფიციარის საინფორმაციო ბარათი რეგისტრაციის მისამართისა და რეგისტრაციის თარიღის თაობაზე.

ქვეპროგრამის განხორციელების წესსა და მასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური დახმარება	1625	2 400	3 900 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			3 900 000

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
თანხის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის ბენეფიციართა სოციალური დახმარება და მორალური მხარდაჭერა გაწეულია.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის ბენეფიციართა სოციალური დახმარება და მორალური მხარდაჭერა გაწეულია.	ბენეფიციართა რაოდენობა	1625	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიებიდან გამოთხოვილი მოქალაქეთა სიები

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0607

პროგრამის დასახელება:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	5 651 100	1 318 200	1 444 300	1 444 300	1 444 300
სულ ბიუჯეტი:	5 651 100	1 318 200	1 444 300	1 444 300	1 444 300

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა, მოზრდილთა და ხანდაზმულ პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა:

-შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირებზე სავარძელ- ეტლების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მომსახურება

-სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა - სმენადაქვეითებულ პირებზე სმენის აპარატების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მომსახურება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა - სხვადასხვა დამხმარე/მოვლის საშუალებათა საჭიროების მქონე პირთა, მათ შორის ხანგრძლივად მოავადე, იძულებითი წოლითი რეჟიმის (ნევროლოგიური, ონკოლოგიური და სხვა პროფილის დაავადებები) პაციენტების მოვლისა და რეაბილიტაციის საშუალებებით უზრუნველყოფა.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა	1 449 900	267 900	394 000	394 000	394 000
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა	1 601 200	400 300	400 300	400 300	400 300
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა	2 600 000	650 000	650 000	650 000	650 000
სულ პროგრამა	5 651 100	1 318 200	1 444 300	1 444 300	1 444 300

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში 2024 წელს დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფილი იქნა 1 148 ბენეფიციარი

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფილი იქნება არანაკლებ 833 ბენეფიციარი.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ხანდაზმულთა სოციალური პირობები გაუმჯობესებულია, მათი ცხოვრების ხარისხი ამაღლებულია.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი				
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ხანდაზმულთა სოციალური პირობები გაუმჯობესებულია, მათი ცხოვრების ხარისხი ამაღლებულია.	მოსახლეობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი	95%	95%	95%	95%	%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
	ბენეფიციართა რაოდენობა (არანაკლებ)	833	1169	1169	1169	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060701

ქვეპროგრამის დასახელება:

სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	267 900
სულ ბიუჯეტი:	267 900

ქვეპროგრამის მიზანი:

სამიზნე ჯგუფის ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება და მისი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სხვადასხვა ხარისხის სმენადაქვეითებული/სმენაპროთეზირებული პირები, რომლებიც საჭიროებენ ქვეპროგრამით გათვალისწინებული დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფას:

1. შშმ პირები (მათ შორის ბავშვები);
2. ნებისმიერი ხარისხის სმენადაქვეითებული ბავშვები;
3. ხანდაზმული (ქალები – 60 წლიდან, მამაკაცები – 65 წლიდან) პირები დიაგნოზით: ორმხრივი თანდაყოლილი ან შეძენილი სიყრუე ან სმენაჩლუნგობა II-III ხარისხის.

ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა დაფინანსება განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. მომსახურება დაფინანსდება ვაუჩერში მითითებული თანხით (ქვეპროგრამით გათვალისწინებული ტარიფი) სრულად. იმ შემთხვევაში, თუ ღირებულება აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ თანხას, სხვაობას გადაიხდის ბენეფიციარი. იმ შემთხვევაში, თუ ღირებულება ნაკლებია ქვეპროგრამით გათვალისწინებულზე, ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიური ღირებულების მიხედვით. ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით.

საბიუჯეტო წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში ერთ ბენეფიციარზე გაიცემა არაუმეტეს ერთი სმენის აპარატისა, გარდა 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა, ასევე 18 წლის და მეტი ასაკის მოსწავლე/სტუდენტებისა. შესაბამისი დასკვნის საფუძველზე მათ დაუფინანსდებათ ორი სმენის აპარატი. ამასთანავე, ქვეპროგრამის მომსახურებით მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს ორ წელიწადში ერთხელ.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- ქვეპროგრამის ბენეფიციარობის დამადასტურებელი საბუთი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია; 18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში კი - დაბადების მოწმობის ასლი და მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის/მინდობით აღმზრდელის დამადასტურებელი საბუთი);
- სმენის აპარატის დაფინანსების შემთხვევაში:
 - ა) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს შესაბამისი დიაგნოზი და სმენის აპარატის საჭიროება; მძიმე ხარისხის სმენადაქვეითებული ბენეფიციართათვის გათვალისწინებული სმენის აპარატის შემთხვევაში - სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი - ფორმა N IV-50/2;
 - ბ) აუდიოგრამა;
 - გ) სმენის აპარატის ღირებულების ანგარიშ-ფაქტურა;
- კოხლეარული იმპლანტის პროცესორის დაფინანსების შემთხვევაში:
 - ა) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა NIV- 100/ა ჩატარებული კოხლეარული იმპლანტაციის თაობაზე;
 - ბ) ცნობა პროცესორის არავარგისიანობის თაობაზე;
 - გ) პროცესორის ღირებულების ანგარიშ-ფაქტურა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ვაუჩერის გაცემისას უპირატესობა ენიჭებათ 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მოქალაქეებს.

ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის ბავშვები;
- მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები;
- პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი;
- თავშესაფარის კონტიგენტი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ასევე, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე მოქალაქეები, რომლებსაც დენილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია. ამასთანავე, 18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში, 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის ერთი-ერთი მშობელი მაინც უწყვეტადაა რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ.

გამონაკლის შემთხვევებს, ქვეპროგრამის განხორციელების წესსა და მასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სმენის აპარატის ღირებულების ანაზღაურებისათვის განკუთვნილი ვაუჩერის დაფინანსების ლიმიტი სმენის აპარატის შესაბამისი სახეობების მიხედვით განისაზღვრა შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	პროგრამული კოდი	ერთეულის დაფინანსების ლიმიტი (ლარებით)
ციფრული სმენის აპარატი (ხანდაზმულები და შშმ პირები)	70101	420
ციფრული სმენის აპარატი მძიმე ხარისხის სმენადაქვეითების მქონე ბავშვის/მოსწავლის/სტუდენტისათვის	70102	1 400
პედაგოგიური ციფრული სმენის აპარატი	70103	1 000
კონსულტაციური იმპლანტის პროცესორი	70104	18 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		267 900

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერების გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სმენადაქვეითებულ მოქალაქეები უზრუნველყოფილია ქვეპროგრამით გათვალისწინებული დამხმარე საშუალებებით, მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხი და საზოგადოებაში ინტეგრაცია გაუმჯობესებულია.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სმენადაქვეითებულ მოქალაქეები სმენის აპარატებით უზრუნველყოფილია, მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხი და საზოგადოებაში ინტეგრაცია გაუმჯობესებულია.	ბენეფიციართა ჩართულობის მაჩვენებელი	95%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060702

ქვეპროგრამის დასახელება:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	400 300
სულ ბიუჯეტი:	400 300

ქვეპროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სავარძელ-ეტლებით ეტლებით უზრუნველყოფა, ცხოვრების ხარისხის და სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს გადაადგილების პრობლემების მქონე განსაზღვრული სოციალური კატეგორიის პირები, ხოლო ელექტრო სავარძელ-ეტლის საჭიროების შემთხვევაში- შშმ პირები, მათ შორის, 6-დან 18 წლამდე შშმ ბავშვები. ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით.

ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. მომსახურება დაფინანსდება ვაუჩერში მითითებული თანხით სრულად, მაგრამ არაუმეტეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული ტარიფისა. იმ შემთხვევაში, თუ სავარძელ-ეტლის ღირებულება აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ თანხას, სხვაობას გადაიხდის ბენეფიციარი. იმ შემთხვევაში, თუ ღირებულება ნაკლებია ქვეპროგრამით გათვალისწინებულზე, ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიური ღირებულების მიხედვით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ასევე, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე მოქალაქეები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორია. ამასთანავე, 18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში კი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის ერთი-ერთი მშობელი მანაც უწყვეტადაა რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ.

ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის ბავშვები;
- მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები;
- პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი;
- თავშესაფარის კონტიგენტი;

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებისას უპირატესობა ენიჭებათ 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, ხოლო პედიატრიული და ელექტრო სავარძელ-ეტლის შემთხვევაში სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი - ფორმა N IV-50/2, სადაც მითითებული იქნება კომპონენტით გათვალისწინებული სავარძელ-ეტლის საჭიროება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია; 18 წლამდე ასაკის შემთხვევაში ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია და მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის/მინდობით აღმზრდელის დამადასტურებელი საბუთი);
- სავარძელ-ეტლის/ელექტრო სავარძელ-ეტლის ღირებულების წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა;
- ქვეპროგრამის ბენეფიციარობის დამადასტურებელი საბუთი.

ამასთანავე, პროგრამული კოდით 70201 ელექტრო სავარძელ-ეტლის მოთხოვნისას 6-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვის შემთხვევაში წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს:

- ელექტრო სავარძელ-ეტლით დამოუკიდებლად სარგებლობის უნარების შეფასების შედეგები;
- სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, დადასტურებული დოკუმენტი ელექტრო სავარძელ-ეტლის დამოუკიდებლად სარგებლობის შესაძლებლობისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება წარდგენილი დადასტურებული აღნიშნული დოკუმენტი შეფასებისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის შესახებ – 6-იდან 14 წლამდე ასაკის შშმ ბავშვს გადაეცემა მექანიკური სავარძელ-ეტლი.

გამონაკლის შემთხვევებს, ქვეპროგრამის განხორციელების წესსა და მასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სავარძელ-ეტლების ღირებულების ანაზღაურებისათვის განკუთვნილი ვაუჩერის დაფინანსების ლიმიტი შესაბამისი სახეობების მიხედვით განისაზღვრა შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

დასახელება	პროგრამული კოდი	ერთეულის დაფინანსების ლიმიტი (ლარებით)
ელექტრო სავარძელ-ეტლი	70201	4 316
ოთახის სავარძელ-ეტლი	70202	450
მექანიკური სავარძელ-ეტლი	70203	760
საშუალო და მაღალი მორგების პედიატრიული სავარძელ-ეტლი	70204	2 650
საერთო ბიუჯეტი		400 300

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიწოდების დაწყებულების შერჩევა	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერების გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციარები სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფილია, მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხი და საზოგადოებაში ინტეგრაცია გაუმჯობესებულია.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციარები სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფილია, მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხი და საზოგადოებაში ინტეგრაცია გაუმჯობესებულია	ბენეფიციართა ჩართულობის მაჩვენებელი	95%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060704

ქვეპროგრამის დასახელება:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	650 000
სულ ბიუჯეტი:	650 000

ქვეპროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, სოციალური და მორალური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნება სხვადასხვა დამხმარე/მოვლის საშუალებათა საჭიროების მქონე პირები. ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. მიწოდებული საქონლის(მომსახურების) ღირებულება დაფინანსდება სრულად ფაქტობრივი ღირებულების შესაბამისად ვაუჩერში მითითებული თანხით, მაგრამ არა უმეტეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული ლიმიტისა. იმ შემთხვევაში, თუ დამხმარე საშუალების ღირებულება აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ თანხას, სხვაობას გადაიხდის ბენეფიციარი. იმ შემთხვევაში, თუ ღირებულება ნაკლებია ქვეპროგრამით გათვალისწინებულზე, ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიური ღირებულების მიხედვით. ამასთანავე, ერთ ბენეფიციარს სამინისტროს მიერ აუნაზღაურდება არაუმეტეს ორი დამხმარე საშუალების ღირებულება, ხოლო ერთი და იგივე სახეობის დამხმარე/მოვლის საშუალება გაიცემა ერთჯერადად არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. გამონაკლისი შემთხვევა განიხილება, ინდივიდუალურად სამინისტროს სოციალური დეპარტამენტის მიერ, დამხმარე საშუალების ბენეფიციარის მდგომარეობასთან შესაბამისობის გათვალისწინებით.

ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის ბავშვები;
- მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები;
- პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი;
- თავშესაფარის კონტიგენტი;

!!! 70309 (დიდი მაკი) და 70310 (ჭილეტი) კოდების შემთხვევაში ბენეფიციარებს წარმოადგენენ ის შშმ პირები (მათ შორის ბავშვები), რომელთა ოჯახები რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით.

ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებისას უპირატესობა ენიჭებათ 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მოქალაქეებს.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული დამხმარე საშუალებათა საჭიროება; !!!დიდი მაკისა და ჟილეტის შემთხვევაში - ფორმა №IV-100/ა ოკუპაციური თერაპევტის/მეტყველების თერაპევტის/ნეიროფსიქოლოგის შესაბამისი შეფასებისა და რეკომენდაციის საფუძველზე.
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია; 18 წლამდე ასაკის შემთხვევაში ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია; ამასთანავე მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი);
- დამხმარე/მოვლის საშუალების წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა;
- ქვეპროგრამის მოსარგებლის დამადასტურებელი საბუთი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ასევე, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე მოქალაქეები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია. ამასთანავე, 18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში კი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის ერთი-ერთი მშობელი მაინც უწყვეტადაა რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ.

გამონაკლის შემთხვევებს, ქვეპროგრამის განხორციელების წესსა და მასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ დამხმარე საშუალებათა ღირებულების ანაზღაურებისათვის განკუთვნილი ვაუჩერის დაფინანსების ლიმიტი დამხმარე საშუალებათა შესაბამისი სახეობების მიხედვით განისაზღვრა შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

N	პროგრამული კოდი	დასახელება	ერთეულის დაფინანსების ლიმიტი (ლარებით)
1	70301	ხმის წარმომქმნელი აპარატი (ლარინგექტომიის შემდგომარეობა)	3 000
2	70302	შშმ პირთათვის განკუთვნილი ამწე	2 300
3	70303	ნაწოლების საწინააღმდეგო ბალიში	200
4	70304	ნაწოლების საწინააღმდეგო ლეიბი	200
5	70305	ნახველის ამოსაღები აპარატი	350
7	70307	ფუნქციური საწოლი	1 200
8	70308	ღამის აპნოეს აპარატი	3 000
9	70309	დიდი მაკი (1მესიჯი)	500
10	70310	ჟილეტი	942
11	70311	ტერფის ორთები კოჭ-წვივის სახსრის ჩართვით	182
12	70312	ტერფის ორთები კოჭ-წვივის სახსრის ჩართვით, მოძრავი კოჭ-წვივის სახსრით	350
13	70313	ორთები მუხლისა და კოჭ-წვივის სახსრის ჩართვით	1 092
14	70314	მუხლის ორთები	910
15	70315	ორთები მენჯ-ბარძაყის, მუხლისა და კოჭ-წვივის სახსრების ჩართვით	1 287
16	70316	ორთები იდაყვის ქვედა	130
17	70317	ორთები იდაყვის სახსრის ჩართვით	234
18	70318	ორთები კისრის დონეზე	195

19	70319	ორთეზი გულ-მკერდ-წელის დონეზე	910
20	70320	ორთეზი წელის დონეზე	747
საერთო ბიუჯეტი			650 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერების გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმული პირები დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფილია, ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესებულია, ბენეფიციართა და მათი ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერა გაწეულია.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმული პირები დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფილია, ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესებულია, ბენეფიციართა და მათი ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერა გაწეულია	ბენეფიციართა ჩართულობის მაჩვენებელი	95%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0612

პროგრამის დასახელება:

მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	18 997 520	4 795 370	4 734 050	4 734 050	4 734 050
სულ ბიუჯეტი:	18 997 520	4 795 370	4 734 050	4 734 050	4 734 050

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა.
--

პროგრამის აღწერა:

<p>დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა - სხვადასხვა პრობლემების მქონე (მარტოხელა, მიუსაფარი, ძალადობაგანცდილი) დედათა და ბავშვთა თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება.</p> <p>ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა- ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, მათი და ოჯახის წევრების ფსიქოლოგიური დახმარება.</p> <p>ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა - ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა უზრუნველყოფა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსებით დაკომპლექტებული საცხოვრისით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით, მათი ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, სოციალური მხარდაჭერა და თემში ინტეგრაციის ხელშეწყობა;</p>

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა	1 944 720	532 170	470 850	470 850	470 850
ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა	5 840 000	1 460 000	1 460 000	1 460 000	1 460 000
ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა	11 212 800	2 803 200	2 803 200	2 803 200	2 803 200
სულ პროგრამა	18 997 520	4 795 370	4 734 050	4 734 050	4 734 050

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში 2024 წელს თავშესაფრით უზრუნველყოფილი იქნა 191 ბენეფიციარი.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

თავშესაფრით უზრუნველყოფილი იქნება არანაკლებ 191 ბენეფიციარი.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა საცხოვრებელი/ყოფითი პირობები გაუმჯობესებულია, სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარება გაწეულია, ბენეფიციარის/ოჯახის მხარდაჭერა უზრუნველყოფილია.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2025 წელი	2026 წელი	2027 წელი				
ბენეფიციართა საცხოვრებელი/ყოფითი პირობები გაუმჯობესებულია, სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარება გაწეულია, ბენეფიციარის/ოჯახის მხარდაჭერა უზრუნველყოფილია	დაკმაყოფილებულ ბენეფიციართა რაოდენობა	191	191	191	191	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	061203
----------------------------------	--------

ქვეპროგრამის დასახელება:

დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	532 170
სულ ბიუჯეტი:	532 170

ქვეპროგრამის მიზანი:
ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენცია, დედათა და ბავშვთა უსაფრთხოება, ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერება, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:
ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა პრობლემების მქონე (მარტოხელა, ძალადობაგანცდილი, მიუსაფარი) დედებისა და ბავშვების დროებითი 24-საათიანი თავშესაფრით უზრუნველყოფა, ბენეფიციარების სადღეღამისო მომსახურება სამჯერადი კვებით, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტო სადილი (მათ შორის ბავშვის კვების პროდუქტებით მომარაგება), ბენეფიციართა უზრუნველყოფა ასაკის, სქესის, სეზონის შესაბამისი ტანსაცმლისა და პირადი ჰიგიენის ნივთებით, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, დასაქმებაში დახმარება, საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების ორგანიზება, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება, რისთვისაც დღიური დაფინანსების ოდენობა შეადგენს 32 ლარს, ხოლო შშმ ბავშვისა და შშმ დედის შემთხვევაში - 38 ლარს.
ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფია:
1. სხვადასხვა პრობლემების თანადგომის ქსელის არმქონე დედები არასრულწლოვან შვილებთან ერთად, თუკი ერთი შვილი მაინც არის 10 წლის ჩათვლით;
2. ორსული თანადგომის ქსელის არმქონე ქალები (26 კვირის და მეტი ვადის ორსულობა).
მომსახურების მიღება განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. ვაუჩერის მოქმედების ვადა განისაზღვრა ვაუჩერის გაცემის დღიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, თუ ვაუჩერში სხვა ვადა არ არის მითითებული.
ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:
- განცხადება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- საინფორმაციო ბარათი რეგისტრაციის ადგილისა და თარიღის თაობაზე;
- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- შშმ სტატუსის დამადასტურებელი საბუთის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში);
- სოციალური მუშაკის და/ან ზრუნვის საბჭოს დასკვნა (პირველადი ჩართვისათვის).
ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ასევე, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე მოქალაქეები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორია (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ) და არ არიან ჩართული ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში.
გამონაკლის შემთხვევებს, ქვეპროგრამის განხორციელების წესსა და მასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
დედა/ბავშვი	42	11 680	490 560

შშმ ბავშვი/დედა	3	13 870	41 610
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	45		532 170

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიწოდებელი დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჭერების გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სხვადასხვა პრობლემების მქონე დედათა და ბავშვთა უსაფრთხოება დაცულია, საცხოვრებელი/ყოფითი პირობები გაუმჯობესებულია, ბიოლოგიური ოჯახი გამოიყენებულია.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სხვადასხვა პრობლემების მქონე დედათა და ბავშვთა უსაფრთხოება დაცულია, საცხოვრებელი/ყოფითი პირობები გაუმჯობესებულია, ბიოლოგიური ოჯახი გაძლიერებულია.	ბენეფიციარების რაოდენობა	45	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 061202

ქვეპროგრამის დასახელება:

ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1 460 000
სულ ბიუჯეტი:	1 460 000

ქვეპროგრამის მიზანი:

ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა, პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა.
--

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან ხანდაზმული (ქალები - 60 წლიდან, მამაკაცები - 65 წლიდან) ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები, რომელთა მართვა სახლის პირობებში შეუძლებელია და ამავე დროს ვერ აკმაყოფილებენ სტაციონარული მომსახურების პირობებს. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დროებითი 24-საათიანი თავშესაფრით უზრუნველყოფა, სადღეღამისო მომსახურება სამჯერადი კვებით, ბენეფიციარების უზრუნველყოფა პირადი ჰიგიენის ნივთებით, პაციენტის ფსიქიატრიული მდგომარეობის შეფასება, ფსიქოტროპული მედიკამენტებით მკურნალობა, ასევე საბაზისო ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში თანმხლები/გამოვლენილი სომატური დაავადებების ადგილზე მკურნალობის უზრუნველყოფა. პაციენტებს რეაბილიტაცია ჩატარდება მულტიდისციპლინარული მეთოდით ინდივიდუალური მართვის გეგმის შესაბამისად, სხვა სომატური გართულების შემთხვევაში გათვალისწინებულია სამედიცინო მომსახურების ორგანიზება. ზემოაღნიშნული ღონისძიებების დღიური დაფინანსების ოდენობა შეადგენს **80** ლარს. ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. ვაუჩერის მოქმედების ვადა განისაზღვრა ვაუჩერის გაცემის დღიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, თუ ვაუჩერში სხვა ვადა არ არის მითითებული. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების ერთდროულად მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა არ აღემატება 50 პირს.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა სპეციალიზებული დაწესებულების მიერ დადასტურებული დიაგნოზით;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- საინფორმაციო ბარათი რეგისტრაციის ადგილისა და თარიღის თაობაზე;
- დასკვნა ბენეფიციარის ქვეპროგრამაში ჩართვის საჭიროების შესახებ გაცემული შესაბამისი სპეციალისტების მიერ (არა ნაკლებ 3 სპეციალისტი, მათ შორის სოციალური მუშაკი).

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ასევე, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე მოქალაქეები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორია. (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

გამონაკლის შემთხვევებს, ქვეპროგრამის განხორციელების წესსა და მასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

პროგრამით დასაფინანსებელი ნოზოლოგიური ჯგუფები
 F00-F009 ორგანული ბუნების აშლილობანი, სიმპტომატურ აშლილობათა ჩათვლით
 F00* - დემენცია ალცჰაიმერის დაავადების დროს (G30-).
 F01* - სისხლძარღვოვანი (ვასკულარული) დემენცია.
 F02* - დემენცია სხვა თავში მოყვანილი დაავადებების დროს.
 F03 - დაუზუსტებელი დემენცია.
 F04 - ორგანული ამნეზიური სინდრომი, რომელიც არ არის გამოწვეული ალკოჰოლით ან სხვა ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღებით.
 F05 - დელირიუმი, რომელიც არ არის განპირობებული ალკოჰოლით ან სხვა ნივთიერებებით.
 F06 - ტვინის დაზიანებით და დისფუნქციით, აგრეთვე სხვა ფიზიკური დაავადებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობანი.
 F07 - ტვინის დაზიანებით და დისფუნქციით, აგრეთვე ფიზიკური დაავადებით გამოწვეული პიროვნული და ბიპევიორული აშლილობანი.
 F09 - დაუზუსტებელი ორგანული და სიმპტომატური აშლილობანი.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა	50	29 200	1 460 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1 460 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერების გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ხანდაზმული ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების/მომვლელის სოციალური და მორალური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ხანდაზმული ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების/მომვლელის სოციალური და მორალური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია.	ბენეფიციარების რაოდენობა	50	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	061204
----------------------------------	--------

ქვეპროგრამის დასახელება: ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:	
დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2 803 200
სულ ბიუჯეტი:	2 803 200

ქვეპროგრამის მიზანი: ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა სოციალური მხარდაჭერა და თემში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს 18 წლისა და მეტი ასაკის პირი, რომელსაც ფსიქიკური აშლილობის გამო დადგენილი აქვს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, არ აღენიშნება სოციალური და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დეფიციტი და არ აქვს შესაბამისი მხარდაჭერი გარემო;

შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსებით დაკომპლექტებული არაუმეტეს 24 ბენეფიციარზე გათვლილი საცხოვრისი მომსახურებას განახორციელებს 24 საათის განმავლობაში: სამჯერადი კვება, ბენეფიციარების უზრუნველყოფა პირადი ჰიგიენის ნივთებით, ბენეფიციარის საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად აღჭურვილი ფიზიკური გარემო, სხვადასხვა აქტივობების და გასართობი თუ სხვა ღონისძიებების მიწოდება. პაციენტებს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია ჩაუტარდებათ მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ შედგენილი ინდივიდუალური ზრუნვის გეგმის შესაბამისად. ინდივიდუალური გეგმის გადახედვა/ხელახალი შეფასება განხორციელდება პერიოდულად (არაუგვიანეს 6 თვისა); საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურების გაწევის ორგანიზებას; ზემოაღნიშნული მომსახურების დღიური დაფინანსების ოდენობა შეადგენს **80** ლარს.

ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. ვაუჩერის მოქმედების ვადა განისაზღვრა ვაუჩერის გაცემის დღიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, თუ ვაუჩერში სხვა ვადა არ არის მითითებული.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- ფსიქიატრიული დაწესებულების დასკვნა ბენეფიციარის საცხოვრისში ჩართვის რეკომენდაციით.
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- საინფორმაციო ბარათი რეგისტრაციის ადგილისა და თარიღის თაობაზე;
- შშმ სტატუსის დამადასტურებელი საბუთი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ასევე, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე მოქალაქეები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია. (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში, პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

გამონაკლის შემთხვევებს, ქვეპროგრამის განხორციელების წესსა და მასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა	96	29 200	2 803 200

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერების გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

<p>საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის საჭირო დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების შენარჩუნება/განვითარება და ბენეფიციართა/მათი ოჯახის წევრების/მომვლელის სოციალური და მორალური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია.</p>

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის საჭირო დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების შენარჩუნება/განვითარება და ბენეფიციართა/მათი ოჯახის წევრების/მომვლელის სოციალური და მორალური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია</p>	<p>ბენეფიციარების რაოდენობა</p>	<p>96</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი</p>	<p>წელიწადში ერთხელ</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი</p>

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0609

პროგრამის დასახელება:

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	32 460 000	7 740 000	8 240 000	8 240 000	8 240 000
სულ ბიუჯეტი:	32 460 000	7 740 000	8 240 000	8 240 000	8 240 000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025–2028 წლები

პროგრამის მიზანი:

ეკომიგრანტი ოჯახების უსაფრთხო საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა:

სახელმწიფოს მიერ ყოველწლიურად ხორციელდება ასობით ეკომიგრანტი ოჯახის უსაფრთხო გარემოში გადაყვანა და მათი საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება. თუმცა, სტიქიური მოვლენების ზრდისა და უკონტროლო განვითარების ფონზე, შეუძლებელია ზარალის წინასწარი პროგნოზირება. აღნიშნული პროცესების შედეგად, „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებულ (ეკომიგრანტების) ოჯახების ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში“ სისტემატურად ხდება ახლად დაზარალებულთა განაცხადების შევსება. მიმდინარე ეტაპზე 800 - მდე განაცხადია განსახილველი და პროცესი უწყვეტ რეჟიმში გრძელდება. შესაბამისად, ამ მიმართულებით შეუძლებელია გვეჩვენოს მყარი სტატისტიკა. სფეროში არსებული სირთულეების მიუხედავად, სახელმწიფო მის ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში, სხვადასხვა ღონისძიებებითა და პროექტებით, უზრუნველყოფს სტიქიით დაზარალებული ოჯახების უსაფრთხო საცხოვრისით დაკმაყოფილებას. წარმოდგენილი პროგრამის მიზანი არის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში სტიქიით დაზარალებული და ადგილმონაცვლეობას დაქვემდებარებული ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა საცხოვრებელი ფართის შესყიდვის ან ბენეფიციარის საკუთრებაში არსებულ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მიწის ნაკვეთზე შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის/მშენებლობის დასრულების მიზნით. პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ ეკომიგრანტები, რომლებსაც შუამდგომლობს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულები, როგორც მათ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს. ბენეფიციართა შერჩევას უზრუნველყოფს უფლებამოსილი კომისია (შემდგომში - კომისია). კომისიის შემადგენლობა, უფლებამოსილება, ბენეფიციართა შერჩევის წესი და კრიტერიუმები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამართლებრივი აქტით (შემდგომში - განკარგულება).

პროგრამაში ჩაერთვებიან პრიორიტეტულობის ქულა მიიჩქებული ბენეფიციარები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტების) ოჯახების ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ან აღნიშნულზე ინფორმაცია მატერიალური სახით მოწოდებული იქნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. პროგრამის ბენეფიციარი 2010 წლის 1 იანვრიდან, შუამდგომლობის აღძვრამდე, უწყვეტად უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (აღნიშნული რეგულაცია არ ვრცელდება ქორწინების შედეგად ოჯახში შემატეხულ წევრებზე, არასრულწლოვნებზე, სტუდენტებზე და პირებზე რომლებიც 2010 წლისათვის იყვნენ არასრულწლოვნები); პროგრამის ფარგლებში არ განიხილება ბენეფიციარი, რომელსაც გააჩნია საკმარისი ალტერნატიული ფართი (ალტერნატიულ ფართად არ ჩაითვლება უძრავი ქონება (სახლი ან ბინა), რომელიც განხილვის ეტაპზე არ არის დასრულებული და საცხოვრისად უყარგისია, რაზედაც ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო კომპანიის ან/და შუამდგომლობის აღმძვრელი ადმინისტრაციული ორგანოს ან სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტის მონიტორინგის აქტით), ან/და ოჯახი ვერ აკმაყოფილებს განკარგულებით გათვალისწინებულ სხვა კრიტერიუმებს.

პროგრამაში ჩართვის საფუძველია თვითმმართველი ერთეულის მიერ აღძრული შუამდგომლობა მოქალაქის განაცხადის საფუძველზე. კომისიის მიერ შუამდგომლობის განხილვისა და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დაზარალებულს ეგზავნება შეთავაზება მოიძიოს და სამინისტროში წარმოადგინოს შესასყიდად სასურველი საცხოვრებელი ფართის მონაცემები ან ბენეფიციარის საკუთრებაში არსებულ უფლებრივად უნაკლო მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის/მშენებლობის დასრულების მიზნით, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ნებართვა. იმ შემთხვევაში, თუ შეთავაზების მიღების შემდგომ, ბენეფიციარი წარმოადგენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ გაცემულ ნებართვას, მის საკუთრებაში არსებულ უფლებრივად უნაკლო მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის/მშენებლობის დასრულების მიზნით, სამინისტრო, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, დაზარალებულს ოჯახს გაუწევს ფინანსურ მხარდაჭერას 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით, განკარგულებით გათვალისწინებული რეგულაციების ფარგლებში. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი წარმოადგენს შესასყიდად სასურველ საცხოვრებელი ფართის მონაცემებს, სამინისტროს დაკვეთით უძრავ ქონებას (საცხოვრებელი ფართი (არსებობის შემთხვევაში დამხმარე შენობა/ნაგებობი), საკარმიდამო და მიმდებარე მიწის ნაკვეთი) ჩაუტარდება ექსპერტიზა მისი საბაზრო ღირებულების დადგენისა და შენობა ნაგებობის ტექნიკური მდომარეობის შეფასების მიზნით. ექსპერტიზის ხარჯებს ფარავს სამინისტრო. ექსპერტიზის ღირებულება განისაზღვრება მომსახურების მიწოდებულ მხარესა და სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და მომსახურების ტარიფების შესაბამისად. ბენეფიციარი უფლებამოსილია შესაფასებლად წარმოადგინოს ექსპლუატაციაში არ შესულ კორპუსში მდებარე საცხოვრებლად ვარგისი ბინაც, რომლის მონაცემების განცხადებისა და ექსპერტიზის დადებითად შეფასების შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება უძრავი ქონების შესყიდვის მიზნით. ოჯახს, რომელმაც მისთვის განკუთვნილ ვადაში ვერ ისარგებლა შეთავაზებით, ფართის შესყიდვის მოთხოვნით შეუძლია მიმართოს კომისიას იმ ეტაპზე როცა შეძლებს საცხოვრისის შერჩევას. ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან დაზარალებულს ოჯახს აღძრინდელ ეტაპზე მიღებული ჰქონდა შეთავაზება, კომისია წარმოადგენილი ფართის ექსპერტიზაზე გადაგზავნის მიზნით იმსჯელებს ურიგად.

კომისია, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შესყიდვის/ბენეფიციარის საკუთრებაში არსებულ უფლებრივად უნაკლო მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის/მშენებლობის დასრულების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სამინისტროსათვის ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ნასყიდობის ღირებულების მაქსიმალურ ოდენობას ერთ საცხოვრებელ ფართზე/ერთ მშენებლობაზე განსაზღვრავს საექსპერტო დასკვნით განსაზღვრული საბაზრო ღირებულების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს პროგრამით გათვალისწინებული 50 000 (ორმოცდა ათასი) ლარისა. იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი ფართის გასაყიდი ან მშენებლობის ღირებულება აღემატება პროგრამით განსაზღვრულ თანხას, ბენეფიციარი თავად ფარავს დარჩენილი სხვაობას.

საექსპერტო დასკვნების მიღების შემდგომ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თანახმად და კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული პირობადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საცხოვრებელი ფართი რეგისტრირდება დაზარალებული ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანასაკუთრებად. პირობადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისი მუხლის თანახმად, მყიდველი, უძრავი ქონების შესყიდვიდან 3 წლის განმავლობაში შეზღუდულია გაასხვისოს ან/და ამავე მიზნით დაყოს ცალკეულ საკადასტრო ერთეულზე საცხოვრებელი სახლი, მყიდველი უფლებამოსილია თანამესაკუთრეს საკუთრებაში გადასცეს თავისი წილი. ქონების გასხვისების საშუალოდ შეზღუდვა შეიძლება მოხსნას სამინისტრომ, კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ კომისია იმსჯელებს და მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენებს ბენეფიციარს. კომისიის გადაწყვეტილებით, სახლის მშენებლობისათვის/მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად გამოიყენა მინისტრის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზე სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი აფორმებს უძრავი ქონების განკარგვის შეზღუდვის მიზნით ხელშეკრულებას მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან/მესაკუთრებთან, რომლითაც ბენეფიციარი შეზღუდულია სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე გაასხვისოს ან/და ამავე მიზნით დაყოს ცალკეულ საკადასტრო ერთეულზე (უძრავი ქონება) მიწის ნაკვეთი, რომელზეც გაცემულია მშენებლობის ნებართვა. შეზღუდვა მოიხსნება მას შემდგომ, რაც ბენეფიციარი წარმოადგენს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების/აკრედიტაციის მქონე პირის მიერ გაცემულ დასკვნას, რომ საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე/მშენებლობის დასრულებაზე დაიხარჯა პროგრამით გათვალისწინებული თანხა სრულად. საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის/მშენებლობის დასრულებისთვის გამოყოფილი ფინანსური მხარდაჭერის მიზნობრივად გამოყენებამდე, უძრავი ქონების გასხვისების შეზღუდვის მოხსნაზე კომისიას შეუძლია იმსჯელებს თუ აღნიშნულისათვის არსებობს არაუმენტირებული საფუძველი რაც უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენებს ბენეფიციარს. პროგრამის ფარგლებში სამინისტრო უზრუნველყოფს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული სარეგისტრაციო მომსახურებისათვის განსაზღვრულ შემდეგი საფასურის გადახდას: ა) უძრავ ნივთზე უფლების რეგისტრაცია - 4 სამუშაო დღის ვადაში; ბ) უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების რეგისტრაცია - 4 სამუშაო დღის ვადაში გ) სარეგისტრაციოდ წარდგენილ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დადასტურება - დაუყოვნებლივ. სამინისტრო არ გადაიხდის დაჩქარებული მომსახურების რეგისტრაციისათვის და სარეგისტრაციოდ დამატებით წარდგენილ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დადასტურებისათვის განსაზღვრულ საფასურს.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ეკომიგრანტი ოჯახების განსახლება	31 500 000	7 500 000	8 000 000	8 000 000	8 000 000
შესასყიდი სახლების ექსპერტიზა	780 000	195 000	195 000	#	195 000
სარეგისტრაციო მომსახურების საფასური	180 000	45 000	45 000	45 000	45 000
სულ პროგრამა	32 460 000	7 740 000	8 240 000	8 240 000	8 240 000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2024 წლის მდგომარეობით 140-მდე ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხო საცხოვრებლით.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

150 ეკომიგრანტი ოჯახი იქნება საცხოვრებლით უზრუნველყოფილი

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ეკომიგრანტები უზრუნველყოფილი არიან უსაფრთხო საცხოვრებლით.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
		2025 წელი	2026 წელი	2027 წელი					2028 წელი
ეკომიგრანტები უზრუნველყოფილი არიან უსაფრთხო საცხოვრებელით.	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	150	160	160	160	ბენეფიციართა რაოდენობა	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

040104

პროგრამის დასახელება:

სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	137 000 000	30 000 000	36 000 000	36 000 000	35 000 000
სულ ბიუჯეტი:	137 000 000	30 000 000	36 000 000	36 000 000	35 000 000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

პროგრამის აღწერა:

ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში ე.წ „ოცნების ქალაქი“-ს ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა	137 000 000	30 000 000	36 000 000	36 000 000	35 000 000
სულ პროგრამა	137 000 000	30 000 000	36 000 000	36 000 000	35 000 000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დასრულებულია ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში ე.წ „ოცნების ქალაქი“-ს ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პირველი ეტაპის მშენებლობა (582 ბინა); დაწყებულია ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში ე.წ „ოცნების ქალაქი“-ს ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მეორე ეტაპის მშენებლობის სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები (1 077 ბინა)

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დაწყებულია ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში ე.წ „ოცნების ქალაქი“-ს ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მეორე ეტაპის მშენებლობა;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გაუმჯობესებულია სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობები

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი				
გაუმჯობესებულია სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობები				1077	ოჯახი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 06 თებერვლის N27 განკარგულებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი	სივრცითი მოწივობისა და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტი	მიღება-ჩაბარების აქტი

მხარჯავი დაწესებულების პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები

პრიორიტეტის დასახელება

დასაქმების ხელშეწყობა

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წელი	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
0610	დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა	1 965 888	1 965 888	1 892 988	1 892 988	1 892 988
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		1 965 888	1 965 888	1 892 988	1 892 988	1 892 988

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0610

პროგრამის დასახელება:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	7 644 852	1 965 888	1 892 988	1 892 988	1 892 988
სულ ბიუჯეტი:	7 644 852	1 965 888	1 892 988	1 892 988	1 892 988

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

დასაქმების ხელშეწყობის მართვის ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია სამუშაო ძალის მდგრადი გაუმჯობესება, მათი შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარება შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული და არაფორმალური სწავლების უზრუნველყოფით, შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობისათვის. სააგენტოს პოპულარიზაციის ხარისხის ამაღლება, რათა სააგენტოს ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მომსახურების ინფორმირებულობის ხარისხი გაიზარდოს და აჭარის მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების უმრავლესობა მოიცვას.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა მოიცავს:

- 1) სააგენტოს საქმიანობისა და სერვისების შესახებ ინფორმირებულობას სხვადასხვა აქტივობებისა და მეთოდების გამოყენებით და პერსონალური თანამშრომლობის გზით დამსაქმებლებთან და სამუშაოს მაძიებლებთან კომუნიკაციის გააქტიურებას ; 2) საზოგადოების
- სხვადასხვა ჯგუფების შრომის ბაზარზე კონკურეტუნარიანობის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა/ამაღლება გზით
- 3) საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების შრომის ბაზარზე კონკურეტუნარიანობის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა/ამაღლება გზით
- 4) შშმ პირების პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა/ამაღლება მათთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო მოდულის შეთავაზებით;
- 5) სტუდენტების შრომითი უნარების განვითარება სამუშაო გამოცდილების მიღების გზით, მათი შრომის ბაზარზე დამკვიდრებისა და თვითრეალიზების გაზრდილი შესაძლებლობებისათვის;
- 6) ორგანიზაციებში დასაქმებულთა პროფესიული უნარების ზრდა და კვალიფიკაციის ამაღლება მათი სამუშაოზე მდგრადობის უზრუნველსაყოფად;
- 7) ინფორმაციულ ტექნოლოგიურ სფეროში დასაქმება-თვითდასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარება.
- 8) საზღვაო შრომის ბაზარზე ქართული სამუშაო ძალისათვის დასაქმების შესაძლებლობების შექმნა პროფესიული და საზღვაო უსაფრთხოებაში მომზადების გზით;
- 9) დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა სამუშაო იარაღებით უზრუნველყოფის გზით;
- 10) დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა პროფესიის დამხმარე უნარების განვითარების გზით

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
დასაქმების ხელშეწყობის მართვა	3 460 512	884 928	858 528	858 528	858 528
სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაცია	627 840	159 960	155 960	155 960	155 960
დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული მომზადება/გადამზადების გზით	1 362 000	340 500	340 500	340 500	340 500
შპმ პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა	142 000	37 000	35 000	35 000	35 000
სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა	152 000	38 000	38 000	38 000	38 000
კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით	168 000	42 000	42 000	42 000	42 000
საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობა	670 500	198 000	157 500	157 500	157 500
დასაქმების ხელშეწყობა ციფრული უნარების განვითარების გზით	152 000	38 000	38 000	38 000	38 000
დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა	400 000	100 000	100 000	100 000	100 000
საკვანძო კომპეტენციების განვითარება	510 000	127 500	127 500	127 500	127 500
სულ პროგრამა	7 644 852	1 965 888	1 892 988	1 892 988	1 892 988

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

სააგენტოს საქმიანობისა და შეთავაზებული სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, პოტენციურ დამსაქმებელთან კომუნიკაციის გააქტიურება, ვაკანსიების მოძიება.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

სააგენტოს სერვისებით მოსარგებლეთათვის ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მომსახურების უზრუნველყოფა

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

სააგენტოს სერვისებით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა; დასაქმების გაზრდილი შესაძლებლობები

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი					
სააგენტოს სერვისით მოსარგებლეთა და დასაქმების მაჩვენებლის ზრდადობა	სააგენტოს სერვისით მოსარგებლე	17500	18500	19500	20500	რაოდენობა	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემა	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი
	საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვა	არაუმეტეს 531	არაუმეტეს 531	არაუმეტეს 531	არაუმეტეს 531	რაოდენობა	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მომწოდებელი ორგანიზაცია	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი
	დასაქმება	1000	1100	1200	1300	რაოდენობა	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემა	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 061002

ქვეპროგრამის დასახელება:

საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	198 000
სულ ბიუჯეტი:	198 000

ქვეპროგრამის მიზანი:

საზღვაო შრომის ბაზარზე ქართული სამუშაო ძალისათვის დასაქმების შესაძლებლობების შექმნა

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეყანაში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ტენდენციის მიუხედავად, ბაზარზე ნაკლებად გენერირდება მაღალანაზრაურებადი სამუშაო ადგილები, რაც ხელს უწყობს სიდარბის ზრდასა და არალეგალურ შრომით მიგრაციას. იმ ფონზე როცა რეგიონში გაზრდილია ინტერესი სტუმართმასპინძლობის სექტორის მიმართ და განსაკუთრებით ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი კვლავ გამოწვევად რჩება, მნიშვნელოვანია, როგორც საზღვაო ქვეყანამ გამოიყენოს მსოფლიო საზღვაო შრომის ბაზარზე მაღალანაზრაურებად სამუშაო ადგილებზე ქართული სამუშაო ძალით დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს, ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის სფეროში სამუშაო გამოცდილებისა და განათლების მქონე პირთა გადამზადებას საზღვაო ტურიზმის მიმართულებაში, იმ უნარების განვითარების მიზნით რაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს საზღვაო სფეროში (საკრუიზო ლაინერებზე) დასაქმების ხელშეწყობისათვის.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. სამ. ფასი	სულ (ლარი)
პროფესიული სწავლება	36	5500	198 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			198 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომწოდებლის გამოვლენა და ხელშეკრულების გაფორმება		X	X	
საზღვაო შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით განათლების მოდულების შემუშავება		X	X	X

ქვეპროგრამის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობა, ბენეფიციართა შერჩევა და ჯგუფების დაკომპლექტება		X	X	X
სასწავლო პროცესის ორგანიზება		X	X	X
ქვეპროგრამის მონიტორინგის განხორციელება		X	X	X
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება და შეფასება		X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს ამაღლებული პროფესიული ცოდნა და კონკურენტუნარიანია საზღვაო შრომის
ბაზარზე დასაქმებისათვის;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს ამალღებული პროფესიული ცოდნა და კონკურენტუნარიანია საზღვაო შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის;	ქვეპროგრამის მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა	36	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	მომზადებულ მონაწილეთა რაოდენობა;	არაუმეტეს 36	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	მომზადებულ შედეგად დასაქმებული მოქალაქეები	30%	დასაქმებულთა სტატისტიკა	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 061003

ქვეპროგრამის დასახელება:

საკვანძო კომპეტენციების განვითარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	127 500
სულ ბიუჯეტი:	127 500

ქვეპროგრამის მიზანი:

დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა პროფესიის დამხმარე უნარების განვითარების გზით

ქვეპროგრამის აღწერა:

დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის პროფესიული უნარების გარდა მნიშვნელოვანია, ეგრეთ წოდებული რბილი და საკვანძო კომპეტენციების განვითარება, რაც მნიშვნელოვანია პიროვნების გახსნისა და განვითარების, დასაქმებისა და სოციალური ჩართულობისთვის. ქვეპროგრამა ითვალისწინებს, - დაინტერესებული პირებისათვის მოკლევადიანი ინტენსიური სწავლების შეთავაზება შემდეგ მიმართულებებში: სამეწარმეო უნარები, მულტილინგვინური კომპეტენცია -დარგობრივი უცხო ენა, ციფრული კომპეტენცია, ვექტორული და გრაფიკული პროგრამები - 3D Max; Photoshop; Illustrator; InDesign; Corel DRAW ; სასტუმრო, სარესტორნო, სასაწყობე პროგრამები - ხელს შეუწყობს როგორც სამუშაოს მამდიებელს, ასევე მცირე მეწარმეს საქმიანობის წამოწყება/განვითარებაში.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. სამ. ფასი	სულ (ლარი)
საკვანძო კონპეტენცია	150	850	127 500
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			127 500

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქვეპროგრამის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობა, ბენეფიციართა შერჩევა		X	X	X
მომწოდებლების გამოვლენა და ხელშეკრულებების გაფორმება			X	X
სამუშაო იარაღების გადაცემა			X	X

ქვეპროგრამის მონიტორინგის განხორციელება		X	X	X
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება და შეფასება		X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს გაზრდილი დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს გაზრდილი დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები	ქვეპროგრამის მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა	150	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	მომზადებულ მონაწილეთა რაოდენობა;	არაუმეტეს 150	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 061004

ქვეპროგრამის დასახელება:

სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	159 960
სულ ბიუჯეტი:	159 960

ქვეპროგრამის მიზანი:

უმუშევრობის შემცირება დასაქმების ხელშეწყობი სერვისების შესახებ ინფორმირებულობისა და სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფის გზით.

ქვეპროგრამის აღწერა:

მართვის ეფექტიანი უზრუნველყოფა აუცილებელი პირობის სახით გულისხმობს სააგენტოს პოპულარიზაციის ხარისხის ამაღლებას, რათა სააგენტოს სერვისების შესახებ აჭარის მოსახლეობის/დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის გზით გაიზარდოს მომსახურეობის ხელმისაწვდომობის ზრდა.

ქვეპროგრამა მოიცავს საინფორმაციო კამპანიის წარმოებას - სააგენტოს საქმიანობისა და სერვისების შესახებ ინფორმირებულობას სხვადასხვა აქტივობებისა და მეთოდების გამოყენებით და პერსონალური თანამშრომლობის გზით დამსაქმებელთან და სამუშაოს მაძიებელთან კომუნიკაციის გააქტიურებას შრომითი კონსულტანტების მეშვეობით.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: საინფორმაციო მასალის მომზადება; აჭარის ტერიტორიაზე ოპერირებადი კომპანიებისა და სამუშაოს მაძიებლების ინფორმირებულობა სააგენტოს სერვისების შესახებ; საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთათვის, პროფესიული სწავლების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, პრეზენტაციების და საინფორმაციო ტურების ორგანიზება სასწავლებლებსა და კომპანიებში; სამუშაო შეხვედრებისა და დასაქმების ფორუმის ორგანიზება.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საინფორმაციო კამპანიის წარმოება	1	42 000	42 000
სააგენტოს საქმიანობისა და შეთავაზებული სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, პოტენციურ დამსაქმებელთან კომუნიკაციის გააქტიურება, ვაკანსიების მოძიება;	4	16 940	67 760
მასობრივი გასაუბრების ორგანიზება	2	3 000	6 000

პროფესიულ ორიენტაციაში ცნობიერების ამაღლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში	10	1 920	19 200
დასაქმების მხარდამჭერი ღონისძიებების ორგანიზება	10	1 500	15 000
დასაქმების ფორუმის ორგანიზება	1	10 000	10 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			159 960

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოწოდებლების გამოვლენა და ხელშეკრულებების გაფორმება	X	X		
საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება	X	X	X	X
დასაქმების ფორუმისა და მასობრივი გასაუბრების ორგანიზება		X	X	
სამუშაო შეხვედრების ორგანიზება	X	X	X	X
სააგენტოს საქმიანობისა და შეთავაზებული სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, პოტენციურ დამსაქმებელთან კომუნიკაციის გააქტიურება, ვაკანსიების მოძიება;	X	X	X	X
მონიტორინგი	X	X	X	X
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება, და ანალიზი	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სააგენტოს ეფექტიანი და ხელმისაწვდომი სერვისებით მოსარგებლე და დასაქმებული მოქალაქეების რაოდენობის ზრდა; დასაქმების გაზრდილი შესაძლებლობები.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სააგენტოს სერვისებით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა; დასაქმების გაზრდილი შესაძლებლობები	სააგენტოს სერვისით ახალი მოსარგებლე	1000	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემა	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი
	მომიებული ვაკანსია	500	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემა	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

061005

ქვეპროგრამის დასახელება:

კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	42 000
სულ ბიუჯეტი:	42 000

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედ ორგანიზაციებში დასაქმებულთა პროფესიული უნარების ზრდა და კვალიფიკაციის ამაღლება მათი სამუშაოზე მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ქვეპროგრამის აღწერა:

შრომის ბაზრის მოდერნიზაცია საჭიროებს დასაქმებული შრომითი ძალის უნარების სისტემატურად ამაღლებას ახალი საბაზრო მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად. ხშირ შემთხვევაში დამსაქმებლები დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფს წარმოების შესაძლებლობების გაზრდას ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვით, ვინაიდან, დაბალია ცნობიერება ადამიანური რესურსების დაგეგმვის, მათი განვითარებისათვის სტაბილური პირობების შექმნის და გრძელვადიანი პერსპექტივის დასახვის კუთხით. გარდა ამისა, შრომის ბაზარი მოითხოვს სამუშაო ძალის მუდმივ განახლებას და ზრდას. დამსაქმებელს მასთან დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობისათვის სჭირდება მხარდაჭერა სწავლების ფინანსების, მეთოდური მასალების განვითარების, ინსტრუქტორების მომზადების მხრივ. აღნიშნული ხელს შეუწყობს ორგანიზაციების განვითარებას, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას, რაც ორგანიზაციის მდგრად განვითარებას განაპირობებს.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით	60	700	42 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			42 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ელექტრონული ტენდერის გამოცხადება მომწოდებლის გამოსავლენად			X	X

რეგიონის შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით არაფორმალური განათლების მოდულების შემუშავება			X	X
ქვეპროგრამის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობა და ჩართვის მსურველი ორგანიზაციების რეგისტრაცია				X
ბენეფიციართა შერჩევა და ჯგუფების დაკომპლექტება				X
ტრენინგების ორგანიზება				X
ქვეპროგრამის მონიტორინგის განხორციელება			X	X
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება და შეფასება			X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ორგანიზაციებში სხვადასხვა პროფესიით დასაქმებული პერსონალის საბაზრო მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად კვალიფიკაციის გაზრდა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ორგანიზაციებში სხვადასხვა პროფესიით დასაქმებული პერსონალის საბაზრო მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად კვალიფიკაციის გაზრდა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.	ქვეპროგრამის მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა	60	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	გადამზადებულ/სერტიფიცირებულ მონაწილეთა რაოდენობა;	არაუმეტეს 60	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

061006

ქვეპროგრამის დასახელება:

შშმ პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	37 000
სულ ბიუჯეტი:	37 000

ქვეპროგრამის მიზანი:

შშმ პირების პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნა/ამაღლება მათთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო მოდულის შეთავაზებით.

ქვეპროგრამის აღწერა:

შრომის ბაზარზე დამკვიდრება და თვითრეალიზაცია განსაკუთრებით რთულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ვინაიდან ნაკლებად ხელმისაწვდომია მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული დასაქმების ხელშეწყობის მომსახურება და ისინი სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ. მონაწილეობის, ავტონომიურობისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული დასაქმება უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღია ბაზარზე მუშაობის რეალურ შესაძლებლობას. სწორედ პროგრამის სამი ძირითადი კომპონენტი სწავლება - დასაქმება - მხარდაჭერა უზრუნველყოფს აღნიშნული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლების ინტეგრაციას, რომელიც თავის თავში მოიცავს ღია შრომის ბაზარზე გვერდიგვერდ იმავე პირობებში შშმ პირების მუშაობას კომპანიაში დასაქმებულ სხვა პირებთან ერთად, რაც ბუნებრივი ინტეგრაციის საუკეთესო შესაძლებლობას წარმოადგენს.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შშმ პირთა პროფესიული სწავლება	6	4700	28 200
შშმ პირთა პრაქტიკული უნარების განვითარება	4	2200	8 800
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			37 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოწოდებლის გამოვლენა და ხელშეკრულების გაფორმება		X	X	
დასაქმებისათვის საჭირო პროფესიული და პრაქტიკული უნარების შექმნა/ამაღლების მსურველი შშმ პირების მობილიზება		X	X	

შშპ პირების შრომითი უნარების ინდივიდუალური შეფასების და აღიშნული შეფასების საფუძველზე გამოვლენილ ძლიერ მხარეების გათვალისწინებით სავარაუდო პროფესიების განსაზღვრა		X	X	
აჭარის ტერიტორიაზე ოპერირებადი ორგანიზაციების საჭიროებებისა და პირობების გათვალისწინებით ქვეპროგრამის პროფესიების განსაზღვრა		X	X	
ბენეფიციარის შეფასების საფუძველზე გამოვლენილ ძლიერ მხარეებზე დაფუძნებული განათლების გეგმის შემუშავება		X	X	
სასწავლო პროცესის ორგანიზება		X	X	X
ქვეპროგრამის მონიტორინგის განხორციელება		X	X	X
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება და შეფასება		X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის მოსარგებლე შშპ პირს აქვს შემენილი პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კონკურენტუნარიანია შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის მოსარგებლე შშმ პირს აქვს შეძენილი პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კონკურენტუნარიანია შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის	ქვეპროგრამის მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა	10	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	გადამზადებულ/სერტიფიცირებულ მონაწილეთა რაოდენობა;	არაუმეტეს 10	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	გადამზადების შედეგად დასაქმებული მოქალაქეები	30%	დასაქმებულთა სტატისტიკა	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

061007

ქვეპროგრამის დასახელება:

დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული მომზადება/გადამზადების გზით

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	340 500
სულ ბიუჯეტი:	340 500

ქვეპროგრამის მიზანი:

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა/ამაღლება, მათი შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

ქვეპროგრამის აღწერა:

შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების დისბალანსისა და უმუშევრობის შემცირება შესაძლებელია ბაზრისა და სამუშაო ძალის როგორც სტრუქტურული ასევე ხარისხობრივი სრულყოფის გზით, რაც ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული სწავლებით მიიღწევა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- 1) პროფესიული უნარების შეძენა/ამაღლების მსურველ პირთა მომზადება შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში.
- 2) სამუშაო გამოცდილების და ინდივიდუალური განათლების მქონე პირის, კვალიფიკაციის სრულყოფა და შრომის ბაზარზე მისი მდგრადობის გაუმჯობესება სერთიფიცირების გზით.
- 3) ფორმალური განათლების მიღმა (სამუშაო გამოცდილება, არაფორმალური განათლება) მიღწეული შედეგების დადასტურება და შესაბამისი დოკუმენტის გაცემა.
- 4) სამუშაოს მაძიებელთა დასაქმებაზე ორიენტირებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება; ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღების მსურველი დარეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს შრომის ბაზრის მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში. ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდება წინასწარ შემუშავებული და სააგენტოს მიერ დამტკიცებული ქვეპროგრამის შესრულების წესის თანახმად.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება	85	2500	212 500
სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული გადამზადება	20	2000	40 000
არაფორმალური განათლების აღიარება და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღება	20	1800	36 000
სამუშაოს მაძიებელთა პრაქტიკული უნარების განვითარება	80	650	52 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			340 500

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქვეპროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება	X	X	X	
მოწოდებლის გამოვლენა და ხელშეკრულების გაფორმება	X	X		
ქვეპროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა შერჩევა და პროფესიული ჯგუფების დაკომპლექტება	X	X	X	X
სასწავლო პროცესის ორგანიზება	X	X	X	X
ბენეფიციართა პროფესიული სწავლების მონიტორინგის ჩატარება	X	X	X	X
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება და შეფასება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს შეძენილი/ამაღლებული პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, კონკურენტუნარიანია შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის; გადამზადებულ ბენეფიციარებს შენარჩუნებული აქვთ მდგრადობა სამუშაო ადგილზე.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს შეძენილი/ამაღლებული პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, კონკურენტუნარიანია შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის; გადამზადებულ ბენეფიციარებს შენარჩუნებული აქვთ მდგრადობა სამუშაო ადგილზე	პროგრამის მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა	205	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	სერტიფიცირებულ ბენეფიციართა რაოდენობა;	არაუმეტეს 205	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	პროფესიული სწავლების შემდგომ დასაქმებული მოქალაქეები	30%	დასაქმებულთა სტატისტიკა	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკურ მონაცემებთან ანალიზი
	დასაქმებულთა მდგრადობის შენარჩუნება სამუშაო ადგილზე	50%	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემა	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკურ მონაცემებთან ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

061008

ქვეპროგრამის დასახელება:

სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	38 000
სულ ბიუჯეტი:	38 000

ქვეპროგრამის მიზანი:

სწავლის პარალელურად სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობი ღონისძიებების გატარებით სტუდენტებში შრომითი უნარების განვითარება და დასაქმების მაჩვენებლის ზრდა.

ქვეპროგრამის აღწერა:

საქართველოს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე საქსტატის მონაცემებით ახალგაზრდებში აღინიშნება. პრობლემის მიზეზი ბაზარზე მოთხოვნა/მიწოდებას შორის არსებული დისბალანსია, რაც განპირობებულია სწავლასთან შეუთავსებელი გრაფიკით, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ახალგაზრდების კვალიფიკაციისა და უნარების შეუსაბამობითა და სამუშაო გამოცდილების არქონით. ქვეპროგრამის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება მიეცემა შეიძინონ ახალი უნარ-ჩვევები, მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, რაც მათი კარიერული ზრდის პერსპექტივაა და ზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობას. ქვეპროგრამის მოსარგებლეა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სტატუსის მქონე პირი.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სტუდენტთა პრაქტიკული უნარჩვევის შეძენა	40	950	38 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			38 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომწოდებლის განსაზღვრა და ხელშეკრულების გაფორმება	X	X		
შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით მოკლევადიანი განთლების მოდულების შემუშავება	X	X		

ქვეპროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება	X	X		
ქვეპროგრამის მოსარგებლეთა შერჩევა		X	X	
სასწავლო პროცესის ორგანიზება		X	X	
სერტიფიცირებულ ბენეფიციართა დასაქმების ხელშეწყობა		X	X	X
ქვეპროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი	X	X	X	X
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება, და ანალიზი	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის მოსარგებლე სტუდენტების შრომითი უნარების განვითარება სამუშაო გამოცდილების მიღების გზით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის მოსარგებლე სტუდენტების შრომითი უნარების განვითარება სამუშაო გამოცდილების მიღების გზით	ქვეპროგრამის მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა	40	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	მომზადებული, სამუშაო გამოცდილების მქონე ბენეფიციარი;	არაუმეტეს 40	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

061009

ქვეპროგრამის დასახელება:

დასაქმების ხელშეწყობა ციფრული უნარების განვითარების გზით

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	38 000
სულ ბიუჯეტი:	38 000

ქვეპროგრამის მიზანი:

ინფორმაციულ ტექნოლოგიურ სფეროში დასაქმება-თვითდასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ციფრული ინდუსტრიის განვითარება მნიშვნელოვნად ცვლის მსოფლიო შრომის ბაზარზე არსებულ წესებსა და მოთხოვნებს, რაც პირველ რიგში საინფორმაციო ტექნოლოგიების ინდუსტრიაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის ზრდით გამოიხატება. ამ კუთხით დასაქმების უპირატესობას, სტაბილურად მზარდი დასაქმების მაჩვენებლის პარალელურად, მუდმივად მზარდი ანაზღაურება წარმოადგენს. საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში საქმიანობას კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ის რომ IT სპეციალისტს დისტანციურად შეუძლია მუშაობა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს საოპერაციო ხარჯებს.

ციფრული ინდუსტრიის განვითარება, ბაზარზე ზრდის, ციფრული სპეციალისტების (მაგალითად, ფრონტ-ენდ, ბექ-ენდ, ფულ-სტაკ დეველოპერები) მოთხოვნას. იმ ფონზე, როცა რეგიონში გაზრდილია ინტერესი ციფრული ინდუსტრიის მიმართ და განსაკუთრებით ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი კვლავ გამოწვევად რჩება, მნიშვნელოვანია რესურსის გამოყენება და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა. ახალგაზრდებში დარგობრივი ინგლისურის, კომპიუტერული და თვითდასაქმებაზე ორიენტირებული უნარების შეძენა/განვითარება მაღალ ანაზღაურებადი დასაქმებისა და თვითდასაქმების მდგრად საფუძველს იძლევა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საბაზო ციფრული ტექნოლოგიების შესწავლა	10	1800	18 000
Full stack დეველოპერის სასწავლო კურსი	10	2000	20 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			38 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომწოდებლის გამოვლენა და ხელშეკრულების გაფორმება	X	X		

განათლების მოდულების შემუშავება		X		
ქვეპროგრამის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობა, ბენეფიციართა შერჩევა და ჯგუფების დაკომპლექტება		X	X	
სასწავლო პროცესის ორგანიზება		X	X	
ქვეპროგრამის მონიტორინგის განხორციელება		X	X	
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება და შეფასება		X	X	

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს ამაღლებული პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კონკურენტუნარიანია შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს ამადლებული პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კონკურენტუნარიანია შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის;	ქვეპროგრამის მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა	20	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	მომზადებულ მონაწილეთა რაოდენობა;	არაუმეტეს 20	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	მომზადების შედეგად დასაქმებული მოქალაქეები	30%	დასაქმებულთა სტატისტიკა	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

061010

ქვეპროგრამის დასახელება:

დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	100 000
სულ ბიუჯეტი:	100 000

ქვეპროგრამის მიზანი:

დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა სამუშაო იარაღებით უზრუნველყოფის გზით

ქვეპროგრამის აღწერა:

სამეწარმეო სექტორის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოების როლი მნიშვნელოვანია ქვეყნის მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკის განვითარების უზრუნველსაყოფად და დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით ეკონომიკის ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ერთის მხრივ, ქვეყანაში კვლავ დიდ გამოწვევად რჩება არაფორმალური თვითდასაქმება, რაც ქვეყნის ჩრდილოვან ეკონომიკაზე დადებითად აისახება, ხოლო მეორეს მხრივ, მწირია ხელწვდომა ისეთ რესურსებზე რაც კვალიფიციურ სპეციალისტებს თვითდასაქმების შესაძლებლობებსა და სამეწარმეო საქმიანობის დაწყებაში დაეხმარებათ ან/და თვითდასაქმების ფორმალიზებისკენ მოტივაციას გაზრდის.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს, ფიზიკური პირებისა და საწარმოების საქმიანობის წამოწყება/ განვითარების მხარდაჭერას, შესაბამისი სამუშაო იარაღი/აღჭურვილობი/მოწყობილობით უზრუნველყოფით.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამუშაო იარაღებით უზრუნველყოფა	10	9000	90 000
სამეწარმეო უნარების განვითარება	10	1000	10 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			100 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქვეპროგრამის შესახებ დაინტერესებულნი მხარეების ინფორმირებულობა, ბენეფიციართა შერჩევა		X	X	X

მომწოდებლების გამოვლენა და ხელშეკრულებების გაფორმება			X	X
სამუშაო იარაღების გადაცემა			X	X
ექვეპროგრამის მონიტორინგის განხორციელება		X	X	X
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება და შეფასება		X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ექვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს გაზრდილი დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს გაზრდილი დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები	ქვეპროგრამის მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა	არანაკლებ 10	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	იარაღით აღჭურვილი ბენეფიციარი	არანაკლებ 10	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში
	რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი	არანაკლებ 10	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	სამეწარმეო რეესტრი ბაზა

პრიორიტეტის დასახელება

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წელი	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
0701	აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	4 565 599	4 565 599	4 565 599	4 565 599	4 565 599
0705	აგროსექტორის მდგრადი განვითარება	412 000	412 000	412 000	412 000	412 000
0707	აგროსერვისის განვითარება რეგიონში	5 072 976	5 072 976	5 036 036	5 036 036	5 036 036
0708	ლაბორატორიული კვლევითი საქმიანობის მდგრადი განვითარების მხარდაჭერა	1 750 054	1 750 054	1 545 402	1 545 402	1 545 402
0709	მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა	3 055 296	3 055 296	1 680 000	1 680 000	1 680 000
0711	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშთგანახლების ხელშეწყობა	273 360	273 360	273 360	273 360	273 360
0713	სამელიორაციო სისტემების მართვა	2 183 782	2 183 782	2 118 890	2 118 890	2 118 890
0715	ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა	194 320	194 320	155 760	155 760	155 760
0716	სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	4 887 816	4 887 816	5 574 855	5 574 855	5 574 855
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		22 395 203	22 395 203	21 361 902	21 361 902	21 361 902

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0705

პროგრამის დასახელება:

აგროსექტორის მდგრადი განვითარება

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1 648 000	412 000	412 000	412 000	412 000
სულ ბიუჯეტი:	1 648 000	412 000	412 000	412 000	412 000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025 - 2028 წლები

პროგრამის მიზანი:

- * სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და მიწოდების მასშტაბის ზრდა, რაც ხელს შეუწყობს პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე;
- * აგროსასურსათო სექტორის შესაძლებლობებისა (საწარმოო, საექსპორტო და საინვესტიციო) და საჭიროებების (დარგობრივი და ინსტიტუციური) შესახებ ცნობადობის ამაღლება;
- * სოფლის მეურნეობაში საინვესტიციო შესაძლებლობების ზრდისა და სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა გამოფენ(ებ)ის, ფორუმ(ებ)ის, ფესტივალ(ებ)ისა და კონფერენცი(ებ)ის ორგანიზების უზრუნველყოფის გზით.

პროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ორიენტირებულია უზრუნველყოს: სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა ეფექტურობისა და მდგრადობის ამაღლება; აგროსასურსათო სექტორის შესაძლებლობების შესახებ ცნობადობის ამაღლება და ინვესტიციების მოზიდვა, ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, რისთვისაც ხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები, კერძოდ:

* ქვეპროგრამა „აგრარული ექსტენციის მიწოდება“ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული სპეციფიკის, ნიადაგურ - კლიმატური პირობების მრავალფეროვნების და მავნებელ - დაავადებების ინტენსიურად გავრცელების რისკების გათვალისწინებით, სასოფლო - სამეურნეო ექსტენციის მიწოდებას განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან აგრარული სექტორის ეფექტურობა პირდაპირ დამოკიდებულია სასოფლო - სამეურნეო წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნასთან და მათ სამეურნეო საქმიანობაში გამოყენების შესაძლებლობასთან. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ექსტენციონისტების აღჭურვა, საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება. ასევე, დარგში მომუშავე ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეურნეობების გაცნობის მიზნით, ჩატარდება აგროტურ(ებ)ი სამეცნიერო / ექსპერიმენტულ / სადემონსტრაციო და კერძო მეურნეობებში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაში დამკვიდრებულია შრომის გენდერული განაწილება, რომელშიც ქალები ძირითადად არაანაზღაურებადი საოჯახო შრომით არიან დაკავებული. ეს მათ ნაკლებად უტოვებს დროს სხვა სახის საქმიანობისათვის და ხშირად ქალებს, არც კი უჩნდებათ სურვილი, ჩაერთონ სახელმწიფო პროგრამებში. ამასთანავე, ქალებს, კაცებთან შედარებით, ნაკლებად შეუძლიათ იმ ფინანსური რესურსის მობილიზება, რომელიც საჭიროა პროგრამებით გათვალისწინებული თანამონაწილეობისთვის. შესაბამისად, ღონისძიების "სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ - ეკონომიკური აქტივობის ზრდის ხელშეწყობა" ფარგლებში მოხდება აქტიური და წარმატებული ქალების იდენტიფიცირება და მათი წარმატებული საქმიანობის პოპულარიზაცია, რათა გაიზარდოს ქალების როლი სოფლის ეკონომიკაში.

* ქვეპროგრამა „ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია“ - სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების ხელის შეშლელი მრავალი ფაქტორიდან ერთ - ერთს სწორედ წარმოებული პროდუქციის სუსტი კონკურენტუნარიანობა, ცნობადობის დაბალი დონე და სარეალიზაციო ბაზრების ნაკლები დივერსიფიცირება წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნული მიმართულებებით განხორციელდეს შესაბამისი ხელშეწყობი ღონისძიებები. კერძოდ, სოფლის მეურნეობაში საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ჩატარდება აგრარული ფორუმი და ფესტივალ(ებ)ი, რომელიც ხელს შეუწყობს დარგში არსებული საჭიროებებისა და პოტენციალის შესახებ ცნობადობის ამაღლებას.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
აგრარული ექსტენციის მიწოდება	1 368 000	342 000	342 000	342 000	342 000
ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია	280 000	70 000	70 000	70 000	70 000
სულ პროგრამა:	1 648 000	412 000	412 000	412 000	412 000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

2024 წელს, პროგრამის ფარგლებში ექსტენცია მიეწოდა სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედ ექსტენციას დაქვემდებარებულ - 4,200.0 ფიზიკურ და იურიდიულ პირ(ებ)ს. რეგიონში არსებული საოჯახო მეურნეობების მაღალი ფრაგმენტაციისა და მავნებელ - დაავადებების ინტენსიური გავრცელების გათვალისწინებით კვლავ დიდია გამოწვევები ექსტენციის მიწოდების მიმართულებით; პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა - 2 აგროტური სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე წარმატებული ქალ(ებ)ისათვის; ამასთან, რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში განხორციელდა დარგში აქტიური, წარმატებული ქალების იდენტიფიცირება და სოფლად მცხოვრები ქალების სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიებში გადამზადება; 2024 წელს ასევე, ჩატარდა 1 აგრარული ფორუმი და 2 აგრარული ფესტივალი ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობის მიზნით.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

ქვეპროგრამის "აგრარული ექსტენციის მიწოდება" ფარგლებში, ექსტენციის მიწოდება განხორციელდება სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში მოქმედ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან - ინდივიდუალური, ჯგუფური და ინტერნეტ ექსტენციის მეთოდებით, საჭიროების შემთხვევაში მოძრავი ლაბორატორიის გამოყენებით. ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდულ იქნება თანამედროვე აღჭურვილობა / ხელსაწყოები და საინფორმაციო მასალები, რომელსაც ექსტენციონისტები გამოიყენებენ სავლე პირობებში ექსტენციის მიწოდების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე წარმატებული ქალებისათვის განხორციელდება 2 (ორი) აგროტური. ასევე, ქვეპროგრამის ღონისძიების "სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ - ეკონომიკური აქტივობის ზრდის ხელშეწყობა" ფარგლებში მოხდება აქტიური და წარმატებული ქალების იდენტიფიცირება და მათი წარმატებული საქმიანობის პოპულარიზაცია, რათა გაიზარდოს ქალების როლის სოფლის ეკონომიკაში; ამასთან, ქვეპროგრამის "ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია" ფარგლებში, რეგიონში წარმოებული სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის პოპულარიზაციის, საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ჩატარდება აგრარული ფორუმი (არანაკლებ 1) და თანადაფინანსდება აგრარული ფესტივალ(ებ)ი (არანაკლებ 3).

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი:

სოფლის მეურნეობის დარგებში ჩატარებული ექსტენციის შედეგად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისთვის საჭირო პრაქტიკულ და თეორიულ უნარ - ჩვევებს დაუფლებული სოფლის მეურნეობის სფეროში მომუშავე ფიზიკური და იურიდიული პირები. ჩატარებული აგრარული ფორუმის, ფესტივალ(ებ)ისა და დარგში მომუშავე წარმატებული ქალების საქმიანობის პოპულარიზაციის შედეგად, რეგიონში წარმოებული სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის პოპულარიზაციის, საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
	დასახელება	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი					2028 წელი
ჩატარებული აგრარული ფორუმი (არანაკლებ - 1)	აგრარული ფორუმი	1	1	1	1	რაოდენობა	პოლიტიკის დაგეგმვისა და ანალიტიკის დეპარტამენტი	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები	
ჩატარებული აგრარული ფესტივალი (არანაკლებ - 3)	აგრარული ფესტივალი	3	3	3	3				
სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედი ექსტენციის დაქვემდებარებული ფიზიკური და იურიდიული პირ(ებ)ი	ექსტენციის მიწოდება	4200	3600	3600	3600		აგრარული განვითარების დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მონიტორინგი და ანგარიშები
განხორციელებული აგროტური	სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე წარმატებული ქალ(ებ)ისათვის განხორციელებული აგროტური	2	2	2	2				მიღება - ჩაბარება
სასოფლო - სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიებში გადამზადებული სოფლად მცხოვრები ქალ(ებ)ი (არანაკლებ)		40	40	40	40				

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აგროსექტორის მდგრადი განვითარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 070505

ქვეპროგრამის დასახელება:

ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	70 000
სულ ბიუჯეტი:	70 000

ქვეპროგრამის მიზანი:

რეგიონში წარმოებული სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის პოპულარიზაცია, საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

აგრარული დარგის განვითარებას, კომპლექსური მიდგომები და გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ღონისძიებების შემუშავება სჭირდება. რეგიონისთვის დამახასიათებელი ნიადაგურ - კლიმატური პირობები, რეალურ შესაძლებლობას აძლევს სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს გააუმჯობესონ წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, გაზარდონ ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოების შესაძლებლობები.

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ხელის შეშლელი მრავალი ფაქტორიდან ერთ - ერთს სწორედ წარმოებული პროდუქციის სუსტი კონკურენტუნარიანობა, ცნობადობის დაბალი დონე და სარეალიზაციო ბაზრების ნაკლები დივერსიფიცირება წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნული მიმართულებებით განხორციელდეს შესაბამისი ხელშეწყობი ღონისძიებები, კერძოდ: სოფლის მეურნეობაში საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ჩატარდება აგრარული ფორუმი და აგრარული ფესტივალ(ებ)ი, რომელიც ხელს შეუწყობს არსებული საჭიროებებისა და პოტენციალის შესახებ ცნობადობის ამაღლებას.

ქვეპროგრამის ღონისძიების აგრარული ფორუმის ფარგლებში, მოწვეულნი იქნებიან აგრარულ სექტორში მოქმედი ორგანიზაციები, სავაჭრო - სამრეწველო პალატის წარმომადგენლები და აჭარის აგრარული შესაძლებლობებით დაინტერესებული პირები. ღონისძიების ფარგლებში განხილული იქნება აჭარის აგრარული შესაძლებლობები, აგრო ბიზნესის გამოწვევები და სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები.

ღონისძიება აგრარული ფესტივალ(ებ)ი ფარგლებში, დაგეგმილია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ის (აგრარული სექტორში მოქმედი ასოციაცი(ებ)ი) მიერ წარმოდგენილი განაცხადების / პროექტების თანადაფინანსება, რომლის მიზანია აგრარული ფესტივალ(ებ)ის ორგანიზება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

ღონისძიების განხორციელების პროცედურები, დამატებითი პირობები და ბენეფიციართა შერჩევის დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება ღონისძიების განხორციელების წესით, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა (არანაკლებ)	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
აგრარული ფორუმი (არანაკლებ)	1	40 000	40 000
აგრარული ფესტივალი (არანაკლებ)	3	10 000	30 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი:			70 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა:

ლონისძიება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
აგრარული ფორუმის მომსახურების შესყიდვა		X	X	X
აგრარული ფესტივალ(ებ)ის ღონისძიების განხორციელების წესის შემუშავება და შესაბამისი სამართლებრივი აქტ(ებ)ის გამოცემა	X	X	X	X
აგრარული ფესტივალ(ებ)ი მიზნით განაცხადების მიღება, ბენეფიციართა შერჩევა და პროექტ(ებ)ის თანადაფინანსება	X	X	X	X

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი:

რეგიონში წარმოებული სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის პოპულარიზაციის, საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ჩატარებულია აგრარული ფორუმი (არანაკლებ 1) და თანადაფინანსებულია აგრარული ფესტივალ(ებ)ის (არანაკლებ 3) ორგანიზება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
აგრარული ფორუმი (არანაკლებ)	1	რაოდენობა	პოლიტიკის დაგეგმვისა და ანალიტიკის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები
აგრარული ფესტივალი (არანაკლებ)	3		აგრარული განვითარების დეპარტამენტი			

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აგროსექტორის მდგრადი განვითარება	
----------------------------------	--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	070506
----------------------------------	--------

ქვეპროგრამის დასახელება:	აგრარული ექსტენციის მიწოდება
--------------------------	------------------------------

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
---------------------------------	---

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:	
დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	342 000
სულ ბიუჯეტი:	342 000

ქვეპროგრამის მიზანი:
 სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობის ეფექტურობისა და მდგრადობის ამაღლება.

ქვეპროგრამის აღწერა:
 რეგიონის აგრარული სპეციფიკის, ნიადაგურ - კლიმატური პირობების მრავალფეროვნებისა და მავნებელ - დაავადებების ინტენსიურად გავრცელების რისკების გათვალისწინებით, სასოფლო - სამეურნეო ექსტენციის მიწოდებას განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სოფლის მეურნეობის სფეროში მომუშავე ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობის ეფექტურობა, პირდაპირ დამოკიდებულია სასოფლო - სამეურნეო წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნასთან და მათ სამეურნეო საქმიანობაში გამოყენების შესაძლებლობებზე. შესაბამისად, საჭიროა თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული ინტენსიური ექსტენციის მომსახურების მიწოდება, რისთვისაც აუცილებელია ექსტენციის სერვისის მიწოდებაში მაღალკვალიფიციური აგრარული სფეროს სპეციალისტების ჩართულობა.
 ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდულ იქნება თანამედროვე აღჭურვილობა / ხელსაწყოები და საინფორმაციო მასალები, რომელსაც ექსტენციონისტები გამოიყენებენ სავსე პირობებში ექსტენციის მიწოდების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, დარგში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით, სოფლის მეურნეობის სფეროში მომუშავე წარმატებული ქალებისათვის განხორციელდება 2 აგროტური, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ სამეცნიერო / ექსპერიმენტულ / სადემონსტრაციო და კერძო მეურნეობებში.
 ქვეპროგრამის ფარგლებში, სპეციალისტების შერჩევა განხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კონკურსის წესით.

ამასთან, დღეის მდგომარეობით, სოფლად მცხოვრები ქალები ნაკლებად არიან ჩართულები აგრარული დარგის მიმართულებით სხვადასხვა სამეწარმეო აქტივობებში, რაც განპირობებულია მრავალი ფაქტორით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ქალთათვის წამახალისებელი და ცნობიერების ასამაღლებელი მექანიზმების შემუშავება. სწორედ ღონისძიების "სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ - ეკონომიკური აქტივობის ზრდის ხელშეწყობა" ფარგლებში განხორციელდება დარგში აქტიური, წარმატებული ქალების იდენტიფიცირება რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში და მათ მიერ გაწეული საქმიანობის პოპულარიზაცია, რათა გაიზარდოს ქალების როლი სოფლის ეკონომიკაში.

დასახელება	პროდუქტები	პროდუქტები			
		ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მუშა - მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (10 კაცი)	ექსტენციონისტი	თვე	12	25 000	300 000
ექსტენციისათვის საჭირო სამუშაო ფორმების შექმნა	ცალი		21	238	5 000

საინფორმაციო მასალების მომზადება (არანაკლებ)	ცალი	5 000	1.40	7 000
სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე წარმატებული ქალ(ებ)ისათვის განხორციელებული აგროტური	რაოდენობა	2	4 000	8 000
სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ - ეკონომიკური აქტივობის ზრდის ხელშეწყობა	რაოდენობა	1	22 000	22 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი:				342 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა:

ღონისძიება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
კონკურსის ჩატარება და გამარჯვებულ ექსტენციონისტ(ებ)თან შრომითი ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება	X	X	X	X
ექსტენციისათვის საჭირო აღჭურვილობის / ხელსაწყოების შეძენა	X	X	X	X
საინფორმაციო მასალების მომზადება	X	X	X	X
სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე წარმატებული ქალ(ებ)ისთვის განხორციელებული აგროტურის მომსახურების შესყიდვა		X	X	X
სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ - ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით ჩატარებული ტრენინგები		X	X	X
ექსტენციის მიწოდება	X	X	X	X

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი:

სოფლის მეურნეობის დარგებში ჩატარებული ექსტენციის შედეგად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციისთვის საჭირო პრაქტიკულ და თეორიულ უნარ - ჩვევებს დაუფლებული დარგში მოქმედი ფიზიკური და იურიდიული პირები.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედი ექსტენციას დაქვემდებარებული ფიზიკური და იურიდიული პირ(ებ)ი	4200	რაოდენობა	აგრარული განვითარების დეპარტამენტი	წელიწადში ორჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მონიტორინგი და ანგარიშები
სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე წარმატებული ქალ(ებ)ისთვის განხორციელებული აგროტური	2	აგროტური				მიღება - ჩაბარების აქტი
სასოფლო - სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიებში გადამზადებული სოფლად მცხოვრები ქალ(ებ)ი (არანაკლებ)	40	რაოდენობა				

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0716

პროგრამის დასახელება:

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება:	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შიშისავლები	21 612 471	4 887 816	5 574 885	5 574 885	5 574 885
სულ ბიუჯეტი:	21 612 471	4 887 816	5 574 885	5 574 885	5 574 885

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2025 - 2028 წლები

პროგრამის მიზანი:

სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებების, საოჯახო მეურნეობებისა და მეწარმე სუბიექტების ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით სასოფლო - სამეურნეო და არასასოფლო - სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერისთვის პირველად წარმოებასთან ერთად საჭიროა განვითარდეს შემნახველ - გადამამუშავებელი საქმიანობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით პროექტების / განაცხადების თანადაფინანსება (სუბსიდირება).
 პროგრამის პრიორიტეტებია: ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა, ახალგაზრდა მეწარმე სუბიექტების განვითარების ხელშეწყობა, ქალთა მიერ წარმოდგენილი პროექტების, შშმ პირთა მიერ წარმოდგენილი პროექტების, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, ენერგოეფექტური და განახლებადი ენერჯის მიმართულების პროექტების მხარდაჭერა.
 პროგრამის ამოცანას წარმოადგენს საოჯახო მეურნეობების, სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებების, მეწარმე იურიდიული და ფიზიკური პირების, არსებული და ახალი საწარმოების მხარდაჭერის გზით დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა.

სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის ღონისძიების ფარგლებში იგეგმება სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა - რეალიზაციის მიმართულების სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების მიერ შემუშავებული პროექტების / განაცხადების თანადაფინანსება (სუბსიდირება).

პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარი შეარჩევს პროექტით / განაცხადით გათვალისწინებული საქონლის / მომსახურების მიმწოდებელს, ვისგანაც განახორციელებს საქონლის / მომსახურების შესყიდვას, ხოლო ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტებისა და პროგრამის / ღონისძიების განხორციელების წესის საფუძველზე გაფორმებული სამხრივი ხელშეკრულებით (ბენეფიციარი, მიმწოდებელი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიმწოდებელთან განახორციელებს შესაბამის ანგარიშსწორებას. პროგრამის ფარგლებში სამინისტროს თანადაფინანსება შეადგენს პროექტის / განაცხადისა და შესასყიდი საქონლის / მომსახურების ღირებულების - არაუმეტეს 70%, ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა - არანაკლებ 30%.

ამასთან, სამინისტროს თანადაფინანსების (სუბსიდირების) თანხა პროექტით / განაცხადით განსაზღვრულ ცალკეულ საქონელზე / მომსახურებაზე არ უნდა აღემატებოდეს ღონისძიების განხორციელების წესის შესაბამისად განსაზღვრულ ზღვრულ ოდენობებს, როგორც ერთეულ პროექტზე, ასევე ერთეულ საქონელზე / მომსახურებაზე, გარდა მრავალწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების ბაღების გაშენებისა (ნერგი, წვეთოვანი მორწყვის სისტემა, აგროქსოვილი და ა.შ.) და მცირეფასიანი სამეურნეო საქონლისა (რომელთა დასახელება განისაზღვრება სამინისტროს მიერ დამტკიცებული ღონისძიების განხორციელების წესით) შეადგენს - არანაკლებ 500.0 ლარს და არაუმეტეს 20,000.0 ლარს.

სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების მიერ მრავალწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების ბაღების კომპონენტში ერთი პროექტის ფარგლებში დაფინანსდება (მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წლის პროგრამის "0716 სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა" ღონისძიების "სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა" ფარგლებში მრავალწლოვანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების მოწყობის კომპონენტში შერჩეული ბენეფიციარები) სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული ბენეფიციარის საკუთრებაში / თანასაკუთრებაში / სარგებლობაში - 0.1 - 1 ჰა სასოფლო - სამეურნეო მიწის ფართობზე არსებული ან/და ახალი სასოფლო - სამეურნეო ბაღის მოწყობა. ამასთან, ბენეფიციარის მიწის ფართობის სარგებლობის დარჩენილი ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 წელს პროექტის / განაცხადის წარმოდგენის დღისათვის. მრავალწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების ბაღების გაშენებისათვის საჭირო ნერგის შესყიდვა უნდა განხორციელდეს ა(ა)იპ "სოფლის განვითარების სააგენტო"-ს სახელმწიფო პროგრამის "დანერგე მომავალი" ფარგლებში შერჩეული ადგილობრივი კვალიფიციური სანერგე მეურნეობებისგან ან მათი იმპორტირებით.

სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიების ფარგლებში, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით თანადაფინანსდება, როგორც ახალი ასევე არსებული სამეწარმეო საქმიანობის გაფართოება / მოდერნიზება, მათ შორის თანადაფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 - 2025 წწ. პერიოდში პროგრამის "0716 სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა" ღონისძიებისა "სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა" და ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს 2022 წლის პროგრამის "სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა" ფარგლებში შერჩეული და გამარჯვებულად გამოვლენილი პროექტები, ამავე პროგრამისა და თანადაფინანსების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადების თანადაფინანსების თანხა შეადგენს - 20,000.0 ლარზე მეტს და არაუმეტეს 100,000.0 ლარს, ამასთან სამინისტროს თანადაფინანსება შეადგენს პროექტის ღირებულების - არაუმეტეს 70%, ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა - არანაკლებ 30%, ასევე წარმოდგენილი პროექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს - 1,500,000.0 ლარს.

წარმოდგენილი პროექტ(ებ)ის განხორციელების ეტაპებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე შესაძლებელია თანადაფინანსება განხორციელდეს ასევე, სამინისტროს მომდევნო წლების ანალოგიური პროგრამის ასიგნების ფარგლებში.

პროგრამის განხორციელების პროცედურები, დამატებითი პირობები და ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები განისაზღვრება პროგრამის განხორციელების წესით, რომელსაც შეიმუშავენ და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა:

დასახელება		პროდუქტები			
		ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის საშ. ფასი	სულ (ლარი)
მუშა - მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (12 ადამიანი)	პროგრამის კოორდინატორი	თვე	12	15 768	189 216
	პროგრამის სპეციალისტი	თვე	12	15 300	183 600
სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა	პროექტის დაფინანსება (არანაკლებ)	პროექტი	2500	1 680.00	4 200 000
სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა	პროექტის დაფინანსება (არანაკლებ)	პროექტი	3	100 000.00	300 000
ფუნქციონირების / ადმინისტრირების ხარჯი		თვე	12	1 250	15 000
სულ პროგრამის ბიუჯეტი:					4 887 816

პროგრამის განხორციელების დროითი გეგმა:

დასახელება:	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
პროგრამის განხორციელების წესის შემუშავება და შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემა	X	X	X	X
შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება	X	X	X	X
განაცხადების მიღება, ბენეფიციართა შერჩევა და პროექტების თანადაფინანსება	X	X	X	X

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

<p>სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსებულია - 3,800.0 პროექტი / განაცხადი.</p> <p>სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით დაფინანსებაზე შერჩეულია 6 პროექტი.</p> <p>სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების მცირეფასიანი სამეურნეო საქონლით უზრუნველყოფის მიზნით დაფინანსებულია - 400 განაცხადი.</p>

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი:

<p>სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსებული - არანაკლებ 2500 პროექტი / განაცხადი.</p> <p>სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით დაფინანსებული - არანაკლებ 3 პროექტი.</p>

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

<p>ფინანსებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, თანამედროვე საწარმოო საშუალებებით ფუნქციონირებადი სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებები და საოჯახო მეურნეობები, შექმნილი ახალი, გაფართოებული და გადაიარაღებული არსებული საწარმოები.</p>

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	სიხშირე
	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი				
სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით დაფინანსებული პროექტები (არანაკლებ)	2500	350	350	350	პროექტი	აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	წლის განმავლობაში ორჯერ
სოფლად მეწარმეობის მიმართულებით დაფინანსებული პროექტები (არანაკლებ)	3	25	25	25	პროექტი			

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0707

პროგრამის დასახელება:

აგროსერვისის განვითარება რეგიონში

პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	20 065 404	5 072 976	4 997 476	4 997 476	4 997 476
სულ ბიუჯეტი:	20 065 404	5 072 976	4 997 476	4 997 476	4 997 476

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025 - 2028 წლები

პროგრამის მიზანი:

* ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს ადმინისტრაციული აპარატის მოქნილი და მაღალეფექტური მართვის სისტემის უზრუნველყოფა;
 * ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება;
 * სოფლისა და სოფლის მეურნეობის სერვისების განვითარების ხელშეწყობა;
 * აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სანერგე, საჩითილე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა;
 * აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ მიწათმოსარგებლეთა სასოფლო - სამეურნეო კულტურების მოვლა - მოყვანის უზრუნველყოფისთვის სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დამუშავების მიზნით სასოფლო - სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
 * მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა, მესაქონლეობაში ჯიშთგანახლებისა და პროდუქტიულობის ზრდის გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა:

ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს ძირითად საქმიანობებს - ციტრუსოვანთა, ვაზის, ხეხილ - კენკროვანთა სადემონსტრაციო - საკოლექციო, სანერგე, სასათბურე მეურნეობების, მეცხოველეობის მიმართულებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებისა და ჯიშთგანახლების მიზნით ჩატარებული ხელოვნური განაყოფიერებისა და მეფუტკრეობის განვითარების მიზნით გაწეული მომსახურებები წარმოადგენს. ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ის მიერ პროგრამის ფარგლებში ასევე, განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები მოსახლეობის საკუთრებაში / სარგებლობაში არსებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ დამუშავება. ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი" კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის დარგში საერთაშორისო გამოცდილებისა და მეცნიერული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვასა და სტუდენტ - კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის ამაღლებას. ასევე, უზრუნველყოფს პერსპექტიული სასოფლო - სამეურნეო კულტურების სარგავი მასალების წარმოებისთვის საჭირო საკოლექციო, სადედე და სანერგე მეურნეობების მართვას.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მართვა	3 931 604	1 039 526	964 026	964 026	964 026

ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოება	8 136 920	2 034 230	2 034 230	2 034 230	2 034 230
აგრო - მომსახურების განვითარების ხელშეწყობა	6 088 240	1 522 060	1 522 060	1 522 060	1 522 060
მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა	1 908 640	477 160	477 160	477 160	477 160
სულ პროგრამა	20 065 404	5 072 976	4 997 476	4 997 476	4 997 476

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

<p>ქვეპროგრამის ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოების მიმართულებით, 41,6 ჰა ფართობზე გაშენებულ სადემონსტრაციო ნაკვეთებზე განხორციელდა შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებები. ამასთან, ქვეპროგრამის ფარგლებში წარმოებულა:</p> <ul style="list-style-type: none"> * ციტრუსოვანების - 22,500.0 ცალი სხვადასხვა ჯიშის ახალი ნამყენი ნერგი; * ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში - 1,400.0 ცალი ხეხილის ნამყენი ნერგი; * ჩაქვის ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობაში - 15,000.0 ცალი ციტრუსის ერთწლიანი ნერგი; * ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში - 10,000.0 ცალი ვაზის ნერგი; * გვარა - ხუცუბნის სანერგე მეურნეობაში კენკროვანების (ჟოლო, მაცვალი, მარწყვი, ხურტკმელი, მოცხარი) - 1,000.0 ნერგი; * ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში დასამყნობად მომზადდა ერთწლიანი სხვადასხვა სახის ხეხილის - 3,000.0 ნერგი; * საჩითილე მეურნეობაში - 270,000.0 ერთეული სხვადასხვა სახის ბოსტნეულის ჩითილი; * აგროვალების შესაბამისად მიღებულია ციტრუსის - 5,000.0 კგ., ყურძნის - 6,000.0 კგ. და სხვადასხვა სახის ხეხილის - 1,000.0 კგ. ნაყოფი; <p>უვირუსო სარგავი მასალის წარმოების მიზნით, ჩაქვის ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ სათბურ - იზოლატორში გაადგილებულია - 700 ერთეული სადედე მცენარე.</p>
<p>ქვეპროგრამის "აგრო - მომსახურების განვითარების ხელშეწყობა" ფარგლებში განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები მოსახლეობის საკუთრებაში / სარგებლობაში არსებული - 2,170.0 ჰა სახნავ - სათესი ნაკვეთების უსასყიდლოდ დამუშავება. კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> * ქობულეთის, ქ. ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - 1,370.0 ჰა ნაკვეთების დახვნა, დადისკვა, დაფარცხვა; * ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტი - 800 ჰა ნაკვეთების პირველადი დამუშავება, კერძოდ: 400 ჰა დაუხნავი ნაკვეთების დაფრეზვა და 400 ჰა-ს დაიხნა, საიდანაც 150 ჰა-ს დაფრეზვა და 250 ჰა-ს დაფარცხვა განხორციელდა.
<p>ქვეპროგრამის "მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა" ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეფუტკრეებს თანადაფინანსებით გადაეცათ 2,000.0 ერთეული დადან - ბლატის ტიპის 10 ჩარჩოიანი სკების კომპლექტი.</p>
<p>სადედე - სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობების შემდგომი განვითარებისა და მოდერნიზების მიზნით, დაინერგა თანამედროვე ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკულ მიღწევებზე ორიენტირებული ტექნოლოგიები და მართვის სისტემები. სათბურ - იზოლატორში სარგავი მასალის წარმოების მიზნით გაადგილებულ იქნა უვირუსო სადედე მცენარეები. აგრარული მიმართულების სტუდენტ - კურსდამთავრებულთა სტაჟირება ფარგლებში 8 სტუდენტ - კურსდამთავრებულმა გაიარა ანაზღაურებადი სტაჟირება. თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით განხორციელდა აგროტური - საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამეცნიერო / ექსპერიმენტული / სადემონსტრაციო კერძო მეურნეობებში და შესაბამისი პროფილის ლაბორატორიებში, სადაც მოხდა თანამედროვე სამეცნიერო - პრაქტიკული მიღწევების და ადგილობრივი გამოცდილების გაცნობა, გაზიარება სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების შესაბამისად.</p>

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

ქვეპროგრამის ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოების მიმართულებით, 41,6 ჰა ფართობზე გაშენებულ სადემონსტრაციო ნაკვეთებზე განხორციელდება შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებები. ამასთან, ქვეპროგრამის ფარგლებში წარმოებული იქნება:

- * ციტრუსოვანების - 22,500.0 ცალი სხვადასხვა ჯიშის ახალი ნამყენი ნერგი;
- * ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში - 3,900.0 ცალი ხეხილის ნამყენი ნერგი;
- * ჩაქვის ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობაში - 15,000.0 ცალი ციტრუსის ერთწლიანი ნერგი;
- * ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში - 11,000.0 ცალი ვაზის ნერგი;
- * გვარა - ხუცუბნის სანერგე მეურნეობაში კენკროვანების (ჟოლო, მავვალი, მარწყვი, ხურტკმელი, მოცხარი) - 1,000.0 ნერგი;
- * ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში დასამყნობად მომზადდება ერთწლიანი სხვადასხვა სახის ხეხილის - 3,000.0 ნერგი;
- * საჩითილე მეურნეობაში - 255,000.0 ერთეული სხვადასხვა სახის ბოსტნეულის ჩითილი;
- * აგროვადების შესაბამისად მიღებული იქნება ციტრუსის - 5,000.0 კგ., ყურძნის - 6,000.0 კგ. და სხვადასხვა სახის ხეხილის - 1,000.0 კგ. ნაყოფი.

სადედე - სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობების შემდგომი განვითარებისა და მოდერნიზების მიზნით, დაინერგება თანამედროვე ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკულ მიღწევებზე ორიენტირებული ტექნოლოგიები და მართვის სისტემები. სათბურ - იზოლატორში სარგავი მასალის წარმოების მიზნით გაადგილებულ იქნება უვირუსო სადედე მცენარეები. აგრარული მიმართულების სტუდენტ - კურსდამთავრებულთა სტაჟირების ფარგლებში 8 სტუდენტ - კურსდამთავრებული გაივლის ანაზღაურებად სტაჟირებას. თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით განხორციელდება აგროტური - საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამეცნიერო / ექსპერიმენტული / სადემონსტრაციო კერძო მეურნეობებში და შესაბამისი პროფილის ლაბორატორიებში, სადაც მოხდება თანამედროვე სამეცნიერო - პრაქტიკული მიღწევებისა და ადგილობრივი გამოცდილების გაცნობა, გაზიარება სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების შესაბამისად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსახლეობის საკუთრებაში / სარგებლობაში არსებული სახნავ - სათესი 2438 ჰა ნაკვეთები უსასყიდლოდ დამუშავდება.

ქვეპროგრამის "მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა" ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეფუტკრეებს თანადაფინანსებით გადაეცემათ არანაკლებ - 2,000.0 ერთეული დადან - ბლატის ტიპის 10 ჩარჩოიანი სკების კომპლექტი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს პროგრამის "აგროსერვისის განვითარება რეგიონში" ფარგლებში, ცენტრის სარგებლობაში არსებულ ციტრუსოვანთა, ვაზის, ხეხილ - კენკროვანთა სადემონსტრაციო - საკოლექციო, სანერგე, სასათბურე მეურნეობებში განხორციელდება შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებები სულ - 41.6 ჰა ფართობზე, რის შედეგადაც წარმოებული იქნება:

- * ციტრუსის, ვაზის, ხეხილისა და კენკროვანების ნერგები;
- * ციტრუსის, ვაზისა და ხეხილის მოსავალი;
- * ბოსტნეულის სხვადასხვა სახის ჩითილები.

ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში დამუშავდება სახნავ - სათესი მიწის ნაკვეთები;

მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობის, თაფლისა და მეფუტკრეობის სხვადასხვა პროდუქტების წარმოების ხარისხისა და რაოდენობის ზრდის მიზნით, თანადაფინანსების გზით ხელი შეეწყობა საფუტკრე მეურნეობებში მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას;

აგრარული მიმართულების სტუდენტ - კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, განხორციელდება ფასიანი სტაჟირება;

ასევე, აგრარული მიმართულების სტუდენტ(ებ)ის, კურსდამთავრებულ(ებ)ისა და ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს თანამშრომლებისათვის ჩატარდება აგროტური.

პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო)	მოგროვების მეთოდი
	დასახელება	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	გაზომვის ერთეული			
ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოება	წარმოებული ნერგი	30 000	30 000	30 000	30 000	ცალი	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი	მონიტორინგი და კორექსიონდენციები
	წარმოებული ნამყენი ნერგი	26 400	26 400	26 400	26 400	ცალი			
	მიღებული მოსავალი	12 000	12 000	12 000	12 000	კგ			
	საჩითილე მეურნეობაში წარმოებული ჩითილი (არანაკლებ)	255 000	255 000	255 000	255 000	ცალი			
აგრო - მომსახურების განვითარება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსახლეობის საკუთრებაში / სარგებლობაში არსებული სახნავ - სათესი ნაკვეთების უსასყიდლოდ დამუშავება.	2 438	2 438	2 438	2 438	ჰა	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი	მონიტორინგი და კორექსიონდენციები
მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეფუტკრეობის დადან - ბლატის ტიპის 10 ჩარჩოიანი სკების კომპლექტით უზრუნველყოფა	2 000	2 000	2 000	2 000	სკა			
კვალიფიკაცია ამაღლებული აგრარული მიმართულების სტუდენტები და კურსდამთავრებულები	სტუდენტების და კურსდამთავრებულების სტაჟირება	8	8	8	8	სტუდენტ - კურსდამთავრებული			
განხორციელებული აგროტური	აგრარული მიმართულების სტუდენტ(ებ)ის, კურსდამთავრებულ(ებ)ისა და ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს თანამშრომლების აგროტური	1	1	1	1	აგროტურის მომსახურება			

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აგროსერვისის განვითარება რეგიონში

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

070714

ქვეპროგრამის დასახელება:

ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2 034 230
სულ ბიუჯეტი:	2 034 230

ქვეპროგრამის მიზანი:

<p>* აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამეცნიერო პრაქტიკულ რეკომენდაციებზე დაფუძნებული სანერგე და სადედე - სადემონსტრაციო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა;</p> <p>* ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს სადედე - სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობების მოვლა და სტანდარტული სარგავი მასალის წარმოება;</p> <p>* სათბურ - იზოლატორში უვირუსო სარგავი მასალის წარმოების მიზნით სადედე მცენარეების მოვლა პატრონობა;</p> <p>* აგრარული მიმართულების სტუდენტ(ებ)ისა და კურსდამთავრებულ(ებ)ის პრაქტიკული უნარ - ჩვევებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლების ხელშეწყობა.</p>

ქვეპროგრამის აღწერა:

<p>რეგიონის მემცენარეობის დარგში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა კვალიფიციურად წარმოებული სარგავი მასალის მოსახლეობის უზრუნველყოფისა და ხელმისაწვდომობის ამაღლებას ენიჭება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს სადედე - სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობებში ჩატარდება შესაბამისი აგრო - ტექნიკური სამუშაოები. შეძენილ იქნება სხვადასხვა ჯიშის ხეხილის საძირეები. დაიმყნობა ხეხილისა და ციტრუსის სხვადასხვა სახეობის ნერგები. წარმოებული იქნება ხეხილისა და ციტრუსის ნერგები.</p> <p>მაღალმთიან აჭარაში თანამედროვე ტექნოლოგიებით მოწყობილ სანერგე და საჩითილე მეურნეობების მიერ განხორციელდება თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმოებული სარგავი და საჩითილე მასალების მოსახლეობაზე მიწოდება.</p> <p>ასევე, სანერგე მეურნეობების თანამედროვე, ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული მიღწევების დანერგვის, შემდგომი განვითარებისა და მოდერნიზაციის მიზნით ჩატარდება შესაბამისი სამეცნიერო ღონისძიებები და მომზადდება მეცნიერული რეკომენდაციები და ანგარიშები.</p> <p>სათბურ - იზოლატორში გაადგილებულ იქნება ფიტოსანიტარიულად სუფთა სადედე მცენარეები, რომლისგანაც შესაძლებელი იქნება მავნებელ - დაავადებებისგან თავისუფალი გასამრავლებელი მასალის წარმოება.</p> <p>ამასთან, საჭიროების შემთხვევაში წარმოებული ნერგების, ჩითილებისა და მიღებული მოსავლის განკარგვა (უსასყიდლოდ გადაცემა განხორციელდება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები მოსახლეობისათვის) განხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 4 აგვისტოს №14 დადგენილების შესაბამისად.</p>
--

ამასთან, ქვეპროგრამის ფარგლებში 6 თვის განმავლობაში განხორციელდება 8 აგრარული მიმართულების სტუდენტ - კურსდამთავრებულთა სტაჟირება შესაბამისი ანაზღაურებით, რაც თითოეულ სტუდენტს და დარგის სპეციალისტს გაუჩენს მოტივაციას საფუძვლიანად დაეუფლონ პრაქტიკულ სასოფლო - სამეურნეო საქმის ორგანიზაციულ მიდგომებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ანაზღაურებადი სტაჟირების და შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობის გავლის შედეგად მოხდება უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტ(ებ)ის და კურსდამთავრებულ(ებ)ის კვალიფიკაციის დონის ამაღლება.

აღნიშნულ ქვეპროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, აკრედიტებული უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლის აგრარული მიმართულების სტუდენტი ან/და კურსდამთავრებული.

ქვეპროგრამის ფარგლებში თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით განხორციელდება შესაბამისი აგროტური საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამეცნიერო / ექსპერიმენტულ / სადემონსტრაციო ობიექტებში, ასევე კერძო მეურნეობებში და შესაბამისი პროფილის ლაბორატორიებში, სადაც მოხდება თანამედროვე სამეცნიერო - პრაქტიკული მიღწევების და ადგილობრივი გამოცდილების გაცნობა - გაზიარება სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების შესაბამისად, რომლებიც მნიშვნელოვანია აჭარის აგრარული სექტორისათვის.

დასახელება		პროდუქტები			
		ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სანერგე და საჩითილე მეურნეობების მოვლა და ადმინისტრირება	სანერგე და საჩითილე მეურნეობების შტატგარეშე მუშა - მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (79 კაცი)	თვე	12	92 500	1 110 000
	სანერგე და საჩითილე მეურნეობების ფუნქციონირების ხარჯები	თვე	12	45 602.67	547 232
აგრარული მიმართულების სტუდენტ(ებ)ისა და კურსდამთავრებულ(ებ)ის (არანაკლებ 8) სტაჟირება		თვე	6	5 600	33 600
აგრარული მიმართულების სტუდენტ(ებ)ის, კურსდამთავრებულ(ებ)ისა და ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს თანამშრომლების აგროტური		ქვეყნის შიგნით	1	4 500	4 500
სანერგე და საჩითილე მეურნეობებისთვის ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შესყიდვა	აგროქიმიკატების შესყიდვა	კგ/ლ	5 580	3	16 740
	პესტიციდების შესყიდვა	კგ/ლ	380	65	24 700
	ბიოპრეპარატების შესყიდვა	ლიტრი	70	15	1 050
	ციტრუსის და ხეხილის ნერგების წარმოებისთვის ქოთნების შესყიდვა	ცალი	40 000	1.20	48 000
	ვაზის ნერგების წარმოებისთვის ქოთნების შესყიდვა	ცალი	20 000	0.65	13 000
	ტორფის სუბსტრატის შესყიდვა	კბ.მ	330	248	81 708
	ბოსტნეულის თესლის შესყიდვა	ცალი	300 000	0.35	105 000
ტყემლის საძირის შესყიდვა		ცალი	3 500	0.50	1 750

ნერგის წარმოება	მსხლის საძირის შესყიდვა	ცალი	1 500	1.30	1 950
	ვაშლის საძირის შესყიდვა	ცალი	1 500	0.50	750
	ბალის საძირის შესყიდვა	ცალი	3 500	1.50	5 250
	ციტრუსის საძირის - ტრიფოლიატის შესყიდვა	ცალი	30 000	0.30	9 000
ჩაქვის ციტრუსოვანთა, გვარა - ხუცუბნის ვაზისა და ხეხილისა და შუახევის ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობების ლაბორატორიული კვლევა		მეურნეობა	3	10 000	30 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი					2 034 230

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა:

ღონისძიება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სანერგე და საჩითილე მეურნეობების შტატგარეშე მუშა - მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (79 კაცი)	X	X	X	X
სანერგე და საჩითილე მეურნეობების ფუნქციონირების ხარჯები	X	X	X	X
აგროქიმიკატების შესყიდვა	X	X		
პესტიციდების შესყიდვა	X	X		
ბიოპრეპარატების შესყიდვა	X	X		
ციტრუსის ნერგების წარმოებისთვის ქოთნების შესყიდვა	X	X		
ვაზის ნერგების წარმოებისთვის ქოთნების შესყიდვა	X	X		
ტორფის სუბსტრატის შესყიდვა	X	X		
ტყემლის საძირის შესყიდვა	X	X		
მსხლის საძირის შესყიდვა	X	X		
ვაშლის საძირის შესყიდვა	X	X		
ბალის საძირის შესყიდვა	X	X		
ციტრუსის საძირის - ტრიფოლიატის შესყიდვა	X	X		
ჩაქვის ციტრუსოვანთა, გვარა - ხუცუბნის ვაზისა და ხეხილის და შუახევის ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობების ლაბორატორიული კვლევა	X	X	X	
სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შერჩევა	X	X		
აგრარული მიმართულების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სტაჟირება	X	X	X	X
აგრარული მიმართულების სტუდენტ - კურსდამთავრებულთა აგროტურის მომსახურების შესყიდვა	X	X	X	X

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი:

ქვეპროგრამის ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოების მიმართულებით, 41,6 ჰა ფართობზე გაშენებულ სადემონსტრაციო ნაკვეთებზე განხორციელდება შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებები. ამასთან, ქვეპროგრამის ფარგლებში წარმოებული იქნება:

- * ციტრუსოვანების - 22,500.0 ცალი სხვადასხვა ჯიშის ახალი ნამყენი ნერგი;
- * ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში - 3,900.0 ცალი ხეხილის ნამყენი ნერგი;
- * ჩაქვის ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობაში - 15,000.0 ცალი ციტრუსის ერთწლიანი ნერგი;
- * ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში - 11,000.0 ცალი ვაზის ნერგი;
- * გვარა - ხუცუბნის სანერგე მეურნეობაში კენკროვანების (ყოლო, მაყვალი, მარწყვი, ხურტკმელი, მოცხარი) - 1,000.0 ნერგი;
- * ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში დასამყნობად მომზადდება ერთწლიანი სხვადასხვა სახის ხეხილის - 3,000.0 ნერგი;
- * საჩითილე მეურნეობაში - 255,000.0 ერთეული სხვადასხვა სახის ბოსტნეულის ჩითილი;
- * აგროვადების შესაბამისად მიღებული იქნება ციტრუსის - 5,000.0 კგ., ყურძნის - 6,000.0 კგ. და სხვადასხვა სახის ხეხილის - 1,000.0 კგ. ნაყოფი.

ანაზღაურებადი სტაჟირების გზით განხორციელდება აგრარული მიმართულების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვალიფიკაციის ამაღლება. ასევე, ჩატარდება თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით აგროტური - საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამეცნიერო / ექსპერიმენტული / სადემონსტრაციო, კერძო მეურნეობებში და შესაბამისი პროფილის ლაბორატორიებში, სადაც განხორციელდება თანამედროვე სამეცნიერო - პრაქტიკული მიღწევებისა და ადგილობრივი გამოცდილების გაცნობა, გაზიარება სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების მიხედვით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
წარმოებული ციტრუსის ახალი ნამყენი ნერგი	22 500	ცალი	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი	წელიწადში ერთხელ	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი	მონიტორინგი და კორესპოდენციები
წარმოებული ხეხილის ახალი ნამყენი	3 900	ცალი				
წარმოებული ციტრუსის ერთწლიანი ნერგი	15 000	ცალი				
წარმოებული ხეხილის ერთწლიანი ნერგი	3 000	ცალი				
წარმოებული კენკროვნების ნერგი	1 000	ცალი				
წარმოებული ვაზის ნერგი	11 000	ცალი				
მიღებული ციტრუსის მოსავალი	5 000	კგ				
მიღებული ყურძენის მოსავალი	6 000	კგ				
მიღებული ხეხილის მოსავალი	1 000	კგ				
საჩიბილე მურნეობაში წარმოებული ჩიბილი (არანაკლებ)	255 000	ცალი				
სტაჟირება გავლილი, კვალიფიკაცია ამაღლებული აგრარული მიმართულების სტუდენტები და კურსდამთავრებულები	8	სტუდენტ - კურსდამთავრებული				
განხორციელებული აგროტური	1	აგროტური				

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აგროსერვისის განვითარება რეგიონში

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

070713

ქვეპროგრამის დასახელება:

აგრო-მომსახურების განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ტყის დაცვა და მოვლა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

07120302

ქვეპროგრამის დასახელება:

სანიტარული ჭრა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	518 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი:	518 000

ქვეპროგრამის მიზანი:

მაკონტროლებით დაავადებულ ნაძვნარებში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის აღწერა:

სანიტარული ჭრების განხორციელება. კერძოდ, დაავადებული ხეების მოჭრა, დამუშავება, ჯირკვლის გაქერქვა, მერქნის, ტოტებისა და ქერქის ტყიდან გამოტანა. გამოტანილი ხე-ტყის გაქერქვა და დასაწყობება. ხოლო, იქ საიდანაც, შეუძლებელია დაავადებული ხე-ტყის გამოტანა, განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები - მოჭრა, გაქერქვა, დამუშავება და ადგილზე დატოვება.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ტყის დაავადებულ უბნებში სანიტარული ჭრების განხორციელება	4000 კბ	129.50	518 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			518 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა:

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ტყის დაავადებულ უბნებში სანიტარული ჭრების განხორციელება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი:

ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება	მოცემულ საანგარიშო პერიოდში დაავადებულ ტყის უბნებში სანიტარული ჭრების განხორციელება - 4000 კბ.მ. (ტყის გაჯანსაღება)	კბ.მ.	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	წელიწადში 2-ჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	მონიტორინგი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ტყის მდგრადი მართვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

071204

პროგრამის დასახელება:

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება	147 200	36 800	36 800	36 800	36 800
სულ პროგრამის ბიუჯეტი:	147 200	36 800	36 800	36 800	36 800

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

ტყის რესურსებით სარგებლობისა და სატყეო სექტორის მართვის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

პროგრამის აღწერა:

სტუდენტების, მოსწავლეებისა და მოსახლეობის ჩართვა სააგენტოს მიერ წარმართულ ტყის მოვლა-პატრონობის აქციებსა და ინიციატივებში, საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება, ცნობიერების ამაღლებისათვის სატელევიზიო ვიდეო რგოლების მომზადება. სტუდენტების და კურსდამთავრებულების სტაჟირება.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ქვეპროგრამა 1: სატყეო სექტორში ცნობიერების ამაღლება	80 000	20 000	20 000	20 000	20 000
	67 200	16 800	16 800	16 800	16 800
სულ პროგრამის ბიუჯეტი	147 200	36 800	36 800	36 800	36 800

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

სატყეო სექტორში ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებულია 12 ღონისძიება; კვალიფიკაცია ამაღლებული და სტაჟირება გავლილი აქვს 4 სტუდენტ - კურსდამთავრებულს.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები :

ტყის რესურსებით სარგებლობისა და სატყეო სექტორის მართვის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. სტაჟირება გავლილი, კვალიფიკაცია ამაღლებული სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი:

ტყის რესურსებით სარგებლობისა და სატყეო სექტორის მართვის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. სტაჟირება გავლილი, კვალიფიკაცია ამაღლებული სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი				
ტყის რესურსებით სარგებლობისა და სატყეო სექტორის მართვის საკითხებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება	სატყეო სექტორში ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები	12	12	12	12	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	მონიტორინგი
კვალიფიკაცია ამაღლებული სტუდენტები და კურსდამთავრებულები	სტუდენტების და კურსდამთავრებულების სტაჟირება	4	4	4	4	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:
07120401

ქვეპროგრამის დასახელება:

სატყეო სექტორში ცნობიერების ამაღლება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება	36 800
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი:	36 800

ქვეპროგრამის მიზანი:

სატყეო სექტორში ცნობიერების ამაღლება

ქვეპროგრამის აღწერა:

სტუდენტების, მოსწავლეებისა და მოსახლეობის ჩართვა სააგენტოს მიერ წარმართულ ტყის მოვლა-პატრონობის აქციებსა და ინიციატივებში, საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება, ცნობიერების ამაღლებისათვის სატელევიზიო ვიდეო რგოლის მომზადება. სტუდენტების და კურსდამთავრებულების სტაჟირება

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სტუდენტების, მოსწავლეებისა და მოსახლეობის ჩართვა სააგენტოს მიერ წარმართულ ტყის მოვლა-პატრონობის აქციებსა და ინიციატივებში	12	800	9 600
საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება	1 100	3	3 300
ცნობიერების ამაღლებისათვის სატელევიზიო ვიდეო რგოლის მომზადება	1	7 100	7 100
სტუდენტების და კურსდამთავრებულების სტაჟირება	4	700	16 800
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			36 800

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა:

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სტუდენტების, მოსწავლეებისა და მოსახლეობის ჩართვა სააგენტოს მიერ წარმართულ ტყის მოვლა-პატრონობის აქციებსა და ინიციატივებში	x	x	x	x
საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება	x	x	x	x
ცნობიერების ამაღლებისათვის სატელევიზიო ვიდეო რგოლის მომზადება			x	x

სტუდენტების და კურსდამთავრებულების სტაჟირება		x	x	x
---	--	---	---	---

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი:

სატყეო სექტორთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩატარება. სტაჟირება გავლილი, კვალიფიკაცია
ამაღლებული სტუდენტები და კურსდამთავრებულები

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სატყეო სექტორთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩატარება.	12 ორგანიზებული ღონისძიებები	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	წლის განმავლობაში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	მონიტორინგი
სტაჟირება გავლილი, კვალიფიკაცია ამაღლებული სტუდენტები და კურსდამთავრებულები	4	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	წლის განმავლობაში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	მონიტორინგი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ტყის მდგრადი მართვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

071205

პროგრამის დასახელება:

ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება	33 194 786	8 117 510	8 448 483	8 292 963	8 335 830
სულ პროგრამის ბიუჯეტი:	33 194 786	8 117 510	8 448 483	8 292 963	8 335 830

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

ორგანიზაციის მიერ დებულებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება.

პროგრამის აღწერა:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- მეტყევის სახლების მოწყობა;
- ორგანიზაციის მიერ დებულებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების და ამოცანების შესრულება.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ქვეპროგრამა 1: ორგანიზაციული მართვა	26 308 186	6 395 860	6 726 833	6 571 313	6 614 180
ქვეპროგრამა 2: სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა	6 886 600	1 721 650	1 721 650	1 721 650	1 721 650
სულ პროგრამის ბიუჯეტი	33 194 786	8 117 510	8 448 483	8 292 963	8 335 830

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

გაყვანილია 25 კმ სატყეო სამეურნეო დანიშნულების გზა;
რეაბილიტირებულია 100 კმ სატყეო სამეურნეო დანიშნულების არსებული (ძველი) გზა;
მოწყობილია მეტყევის 1 სახლი;
დაპროექტებული და აშენებულია 4 სამანქანე ხიდი, 3 გზა და წყალგამტარი ღარი.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

ტყევის მდგრადობის გაუმჯობესება და მოსახლეობის სოციალური მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით ტყეთმოსწობით გათვალისწინებულ უბნებში სატყეო სამეურნეო გზების მოწყობა და არსებულის შეკეთება.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი:

- გაყვანილი სატყეო-სამეურნეო დანიშნულების გზები;
- მოსახლეობისათვის საშუა და სამასალე მერქნის ეფექტური მიწოდების უზრუნველყოფა;
- ტყის მაღალი ხარისხით დაცვა ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები:

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი				
<p>გაყვანილი სატყეო-სამეურნეო დანიშნულების გზები; მოსახლეობისათვის საშეშე და სამასალე მერქნის ეფექტური მიწოდების უზრუნველყოფა; ტყის მაღალი ხარისხით დაცვა ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან.</p>	სატყეო სამეურნეო დანიშნულების გზების გაყვანა	არანაკლებ 25	არანაკლებ 25	არანაკლებ 25	არანაკლებ 25	კმ.	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	მონიტორინგი
	სატყეო სამეურნეო დანიშნულების არსებული (ძველი) გზების რეაბილიტაცია	არანაკლებ 100	არანაკლებ 100	არანაკლებ 100	არანაკლებ 100	კმ.	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	მონიტორინგი
	მოწყობილი მეტყევის სახლების (კორდონების) რაოდენობა	1	1	1	1	ცალი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

07120502

ქვეპროგრამის დასახელება:

სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება	1 721 650
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი:	1 721 650

ქვეპროგრამის მიზანი:

სატყეო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის აღწერა:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, მეტყევის სახლების მოწყობა,

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საგზაო და სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება	არანაკლებ 25 კმ. ახალი გზის გაყვანა / 100 კმ. ძველი გზის რეაბილიტაცია	31,98/4,30	1 230 000
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება (სპეც-ტექნიკის (ავტომობილი) მძღოლი - 4 ერთეული; ბულდოზერის მექანიზატორი - 7 ერთეული; ექსკავატორ-დამტვირთველის ოპერატორი 7 ერთეული; "ბელარუსი"-ს მექანიზატორი - 3 ერთეული; ბულდოზერის მექანიზატორების დამხმარე - 5 ერთეული)	26	16 986.54	441 650
მეტყევის სახლების მოწყობა	1	50 000	50 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1 721 650

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა:

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საგზაო და სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება	x	x	x	x
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება (მძიმე ტექნიკის მძღოლები - 24 ერთეული, მძღოლების დამხმარე - 5 ერთეული)	x	x	x	x
მეტყევის სახლების მოწყობა	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი:

ახალი ფუნქციონალური დატვირთვის შესაბამისად ორგანიზაციის მატერიალურ - ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ახალი ფუნქციონალური დატვირთვის შესაბამისად ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება	წლის განმავლობაში აშენებული ახალი სატყეო-სამეურნეო გზების სიგრძე - არანაკლებ 25 კმ.	კმ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	წელიწადში 1-ჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	მონიტორინგი
	წლის განმავლობაში რეაბილიტირებული ძველი სატყეო-სამეურნეო გზების სიგრძე - არანაკლებ 100 კმ.	კმ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	წელიწადში 1-ჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	მონიტორინგი
	მოწყობილი მეტყევის სახლების (კორდონების) რაოდენობა - 1 ცალი	ცალი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	წელიწადში 1-ჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	მონიტორინგი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ტყის მდგრადი მართვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

071208

პროგრამის დასახელება:

ტყის ფონდის ინვენტარიზაცია (ტყეთმომწეობა)

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2 500 000	1 000 000	1 500 000		
სულ ბიუჯეტი:	2 500 000	1 000 000	1 500 000		

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2025-2026 წლები

პროგრამის მიზანი:

ტყის ფონდის ინვენტარიზაცია; ტყის რესურსების მართვის, გამოყენების და აღდგენის სფეროს ინფორმაციული უზრუნველყოფა; ტყითსარგებლობის ეფექტური ორგანიზების მიზნით მონაცემთა ბაზის შექმნა; ტყის ფონდის დაცვის, განახლებისა და მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტყის ფონდის ტერიტორიების ტოპოგრაფიული რუკების, ფოტოგრაფიული სქემების, გეგმების მომზადება;
 ტყის კორომების დამახასიათებელი ნიშან-თვისებების დადგენა (წარმოშობა, ჯიშების შედგენილობა, ფორმა, სიხშირე, ასაკი, ტყის ტიპი, ბონიტეტი) და სხვადასხვა კატეგორიებად დაყოფა;
 ბუნებრივი და ანთროპოგენური პროცესებით გამოწვეული ტყის ცვლილებების ტენდენციის შეფასება.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა:

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ტყის ფონდის საზღვრების დადგენა, ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოებისა და სხვადასხვა კვლევების ჩატარება	150117 ჰა	6.661	1 000 000
სულ პროგრამის ბიუჯეტი:			1 000 000

პროგრამის განხორციელების დროითი გეგმა:

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ტყის ფონდის საზღვრების დადგენა, ტოპოგრაფიულ - გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოებისა და სხვადასხვა კვლევების ჩატარება	x	x	x	x

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

150117 ჰა ფართობზე, ჩატარდება ტყის ფონდის ინვენტარიზაცია

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი:

აჭარის ტერიტორიაზე ტყის ფონდის მდგომარეობისა და განვითარების მონაცემების, ტყის მასივების რაოდენობრივი და ხარისხობრივი დახასიათების, იდენტიფიცირებისა და კლასიფიცირების შესახებ პირველადი მასალების მიღება.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი				
აჭარის ტერიტორიაზე ტყის ფონდის მდგომარეობისა და განვითარების მონაცემების, ტყის მასივების რაოდენობრივი და ხარისხობრივი დახასიათების, იდენტიფიცირებისა და კლასიფიცირების შესახებ პირველადი მასალების მიღება.	ტყის ფონდის ინვენტარიზაცია ჩატარებულია - 150117 ჰა ფართობზე	ტყის ფონდის ინვენტარიზაცია ჩატარებულია - 150117 ჰა ფართობზე			ჰა	სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო	სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო	მონიტორინგი

მხარჯავი დაწესებულების პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები

პრიორიტეტის დასახელება

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წელი	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
08 01	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო	3 144 130	3 144 130	5 000 000	5 000 000	5 000 000
08 02	კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა	2 637 570	2 637 570	2 348 200	2 348 200	2 348 200
08 03	კულტურის ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა	267 910	267 910	250 000	250 000	250 000
08 04	ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა	608 440	608 440	610 000	610 000	610 000
08 05	კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	448 000	448 000	550 000	550 000	550 000
08 06	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია	8 539 440	8 539 440	9 070 000	9 070 000	9 070 000
08 07	მუზეუმებისა და გალერეების განვითარება	4 895 250	4 895 250	7 695 000	7 700 000	7 700 000
08 08	სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა	15 789 097	15 789 097	20 900 000	20 900 000	20 900 000
08 09	ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა	298 890	298 890	400 000	400 000	400 000
08 10	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	7 853 941	7 853 941	9 800 000	10 020 000	10 020 000
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		44 482 668	44 482 668	56 623 200	56 848 200	56 848 200

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 08 02

პროგრამის დასახელება:

კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	9 682 170	2 637 570	2 348 200	2 348 200	2 348 200
სულ ბიუჯეტი:	9 682 170	2 637 570	2 348 200	2 348 200	2 348 200

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების, შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობა და კულტურის პოპულარიზაცია.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება აქტივობები შემდეგი მიმართულებებით:

1. **პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება:** ითვალისწინებს საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების, კონცერტების, გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენებისა და კულტურის სხვა ღონისძიებების ორგანიზებას/ორგანიზების ხელშეწყობას. ასევე, კულტურის სფეროს წარმომადგენლების მხარდაჭერას;

2. **ახალი, ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობა:** რაც ითვალისწინებს თავისუფალი ხელოვნების ახალი იდეების, ინიციატივების და პროექტების მხარდაჭერას; სახვითი, გამოყენებითი, მულტიმედიური ხელოვნების ხელშეწყობას;

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება	8 322 170	2 297 570	2 008 200	2 008 200	2 008 200
ახალი ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობა	1 360 000	340 000	340 000	340 000	340 000
სულ პროგრამა	9 682 170	2 637 570	2 348 200	2 348 200	2 348 200

წინა წლის შედეგი, მ.შ გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა და ხორციელდება აქტივობები შემდეგი მიმართულებებით:

1. პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება: გაიმართა ფესტივალები, კონცერტები, გამოფენები და სხვა ღონისძიებები; უზრუნველყოფილი იქნება კულტურის სფეროს წარმომადგენლების მხარდაჭერა.
2. ახალი ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობა: განხორციელდა შემოქმედთა ახალი იდეების მხარდამჭერი საგრანტო კონკურსი და ამ ფორმატით დაფინანსდა არაერთი საინტერესო პროექტი. ჩატარდა ღონისძიებები სახვითი, გამოყენებითი, მულტიმედიური ხელოვნების მიმართულებით;

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება აქტივობები შემდეგი მიმართულებებით:

1. პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება: გაიმართება ფესტივალები, კონცერტები, გამოფენები და სხვა ღონისძიებები; უზრუნველყოფილი იქნება კულტურის სფეროს წარმომადგენლების მხარდაჭერა.
2. ახალი ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობა: განხორციელდება შემოქმედთა ახალი იდეების მხარდამჭერი საგრანტო კონკურსი და ამ ფორმატით დაფინანსდება არაერთი საინტერესო და ახალი პროექტი. ჩატარდება ღონისძიებები სახვითი, გამოყენებითი, მულტიმედიური ხელოვნების მიმართულებით;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგულარულად ხორციელდება კულტურის პროექტები; გაუმჯობესებულია კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობა;

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი					
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგულარულად ხორციელდება კულტურის პროექტები; გაუმჯობესებულია კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობა;	განხორციელებულია ხელოვნებისა და კულტურის პროექტები/დონისძიებები.	ხელოვნებისა და კულტურის საშუალოდ 53 პროექტი/დონისძიება	ხელოვნებისა და კულტურის საშუალოდ 53 პროექტი/დონისძიება	ხელოვნებისა და კულტურის საშუალოდ 53 პროექტი/დონისძიება	ხელოვნებისა და კულტურის საშუალოდ 53 პროექტი/დონისძიება	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო, კულტურის დეპარტამენტი; შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერის განყოფილება; მუნიციპალიტეტების კულტურის ორგანიზაციები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი; პროგრამული ანგარიში; განხორციელებული დონისძიების ამსახველი ვიზუალური მასალა

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

08 02 01

ქვეპროგრამის დასახელება:

პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2 297 570
სულ ბიუჯეტი:	2 297 570

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურის და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის გაზრდა, ეროვნული და საერთაშორისო ფესტივალების, კულტურის ღონისძიებების, სახელოვნებო პროექტებისა და კულტურის სფეროს სხვა აქტივობების, მათ შორის დიგიტალური და ინოვაციური პროექტების განხორციელების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, რეგიონის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა რეგიონში კულტურის ღონისძიებების, სახელოვნებო პროექტების განხორციელებას, უზრუნველყოფილი იქნება კულტურის სფეროს წარმომადგენლების მხარდაჭერა.

1. ხელოვნებისა და კულტურის ღონისძიებების ორგანიზება: ითვალისწინებს საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების, კონცერტების, გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენებისა და კულტურის სხვა ღონისძიებების ორგანიზებას/ორგანიზების ხელშეწყობას, კულტურის სხვადასხვა მიმართულებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლების საქმიანობის პოპულარიზაციას; საბავშვო ევროვიზიის მასპინძლობასთან დაკავშირებით ღონისძიების ორგანიზებას, დიგიტალური და მედია პროექტების განხორციელების ხელშეწყობას.

ახალგაზრდა ხელოვანთა ხელშეწყობა, მათი საქმიანობის და იდეების მხარდაჭერა, თემატური შეხვედრების და ტრენინგების მოწყობა.

- პროგრამის ფარგლებში ღონისძიებები დაფინანსდება საკონკურსო და არასაკონკურსო წესით (გრანტი, დაფინანსება/თანადაფინანსება, სახელმწიფო შესყიდვები), კონკურსის საფუძველზე გამოვლენილი გამარჯვებულები დაფინანსდებიან საგრანტო წესით.

საკონკურსო პირობები და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის ბრძანებით.

2. კულტურის სფეროს წარმომადგენლების მხარდაჭერა: ითვალისწინებს კულტურის სფეროს გამოჩენილი, დამსახურებული მოღვაწეების, მათ შორის იუბილარების მხარდაჭერას, მადლობის სიგელებისა და ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გადაცემას როგორც კულტურის მუშაკების, ასევე იმ პირებისთვის, რომლებმაც თავიანთი პროფესიული საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ან შეაქვთ კულტურის სხვადასხვა სფეროს განვითარებასა და პოპულარიზაციაში.

3. ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა: მოიცავს ქვეპროგრამის პოპულარიზაციისა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ (კონკურსები, პროექტები და სხვა) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა ღონისძიების გატარებას, როგორცაა: სააგენტოების საინფორმაციო მომსახურების შექმნა, საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება, ბეჭდური საინფორმაციო მასალის დამზადება, ბრენდირებული სასაჩუქრე პაკეტის მომზადება, ბრენდირებული საკანცელარიო მასალის დამზადება და სხვა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ხელოვნებისა და კულტურის ღონისძიებების ორგანიზება	30	74 219	2 226 570
კულტურის სფეროს წარმომადგენლების მხარდაჭერა	1	50 000	50 000
ქვეპროგრამის კოორდინატორი (12 თვე)	1	1 600	16 000
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა			5 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			2 297 570

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ხელოვნებისა და კულტურის ღონისძიებების ორგანიზება	X	X	X	X
კულტურის სფეროს წარმომადგენლების მხარდაჭერა	X	X	X	X
ქვეპროგრამის კოორდინატორი	X	X	X	X
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობა.
რეგულარულად ხორციელდება ხელოვნებისა და კულტურის პროექტები/ღონისძიებები.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>გაზრდილია კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობა. რეგულარულად ხორციელდება ხელოვნებისა და კულტურის პროექტები/ღონისძიებები.</p>	<p>ხელოვნებისა და კულტურის საშუალოდ 30 პროექტი/ღონისძიება</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი, შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერის განყოფილება; პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განმახორციელებელი იურიდიული და ფიზიკური პირები</p>	<p>წლის განმავლობაში</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო</p>	<p>მიღება-ჩაბარების აქტი; პროგრამული ანგარიში; განხორციელებული ღონისძიების ამსახველი ვიზუალური მასალა</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

08 02 02

ქვეპროგრამის დასახელება:

ახალი ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	340 000
სულ ბიუჯეტი:	340 000

ქვეპროგრამის მიზანი:

ხელოვნების თანამედროვე მიმართულებების განვითარების, თავისუფალი არტისტების იდეების მხარდაჭერა; ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ინოვაციური, კრეატიული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა; ხელოვნებისა და კულტურის პროექტების მეშვეობით საზოგადოებაში სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრება და კულტურის ღონისძიებებში საზოგადოების ჩართულობის ახალი შესაძლებლობების შექმნა;

ქვეპროგრამის აღწერა:

1.შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერა: ითვალისწინებს ხელოვნების ახალი მიმართულებების, შემოქმედთა იდეების მხარდაჭერას; ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ინოვაციური, კრეატიული პროექტების განხორციელების ხელშეწყობას; აქტუალური საკითხების კულტურისა და ხელოვნების გზით წარმოჩენას და საზოგადოებისთვის გაცნობას, ინკლუზიური ჯგუფებისთვის ხელოვნების ხელმისაწვდომობის გაზრდას. კულტურის თანამედროვე მიმართულებების, მათ შორის თეატრალური, სახვითი ხელოვნებისა და სხვა მიმართულებების პოპულარიზაციასა და მხარდაჭერას, დიგიტალური და მედია პროექტების განხორციელებას/განხორციელების ხელშეწყობას, აჭარის რეგიონში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას და კულტურის ღონისძიებებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის გაზრდას. გრანტის წესით დაფინანსდება ღია საგრანტო კონკურსის საფუძველზე გამოვლენილი გამარჯვებული პროექტები. საგრანტო კონკურსის პირობები, დაფინანსების ოდენობა და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის ბრძანებით.

2. სახვითი, გამოყენებითი და მულტიმედიური ხელოვნების ხელშეწყობა: ითვალისწინებს ბეჭდვითი, აუდიო-ვიზუალური მასალების მომზადება/გამოცემას, ასევე სახვითი, გამოყენებითი, მულტიმედიური ხელოვნების მხარდამჭერი სხვა აქტივობების განხორციელებას.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერა:	20	15 000	300 000
სახვითი, გამოყენებითი, მულტიმედიური ხელოვნების ხელშეწყობა	2	20 000	40 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			340 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერა:	X	X	X	X
სახვითი, გამოყენებითი, მულტიმედიური ხელოვნების ხელშეწყობა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

რეგიონში განვითარებულია კულტურის თანამედროვე მიმართულებები; განხორციელებულია შემოქმედებითი პროექტები.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>რეგიონში განვითარებულია კულტურის თანამედროვე მიმართულებები; განხორციელებულია შემოქმედებითი პროექტები;</p>	<p>რეგიონში განხორციელებულია საშუალოდ 22 პროექტი</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>აჭარის კულტურის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი; შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერის განყოფილება; პროექტის განმახორციელებელი იურიდიული ან/და ფიზიკური პირი</p>	<p>წლის განმავლობაში</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო</p>	<p>პროგრამული ანგარიში; მიღება-ჩაბარების აქტი; ღონისძიების ამსახველი ვიზუალური მასალა;</p>

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

08 03

პროგრამის დასახელება:

კულტურის ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1 017 910	267 910	250 000	250 000	250 000
სულ ბიუჯეტი:	1 017 910	267 910	250 000	250 000	250 000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული პროფესიული თეატრების ხელშეწყობა

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: პროგრამა ითვალისწინებს მაღალმთიან აჭარაში თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობას, რის ფარგლებშიც განხორციელდება სსიპ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის საქმიანობის მხარდაჭერა. თეატრის ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების გამოყოფა მოხდება სამინისტროსა და თეატრს შორის გაფორმებული თანადაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდება თეატრის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები, შრომის ანაზღაურების გარდა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სსიპ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ხელშეწყობა	1		237 910
პროგრამის კოორდინატორი	1	2 500	30 000
სულ პროგრამა			267 910

პროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სსიპ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ხელშეწყობა	X	X	X	X

პროგრამის მხარდაჭერის ხარჯი	X	X	X	X
-----------------------------	---	---	---	---

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

--

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

--

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ხელშეწყობილია მაღალმთიან აჭარაში თეატრალური ხელოვნების განვითარება

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი				
მაღალმთიან აჭარაში თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა	სსიპ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ხელშეწყობა	1	1	1	1	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები; სსიპ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	სსიპ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	ანგარიში

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

08 04

პროგრამის დასახელება:

ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2 438 440	608 440	610 000	610 000	610 000
სულ ბიუჯეტი:	2 438 440	608 440	610 000	610 000	610 000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2025-2028 წლები

პროგრამის მიზანი:

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა, მათ შორის შენარჩუნება და პოპულარიზაცია.

პროგრამის აღწერა:

საქართველოს სახელმწიფო კულტურის პოლიტიკის დოკუმენტი "კულტურის სტრატეგია 2025"-ს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N303 დადგენილებით, რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ შესახებ მიიღოს აუცილებელი ზომები, მის ტერიტორიაზე არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უზრუნველსაყოფად. აჭარის რეგიონი გამოირჩევა ფოლკლორის, არტეფაქტების, რეწვის ტრადიციების მრავალფეროვნებით, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა და მუდმივ განახლებას განიცდის გარემო პირობების, ისტორიის შესაბამისად. ამ თვითმყოფადი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება და პოპულარიზაცია ხელს უწყობს კულტურათა მრავალფეროვნებას.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

1. ფოლკლორის სხვადასხვა მიმართულებების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა: ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, კონცერტების, გასტროლების, აჭარის მუნიციპალიტეტებში სახალხო დღესასწაულების და სხვა ღონისძიებების ორგანიზება. ტრადიციული რეწვის ოსტატების პროდუქციის განვითარების/პოპულარიზაციის ხელშეწყობი ღონისძიებები. ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებული გრანპრის მფლობელი ანსამბლების (3 ანსამბლი) გასტროლის დაფინანსება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის ბრძანებით.

2. სასცენო სამოსით და აქსესუარებით და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა: ფოლკლორული ანსამბლების ხელშეწყობის, ავთენტური ქართული ნაციონალური სამოსის ტრადიციების შენარჩუნებისა და ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ესთეტიკის უკეთ წარმოჩენის და პოპულარიზაციის მიზნით, სასცენო სამოსი და აქსესუარები, ასევე მუსიკალური ინსტრუმენტები ანსამბლების ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, მუნიციპალიტეტების კულტურის ცენტრების მოთხოვნის საფუძველზე გადაეცემათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების კულტურის ცენტრებთან არსებულ და/ან სხვა ფოლკლორულ ანსამბლებს.

3. მასტერკლასები ხალხური ქორეოგრაფიის და სიმღერის მიმართულებით: რაც ითვალისწინებს ტრენინგებს/ვორკშოპებს ქორეოგრაფიისა და ლოტბარებისთვის, სკოლის გარეშე სახელოვნებო დაწესებულებებისთვის, უცხოეთში მოქმედი ქართული ანსამბლებისათვის. მასტერკლასების მიზანია ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის საშემსრულებლო ხელოვნების დახვეწა გამდიდრება, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილების ამაღლება, ავთენტური ტრადიციების დაცვა. პროექტი განხორციელდება სსიპ - ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან თანამშრომლობით.

4. აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა: ოლიმპიადის მიზანია ტრადიციული ხელოვნების, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის წარმოჩენა და პოპულარიზაცია ახალგაზრდა თაობაში. ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ხელშეწყობა. ოლიმპიადის საკონკურსო პირობები, შეფასების კრიტერიუმები და ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის ბრძანებით. ¶

5. ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებული ანსამბლების სასცენო სამოსით და აქსესუარებით უზრუნველყოფა: აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის კონკურსის შედეგად გამოვლენილი გრანპრის და პირველი ადგილის მფლობელ ანსამბლებს (არაუმეტეს 6 ანსამბლი) საჩუქრად გადაეცემათ სასცენო სამოსი და აქსესუარები.

6. პროგრამის მხარდაჭერის ხარჯი: მოიცავს პროგრამის პოპულარიზაციისა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ (ოლიმპიადა, ღონისძიებები და სხვა) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა ღონისძიების გატარებას, როგორცაა: სააგენტოების საინფორმაციო მომსახურების შეძენა, საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება, ბეჭდური საინფორმაციო მასალის დამზადება, ბრენდირებული სასაჩუქრე პაკეტის მომზადება, ბრენდირებული საკანცელარიო მასალის დამზადება და სხვა.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა:

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ფოლკლორის სხვადასხვა მიმართულებების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა (არანაკლებ 12 ღონისძიება)	12	28 990	347 880
სასცენო სამოსით და აქსესუარებით (არანაკლებ 5 ანსამბლისა) და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა	5	14 000	70 000
მასტერკლასები ხალხური ქორეოგრაფიის და სიმღერის მიმართულებით	1	5 220	5 220
აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა	1	55 000	55 000
ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებული ანსამბლების სასცენო სამოსით და აქსესუარებით უზრუნველყოფა (არაუმეტეს 6)	6	16 667	100 000
პროგრამის კოორდინატორი	1	1 700	20 400
პროგრამის მხარდაჭერის ხარჯი			9 940
სულ პროგრამა			608 440

პროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ფოლკლორის სხვადასხვა მიმართულებების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა	X	X	X	X
სასცენო სამოსით და აქსესუარებით (არანაკლებ 5) და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა	X	X	X	X
მასტერკლასები ხალხური ქორეოგრაფიის და სიმღერის მიმართულებით	X	X	X	X
აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა	X	X	X	
ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებული ანსამბლების სასცენო სამოსით და აქსესუარებით უზრუნველყოფა (არაუმეტეს 6)	X	X	X	X
პროგრამის კოორდინატორი	X	X	X	X
პროგრამის მხარდაჭერის ხარჯი	X	X	X	X

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2024 წელს პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- ფოლკლორის სხვადასხვა მიმართულებების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა;
- სასცენო სამოსით და აქსესუარებით და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა;
- მასტერკლასები ხალხური ქორეოგრაფიის და სიმღერის მიმართულებით;
- აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა;
- ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებული ანსამბლების სასცენო სამოსით და აქსესუარებით უზრუნველყოფა.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2025 წელს პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- ფოლკლორის სხვადასხვა მიმართულებების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა;
- სასცენო სამოსით და აქსესუარებით და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა;
- მასტერკლასები ხალხური ქორეოგრაფიის და სიმღერის მიმართულებით;
- აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა;
- ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებული ანსამბლების სასცენო სამოსით და აქსესუარებით უზრუნველყოფა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გატარებულია ღონისძიებები ფოლკლორის პოპულარიზაციის და ხელშეწყობის მიზნით.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი					
გატარებულია ღონისძიებები ფოლკლორის პოპულარიზაციის და ხელშეწყობის მიზნით	ღონისძიებების რაოდენობა;	არანაკლებ 14	არანაკლებ 14	არანაკლებ 14	არანაკლებ 14	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ფოლკლორის ხელშეწყობის განყოფილება; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები, კულტურის ცენტრები;	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი
	სასცენო სამოსითა და აქსესუარებით, მუსიკალური ინსტრუმენტებით აღჭურვილი ანსამბლების რაოდენობა;	არანაკლებ 11 ანსამბლი;	არანაკლებ 14 ანსამბლი;	არანაკლებ 14 ანსამბლი;	არანაკლებ 14 ანსამბლი;				
	ოლიმპიადაში მონაწილე ანსამბლების რაოდენობა; ოლიმპიადაში მონაწილე ბავშვების რაოდენობა;	არანაკლებ 50 ანსამბლი და 1400 მონაწილე;	არანაკლებ 50 ანსამბლი და 1400 მონაწილე;	არანაკლებ 50 ანსამბლი და 1400 მონაწილე;	არანაკლებ 50 ანსამბლი და 1400 მონაწილე;	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ფოლკლორის ხელშეწყობის განყოფილება; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები, კულტურის ცენტრები;	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

08 05

პროგრამის დასახელება:

კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2 098 000	448 000	550 000	550 000	550 000
სულ ბიუჯეტი:	2 098 000	448 000	550 000	550 000	550 000
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2025-2028 წლები				

პროგრამის მიზანი:

აჭარის რეგიონში მოღვაწე კულტურის და ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების, ევროპული გამოცდილების გაზიარებისა და შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, ახალგაზრდა პოეტების/მწერლების მხარდაჭერა, აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით შემოქმედებითი პროცესების გააქტიურება; კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

პროგრამის აღწერა:

აჭარის რეგიონში ფუნქციონირებს კულტურის სამინისტროს სისტემაში არსებული კულტურის ორგანიზაციები, ასევე, მუნიციპალურ დაქვემდებარებაში მყოფი კულტურის ცენტრები, გარდა ამისა რეგიონში მოღვაწეობს არაერთი კერძო სამართლის იურიდიული პირი, ინდივიდუალური შემსრულებელი, ხელოვანი, რომელიც აჭარის რეგიონში ახორციელებს მრავალფეროვან სახელოვნებო პროექტებს. რეგიონში შემოქმედებითი პროცესების გაუმჯობესების, კულტურის სფეროში პროექტების შექმნისა და მართვის უნარების განვითარებისა და კულტურის პროექტების წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია პერმანენტულად პროფესიული განვითარების ღონისძიებების გატარება, კულტურის სფეროს წარმომადგენელთა, კულტურის ორგანიზაციების, ინდივიდუალური შემსრულებლებისა და ხელოვანების ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროგრამა განხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

1. საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა - ითვალისწინებს წლის განმავლობაში აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედი სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლების/ჯგუფების, ახალგაზრდა ხელოვანთა მონაწილეობის ხელშეწყობას საქართველოს სხვა რეგიონებში და საზღვარგარეთ საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში, ევროპული გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია როგორც ხელოვანთა შემოქმედებითი განვითარების, ასევე, კულტურის პროექტების სწორად დაგეგმვა/მართვისა და კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მხრივ.

ღონისძიებები დაფინანსდება საკონკურსო ან/და არასაკონკურსო წესით (გრანტი, დაფინანსება/თანადაფინანსება, სახელმწიფო შესყიდვები).

კონკურსის საფუძველზე გამოვლენილი გამარჯვებულები დაფინანსდებიან საგრანტო წესით ან დაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე. საკონკურსო პირობები და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის ბრძანებით.

<p>2. სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა - ითვალისწინებს სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთა და მოსწავლეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებების ორგანიზებას; ტრენინგებში, მასტერკლასებში, ვორკშოფებსა და სხვა სახელოვნებო განათლების ხელშეწყობ აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობას;</p>			
